კვირის პალიტრა

# ფიქრი

N25(54) 21/VI.-27/VI.2001. ფასი 60 თ.

1168
2001

## ზვიო: პოლოს სვანი ბოგო მიყვარდა, შეიძლება ახლაც ის მიყვარს

## ვინ არის უხამსი ლექსების ავტორი



## სასწაული!

## უიმედოდ დავრდომილი ტატო, ბერ[illegible] გაბრიელის საფლავმა ფეხზე დააყენ[illegible]

არხეინა:

ისე, არხეინა მე კი არა, ხელისუფლებაში
რომ ხალხი ზის, იმათ უნდა ერქვათ.
ვა, კაცო, რა გული უძლებთ — თვითონ
კარგად იყვნენ და ხალხი შიმშილობდეს...
გ3.18

ქვირის პანორამა
ვეა
№25 (54)
21 — 27 ივნისი 2001
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
... და გავხდები მსოფლიო ჩემპიონი დებილებს შორის! 3
**ხელისუფლება**
გია არსენიშვილი: „კაბინეტის დატოვება ჩემთვის ჯერ არავის მოუთხოვია“ 4
**კოლორიტი**
„გვირეკავენ და გვეუბნებიან: „ეგრე „შეუბერეთ“, ძმებო, ჯიბრები ხართ!“ 7
**სკანდალი**
ვინ არის „უხამსი ლექსების“ ავტორი? 10
**ტალანტი**
„თინეიჯერთა საქართველოში“ ტალანტებს ვერ ხედავენ 12
**პერსონა**
მედეა მეგვრიშვილი: „რაც შეეხება მამაკაცის სიყვარულს, სამაგისოდ მე ვერავინ გავიმეტე...“ 13
**სასარგებლო აზრები**
აფორიზმების ენციკლოპედია 15
**სასწაული**
მცხეთიდან შინდაბრუნებულმა 7 წლის ტატომ მესამე დღეს პირველად გაიარა 16
**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
**კრიმინალი**
• „პროკურატურამ მახეში კიდევ ერთი უდანაშაულო გააბა“ 20
• გენპროკურატურის ყოფილ თანამშრომელს ტაქსის მძღოლის მკვლელობა ედება ბრალად 23
**სპორტსმენი**
„შეჯიბრებებზე ბევრი ქართველი წამიყვანია და ტურნირის ბოლომდე სახლში მყოლია...“ 25
**ტესტი**
ერთგული მკითხველი 27
**მიგრანტი**
„მე სხვის შვილს ვზრდიდი, საკუთარი კი მიტოვებული მყავდა...“ 28
**ფსიქოლოგიური თამაში**
აზროვნებთ თუ არა ლოგიკურად? 31

# ვინ არის „უხამსი ლექსების“ ავტორი?



... პოეტი პარლამენტარის — ჯანსუღ ჩარკვიანის მიკროფონის საშუალებით წარმოთქმული სიტყვის შესავალმა, საგონებელში ჩააგდო ფილარმონიაში მისული საზოგადოება. მან არც აცია, არც აცხელა და ასე დაიწყო გამოსვლა: „შენს დედას შევ...!“

10

# მცხეთიდან შინ დაბრუნებულმა 7 წლის ტატომ მესამე დღეს პირველად გაიარა

ინვალიდის ეტლში ვეღარ ჩერდებოდა. ჩამოვსვით ეტლიდან და საფლავთან ახლოს დავსვით. ბავშვი მუხლებით მიუახლოვდა საფლავს, ჯერ ხელები დააწყო ზედ, მერე კი შუბლით ემთხვია და ასე, მლოცველის პოზაში იჯდა კარგა ხანს. ეს იყო პირველი სასწაული.



16

# „გვირეკავენ და გვეუბნებიან: ეგრე „შეუბერეთ“, ჯიბრები ხართ!“

ბიჭები იდეებს აწვდიან:

— ზვიო, ის მოყევი, ყველი რომ მოიპარე.

— არა, ის სჯობს, სოჩაში „ლეზბიანკასთან“ რომ იყავი!

— მეტროში რომ იჩხუბე, ხაშურიდან ჩამოსულმა და ზურგჩანთაში პომიდვრიანი ქილა რომ გაგიტყდა.

7

# „რაც შეეხება მამაკაცის სიყვარულს, სამაგისოდ მე ვერავინ გავიმეტე...“

ისე, არ მიყვარს არც მაღაზია და არც კიდევ ბაზარი. ჩემს მეგობრებს, ახლობლებს ავუხსნი ხოლმე, რაც მჭირდება, წავლენ, მომიტანენ და თუ არ მომერგო, გადავაკეთებ და ეგ არის.

13

**სამყარო**

გეთისხილის საბედისწერო სიყვარული 32

**წმინდანები**

უსახელო წმინდანთა საარაკო თავდადება 34

**ცოცხალი მატიანე**

„რკინის ხელი“ და დისციპლინა გაქრა და დაიწყო საგზვარს გაცდენილი ბოროტება...“ 35

**ნაკვილები**

ვინ არის ოჯახის უფროსი – მადონა თუ გაი რიჩი? 37

**ბომონდი**

მრავლისმნახველი პარიზული კაფეები 40

**შერეკილები**

ტორტმყორცნეობა – პროტესტის ტკბილ-მწარე ფორმა 42

**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა**

ტესტი ერუდიციაზე 44

**რომანი**

ნიკო აშკარელი. ბედისწერა (გაგრძელება). 45

**ვარსკვლავი**

კამერონ დიასი მამაკაცებს საცვლებზე ხშირად იცვლის 49

**ავტო** 52

**ესკიზები**

სორბონაში ნასწავლი ქართველი გადასახლებიდან „ციმბირელი კაპის“ მიერ გამოპარებული 54

**ჯანმრთელობა**

- ავცრათ თუ არა ბავშვი? 56
- სამკურნალო მცენარეები 57
- რევმატიზმი 57

**საუკუნის მანქანა**

IBM-ის „პერსონალური საქმე“ 58

**სკანვორდი** 61

**ჰოროსკოპი**

კვირის (25 ივნისი – 1 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტესტი**

მომავალი მილიონერებისთვის 63

**კალეიდოსკოპი**

ჭრელ-ჭრელი ამბები 64



**გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“


## „სირაძე პაციენტმკვლელად თანამდებობის პირებმა შერაცხეს“

მკვლელობა, რომელიც პროკურორს, ვლადიმერ სირაძეს ედება ბრალად, დიდი სმაურისა და აჟიოტაჟის შემდეგ, ჩრდილში მოექცა.

აღნიშნული მკვლელობა, რომელსაც ტაქსის მძღოლის – მიხეილ ბაზალელის სიცოცხლე შეეწირა, 2000 წლის 18 ივლისს, თბილისში, დიღმის მასივში მოხდა.

23

## ტორტმყორცნეობა – პროტესტის ტკბილ-მწარე ფორმა

თავდასხმის ობიექტის შერჩევის თვალსაზრისით, ნოელ გოდენს მხოლოდ ერთი გამონაკლისი აქვს დაშვებული: მან MICROSOFT-ის მფლობელი ბილ გეიტსიც „შეამკო“. ამის მიზეზი მისი... ამპარტავნობა ყოფილა.

42

## კამერონ დიასი მამაკაცებს საცვლებზე ხშირად იცვლის



კამი დღესაც ვერ იხსენებს იმ ბედნიერი მამაკაცის სახელს, ვის მკლავებშიც უმანკოება დაკარგა: „მე მგონი, მას ჯეკი ერქვა... არა, შეიძლება ტომი! ჩვენ ჯაკუზიში ვერთობოდით, თუმცა ეს შეიძლება მინდორშიც მომხდარიყო. თუმცა, ეს უკვე აღარც მახსოვს!“

49

## ბედისწერა



სარკმლიდან შემოსული მთვარის შუქი საძინებელ ოთახს ანათებდა. გვერდიგვერდ მდგარ საწოლებში ნინო და ქეთინო გულალმა იწვნენ და ჭერს შესცქეროდნენ.

– კარგი ტიპია ვახო, არა?

45

# ...და გავხდები მსოფლიო ჩემპიონი დებილებს შორის!

ძალიან „მაგარი“ რამე ვნახე და მოვისმინე ამ დღეებში საქართველოს ტელევიზიით: საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ახალ თანამდებობაზე დაუნიშნავთ (საწყალი, ამდენ ხანს უმუშევრად იყო) — „გონებაჩამორჩენილ და ინვალიდ სპორტსმენთა სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის“ პრეზიდენტი გამხდარა.

როგორ მოგწონთ?! ვისაც სპორტისა რამე გაეგება, დაგვეთანხმება, რომ რომელიმე სახეობის ფედერაციისა და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად შემთხვევით ხალხს არ ირჩევენ — როგორც წესი, იმ საქმესთან და კონტინგენტთან, ვისთანაც მოუწევს ურთიერთობა, აღრეც უნდა ჰქონოდა რაიმე შეხება. მაგალითად: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ყოფილი ფეხბურთელი ან მწვრთნელი თუ არა, გუნდის მასაჟისტი მაინც უნდა ყოფილიყო; ცხენოსნობის ფედერაციისა — ჟოკეი თუ არა, მეჯინიბის თანაშემწე მაინც; მშვილდოსანთა თავკაცი — თვითონ თუ არ იქნებოდა ახალგაზრდობაში დიდი რობინ ჰუდი, აპაჩების შთამომავალი უთუოდ უნდა იყოს... და ა.შ.



ასე რომ, ყოფილი სახელმწიფო მინისტრისათვის ზედგამოჭრილია ახალი თანამდებობა — გონებაჩამორჩენილებთან მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვს. ამიტომაც იყო, საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე დამაჯერებლად რომ განაცხადა: ნახავთ, ჩვენი „სპეცსპორტსმენები“ რამდენ მედალს ჩამოიტანენ „სპეც-ოლიმპიადებიდანო“! იცის კაცმა თავისი საქმე და შეეკითხეთ — აუცილებლად გიპასუხებთ!

მთავარი მაინც ის არის, რომ სავარაუდოდ, ეს დანიშვნა გამონაკლისი არ იქნება — პირიქით, ტრადიციად უნდა იქცეს. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მალე პრემიერ-მინისტრის პოსტს შემოიღებენ (მიუხედავად ოპოზიციის „ფაფხურისა“), ამ ადგილს დღევანდელ სახელმწიფო მინისტრს არავინ აღირსებს და ისიც დასასაქმებელი გაგვიხდება.

ამიტომ სხვა, „მილიონ სამუშაო ადგილზე“ დასასაქმებელ ადამიანთან ერთად, მასზეც უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ და შესაფერისი სამუშაო უნდა გამოუძებნოს — მისი ცენზის, გამოცდილებისა და ღირსების შესაფერისი. ხელისუფლებას კი, ყოველთვის ჩვენი — უბრალო ხალხის იმედი უნდა ჰქონდეს (იმედი ნუ მოუშალოს ღმერთმა! ისე, ჩემი იმედი მამაჩემსაც აღარა აქვს) და ჩვენც გვერდით უნდა ვედგეთ, რჩევითა და იდეების მიწოდებით მაინც. ჰოდა, აქ არა ვარ? — რადგან „სპეც-კონტინგენტის“ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სავარძელი უკვე დაკავებულია, შესაძლოა, დღევანდელი სახელმწიფო მინისტრი სულაც ცირკის დირექტორად დაინიშნოს იმის გათვალისწინებით, რომ დიდი პერსპექტივა აქვს, პირადი თანამდებობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, მსოფლიოში უნიკალური — ვირების შოუ მოაწყოს! „სპეც-ოლიმპიადისა“ არ იყოს, ამაშიც პირველები ვიქნებით ქართველები — იმის მიუხედავად, რომ ვირი შინაურ ცხოველად ითვლება, მას მაინც „სახედარი“ ჰქვია იმიტომ, რომ მისი გახედვნა-გაწვრთნა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ქართველ მინისტრებთან ნამუშევარი კაცისთვის — არავითარ შემთხვევაში!

ერთი სიტყვით, მთავარია, რომ ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა, აწი ჩვენ ვიცით — „დამსახურებულ“ თუ დაუმსახურებელ პენსიაზე გასვლის შემდეგ ფინანსთა მინისტრი „უსინათლო ნუმიზმატთა ასოციაციის“ პრეზიდენტი გახდება, ქალაქის პოლიციის შეფი — „არასრულწლოვან რეციდივისტთა კავშირის“ გენერალური მდივანი, იუსტიციის მინისტრი — „კრეტინების მსოფლიო სილამაზის“ კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე...

**P.S.** ქართველები რომ ყველაზე ჭკვიანები და მოხერხებულები ვართ, არაერთხელ გვითქვამს და დაგვიმტკიცებია. „სპეც-სპორტსმენების“ „სპეც-პრეზიდენტსაც“ ამის იმედი აქვს და მეც იმედი მომეცა, რომ „შაჰის ცოლობისა“ არ იყოს, იქნებ „სპეც-ოლიმპიურ“ ჩემპიონობასაც გამოვკრა ხელი: ამას წინათ „კვირის პალიტრაში“ წავიკითხე (ძალიან „მაგარი“ გაზეთია — ახლა ნაღდად არ ვხუმრობ), რომ დაუნის სინდრომით დაავადებულ მავან დანიელ მოქალაქეს პლასტიკური ოპერაცია გაუკეთებია, რათა ამ ავადმყოფობისათვის დამახასიათებელი გარეგნობა შეეცვალა. მთელი მუღამიც ამაშია — გავიკეთებ პლასტიკურ ოპერაციას, ოღონდ პირიქით — დავემსგავსები დაუნს და გავხდები მსოფლიო ჩემპიონი დებილებს შორის, ნებისმიერ სახეობაში.

თუმცა, ვეჭვობ — შეიძლება ეს იდეა ჩემამდე „სპეც-კომიტეტის“ პრეზიდენტს დაებადა: ალბათ სწორედ ამის იმედი ჰქონდა, როდესაც „ოლიმპიურ ოქროვერცხლს“ გვპირდებოდა პრესკონფერენციაზე, თორემ ჩვენი ხომ დაუნიც აღარ ვარგა...

*პროვოკატორი*

# „კაბინეტის დატოვება ჩემთვის ჯერ არავის მოუთხოვია“

**ამბობს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი, რომელსაც ინტერვიუსთვის სწორედ ამ კაბინეტში ვესტუმრე. იქ გულღია მასპინძელი და ზომიერად გულახდილი რესპონდენტი დამხვდა...**

რუსუდან ლებანიძე

— **ბატონო გია, პოპულარობა თქვენი დონის სახელმწიფო მოხელისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. რას განიცდით, როცა იძულებული ხართ, არაპოპულარული ნაბიჯები გადადგათ?**

— არაპოპულარულ ნაბიჯებში კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— **თუნდაც, აფხაზეთთან დაკავშირებულ მთელ რიგ გადაწყვეტილებებს...**

— მე აქტიურად ვარ ჩაბმული აფხაზეთის პრობლემების მოგვარების მშვიდობიან პროცესში. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მოლაპარაკებები, რომელიც ჩვენსა და აფხაზებს შორის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მიმდინარეობს, შინაარსით ყოველთვის მშვიდობიანია. ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანისთვის და, პირველ რიგში, ჩემი დონის სახელმწიფო მოხელისთვის მთავარი, საკუთარი ქვეყნის პრიორიტეტები უნდა იყოს. ერთ-ერთი ასეთი პრიორიტეტი აფხაზეთია. ამიტომ, როცა მოლაპარაკებებზე მივდივარ, ნამდვილად არ ვფიქრობ იმაზე, თუ რას დაწერენ ჩემზე გაზეთები ან რას იტყვის ესა თუ ის პოლიტიკური ფიგურა. მთავარი ჩემთვის თავად მოლაპარაკებების შედეგიანობაა.

— **ერთგან, აფხაზეთთან დაკავშირებით, ასეთი ფრაზაც თქვით: თექვსმეტი წლის ბიჭი რომ ვიყო, იქნებ, მეც იარაღისთვის მომეკიდა ხელიო...**

— სადაც იარაღით შეიძლება საქმის გაკეთება, იარაღით უნდა გაკეთდეს. სამწუხაროდ, ეს თავის დროზე ვერ გაკეთდა. ახლა კი სამშვიდობო პროცესი საკმაოდ ღრმად არის წასული და ვფიქრობ, ბოლო უთუოდ სასიკეთო იქნება. უნდა გითხრათ, რომ ახლა, როცა ჩვენ აქ ვსხედვართ და ვსაუბრობთ, თბილისის ერთ-ერთ პროზექტურაში აფხაზეთიდან გადმოსვენებული ქართველი მეომრების ნეშტების ამოცნობა ხდება. თავისთავად, ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ მეორე მხრივ, ეს არის იმ რვაწლიანი მოლაპარაკებებისა და დავის შედეგი, რომელიც საბოლოოდ, მაინც მშვიდობიანად დასრულდა. ასე რომ, ოღონდ საქმე გაკეთდეს და ზოგჯერ დაუმსახურებელ კრიტიკასაც ავიტან.

— **თანაც, ასე მშვიდად და აუღელვებლად?**

— ვინ თქვა, რომ მე ამას მშვიდად ვიტან. უბრალოდ ვიცი, რის გამოც ვიტან და ეს მამშვიდებს.

— **დიდად, მგონი, არც მავანისა და მავანის ქილიკი გაღელვებთ: არსენიშვილი ვენახიდან პირდაპირ ვენაში მოხვდაო...**

— მაღელვებს, მაგრამ ეგეც მხოლოდ გარკვეული დოზით...

— **თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვალში არც თავად დარჩენილხართ: ერთხელ ბრძანეთ — ვენახში ბევრად უფრო ჭკვიანი ადამიანები მინახავს, ვიდრე ჩვენს პარლამენტშიო. მაინც ვის გულისხმობდით კონკრეტულად?**

— ეჰ, ეს რომ მხოლოდ ერთი და ორი კაცი იყოს, რაღა გვიჭირს... თუმცა, მე, მაინცდამაინც, პარლამენტი არ მიგულისხმია — საზოგადოდ ვთქვი.

— **თქვით და გამოხმაურებამაც არ დააყოვნა: არსენიშვილი ძალიან დიდ სავარძელშიც მოხვდა, იმდენად დიდში, რომ ცოტა არ იყოს, „ჩაძირულად“ გამოიყურებაო...**

— ჯერ ერთი, სავარძელი, რომელიც აქ დამხვდა, ბევრს რომ ჰგონია, არც ისე ღრმაა და მაშინვე გვერდზე გადავდგი. ამჟამად ვზივარ სკამზე, რომელში „ჩაძირვაც“ სრულიად წარმოუდგენელია. ეს — ხუმრობით. სერიოზულად კი იმას ვიტყვი, რომ ასეთ თანამდებობებზე შემთხვევით და მხოლოდ საკუთარი სურვილით არ ხვდებიან — ოდესმე, ალბათ, მოვყვები, როგორ მოხდა ეს ყველაფერი სინამდვილეში. ასე რომ, არჩევანი მე არ გამიკეთებია, თუმცა, იმის დიდი სურვილი კი მქონდა, რომ პრეზიდენტის გვერდით მემუშავა და ვმუშაობ კიდეც.

— **კონსტიტუციაში წერია: „სახელმწიფო მინისტრი ასრულებს პრეზიდენტის ცალკეულ დავალებებს“, მაგრამ როცა პრეზიდენტი საზოგადოების თვალში, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებპოპულარული ხდება, მის დავალებებსაც ხომ ეკარგება ფასი და წონა?**

— საკითხის ასე დასმას მე ნამდვილად არ გავიზიარებდი. განა ერთი და ორი მაგალითი ვიცით იმისა, რომ ჩვენს სამშობლოში ჩვენი ერის უმნიშვნელოვანეს პიროვნებებს არ წყალობდნენ და არ აფასებდნენ?.. როდე-

სახელმწიფო მინისტრობამდე კარგა ხნით ადრე...

საც ვიხილავთ ვინმეს საქმიანობას, ჩვენ ის საერთო კონტექსტიდან არ უნდა „ამოვგლიჯოთ“. ასე ისტორია პიროვნებებს არ აფასებს და ვერც შეაფასებს.

**— როცა საქმე თქვენს შეფასებაზე მიდგება ხოლმე, ოპონენტები, როგორც წესი — გადადექი, გადადექიო — გიკიჟინებენ. საინტერესოა, მაინც რა შემთხვევაში გადადგებოდით?**

— თქვენ ამ კითხვას ისეთ მომენტში მისვამთ, როცა ამაზე ფიქრის უფლებაც კი არ მაქვს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვან საქმეში ვარ ჩართული. მეორე მხრივ, ისედაც ახლოვდება პერიოდი, როდესაც სახელმწიფო მინისტრის პოსტი ისეთი სახით, როგორიც დღეს არის, უნდა გაუქმდეს. ასე რომ, დასკვნების გამოტანა ძნელი არ უნდა იყოს.

**— პირადად თქვენ როგორი დასკვნა გამოგაქვთ?**

— დასკვნა ისეთი გამომაქვს, რომ მე თვითონ გაცილებით უფრო მკაცრი ვარ საკუთარი თავის მიმართ და უკეთ ვხედავ საკუთარ პლუსებსა და მინუსებს, ვიდრე ისინი, ვინც, როგორც თქვენ თქვით, ჯიუტად მიკიჟინებენ, — გადადექიო. ამ გადაწყვეტილებების მიმღები საქართველოში მათ გარეშეც არსებობს. ის მსოფლიოში ცნობილი პიროვნებაა და არც გამბედაობა აკლია და არც გადაწყვეტილების მიღების უნარი. ასე რომ, თუ ასეთი მომენტი დადგა, მათ გარეშეც მეტყვიან, — უნდა გადადგეო, და მეც, ბუნებრივია, გავაკეთებ ამას.

**— მაგრამ ხომ შეიძლება, იმ ადამიანმა, რომელზეც თქვენ ბრძანეთ, გადადგომის მაგიერ ახლა პრემიერ-მინისტრის პოსტი შემოგთავაზოთ?**

— საქართველოს მთავარმა მოქმედმა პირებმა და, პირველ რიგში, პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ მე, გარკვეული მიზეზების გამო, ამაზე არ წავალ.

**— ეს იმდენად საფუძვლიანი მიზეზებია, რომ საქართველოს პირველი პირი უთუოდ გაითვალისწინებს?**

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ამოვიდეთ არა იქიდან, შევრჩებით თუ არა სავარძლებს, რომლებშიც, როგორც თქვენ ბრძანეთ, „საკმაოდ ჩაძირულნი“ ვართ, არამედ სახელმწიფოს ინტერესებიდან და ხელისუფლების ეფექტურობიდან.

**— ერთგან ბრძანეთ, რომ მგლების ხროვაში ცხვარი ვერ გაძლებს, მგლების ხროვაში ყველა მგელი უნდა იყოსო... თქვენ, მაინც, ვინ უფრო ხართ — მგელი თუ ცხვარი?**

— ჯერ ერთი, ეს მე არ მითქვამს. კითხვით კი, მართლაც მკითხეს ასეთი რამ. და მეორეც, მგელი არც ისეთი ცუდი ცხოველია, ერთი შეხედვით რომ გვგონია ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მას ზოგ რამეში შეიძლება კიდეც მივბაძოთ.

**— მაინც რაში?**

— ვთქვათ, გამჭრიახობაში, წინდახედულობაში, საკუთარი შვილების დაცვის უნარში... მამაჩემი იტყოდა ხოლმე: „მგელმა თქვა — კინაღამ შვიდი დღის ნახნავში, კუნაპეტ ღამეში, შავი ციკანი ვერ შევნიშნეო...“ აი, ასეთი „მგლური“ გამჭრიახობა გვმართებს ჩვენც...

**— შესანიშნავი ნათქვამია. თუმცა, ჩვენში მაინც სხვა „მგლური“ მომენტები, კერძოდ, „ხროვის“ ანუ კლანის მომენტი უფრო პოპულარულია. ოპოზიციის ერთი ნაწილი ჯიუტადაც აცხადებს, რომ არსენიშვილი რომ გარკვეული კლანის ინტერესებს არ ახორციელებდეს, ამ პოსტზე კი არა, კახეთშიც არავინ დანიშნავდაო...**

— კახეთში მე 1995 წლის 11 სექტემბერს წავედი. ცოტა ხნით ადრე, 1995 წლის 29 აგვისტოს, მოხდა პირველი ტერაქტი და ჯერაც უცნობი იყო, ამის შემდეგ საქართველოს მომავალი როგორი იქნებოდა, საბოლოოდ როგორ დასრულდებოდა ყველაფერი. მაშინ კახეთში არ ცხვებოდა პური, შუქზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ტყეები სავსე იყო ყაჩაღებით და „მგლები“ მაშინ იყვნენ, თუ იყვნენ. ამის შემდეგ, მითხარით ერთი, რომელი კლანის წარმომადგენელი ვიყავი მე, თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგე და პროფესორი. კაცი, რომელსაც აწყობილი ჰქონდა თავისი საქმეები, მათ შორის ფინანსურიც — ისე, რომ ოჯახს თავისუფლად ინახავდა; რომელსაც გზა ხსნილი ჰქონდა საზღვარგარეთ სამუშაოდ და თბილისშიც ბევრი ისეთი მეგობარი ჰყავდა, ნებისმიერ ვითარებაში ხელს რომ გაუმართავდა. მაშ, რომელ კლანს უნდა გავეგზავნე თელავში სამუშაოდ? მე არავითარი კლანის წარმომადგენელი არა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ. ჩემი „კლანი“ — თუ შეიძლება, რა თქმა უნდა, მას კლანი უწოდო — არიან ის გაჭირვებული მეცნიერები და მასწავლებლები, ის გლეხობა, ვინც დღენიადაგ შრომობს და თავს მხოლოდ საკუთარი პატიოსანი შრომით ირჩენს.

**— როგორც არაერთხელ აღგინიშნავთ, კახეთში სერიოზულ ბიზნესში იყავით ჩაბმული. ბიზნესის ჩვენებური და ისევ და ისევ „მგლური“ კანონები თქვენზე არ გავრცელდა?**

— ეს არ მოხდა, იმიტომ, რომ მე ამის გაკეთება არ შემეძლო. მე არავის განვიკითხავ, მაგრამ ერთი რამის წინააღმდეგი ვარ: არ შეიძლება პოლიტიკაში ვითომ ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ მხარეებს, ბიზნესში „კუდები“ ჰქონდეთ გადაბმული. იმიტომ, რომ

ასეთი ბიზნესიც ძალიან სარისკოა და პოლიტიკაც. ეს არის ათასნაირ უკანონობაზე დამყარებული ურთიერთობები. ასეთი ბიზნესისა და პოლიტიკის დროს სივრცე აღარც თავისუფალი აზროვნებისთვის და არც მოქმედებისთვის აღარ რჩება. იმ ბიზნესმენებმა, ძირითადად, უცხოელებმა, ვისთან ერთადაც მე კახეთში ვიმუშავე, მთავარი დამანახვეს: ბიზნესი არის არა მარტო ფულის კეთება, არამედ მოღვაწეობაც. მეც სწორედ ამ მიზნით ვიყავი კახეთში. სწორედ ეს იყო ჩემი მხრიდან „ხელში იარაღის აღება“, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

**— კახეთს რაც შეეხება, მავანმა და მავანმა ისიც თქვა, გია არსენიშვილი მედეა მეზვრიშვილის კალთიდან აფრენილი ბარტყია და მეტი არაფერიო...**

— უნდა გითხრათ, რომ ეს არ არის ცუდი კალთა... რა თქმა უნდა, ქალბატონი მედეა სხვა თაობის წარმომადგენელია. მისი შეხედულებები, ხშირად, ჩემი შეხედულებებისგანაც კი ძალიან განსხვავდება. მაგრამ ის ძირითადი თვისებები, რომელიც მას აქვს — გამბედაობა, მეგობრის ერთგულება, ხალხთან საერთო ენის გამონახვა, ქვეყნის სიყვარული, ჩემთვის არა მარტო მისაღებია, არამედ მეც სწორედ ამ ფესვებიდან მოვდივარ.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენს „დამფრთიანებლებს“ იმედი გაუმართლეთ?**

— თუ პრეზიდენტს გულისხმობთ, ჩემი იმედი მას მართლაც ჰქონდა. ჩემი იმედი ჰქონდათ იმ ადამიანებსაც, ვისი წიაღიდანაც გამოვედი. მათ იცოდნენ, რომ ჩემი გატეხა ადვილი არ იყო და თუ კომპრომისზე მაინც წავიდოდი — ეს მხოლოდ ქვეყნის სასიკეთო კომპრომისი იქნებოდა. ამას მაღალფარდოვან სიტყვებად ნუ ჩამითვლით. როცა ადამიანი ასეთ მაღალ პოსტზე მოდიხარ, სხვანაირად საუბრის უფლება ნამდვილად აღარ გაქვს. მაგრამ თუ შენ აქ იმისთვის მოდიხარ, რომ, ვთქვათ, რომელიმე ბაზრობაზე კიდევ ერთი ჯიხური ჩადგა, სჯობს, არ მოხვიდე.

**— თქვენი მტერიც და მოყვარეც ერთ რამეში, თითქოს, ერთსულოვანია: არსენიშვილი ნამდვილად პატიოსანი კაციაო. თუმცა, ოპონენტებმა აქაც დასძინეს: კაცმა არ იცის, სად გადის ჩვენში პატიოსნების ზღვარიო...**

— ჩემი პატიოსნების ზღვარი აქ გადის, აი, ამ კაბინეტში, სადაც ახლა ჩვენ ვსხედვართ და ვლაპარაკობთ. ჩემი პატიოსნება იმაში მდგომარეობს, რომ ცდუნებებს აქ გავუძლო, თორემ როგორც კი ამ კაბინეტიდან „დაბლა“ ჩავალ, ცდუნებები, რომელიც ჩემს პატიოსნებასთან იქნება დაკავშირებული, უბრალოდ აღარ იარსებებს.

**— თქვენმა თანამდებობამ თქვენი ოჯახის წევრებს მეტი კომფორტი შეუქმნა თუ დისკომფორტი?**

— რა თქმა უნდა, დისკომფორტი.

**— გავიგე, თქვენი მეუღლე, აქაოდა, ბუნება და ტყე უყვარსო, — წითელქუდას გეძახით. საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც, წითელქუდას?**

— ჩემი მეუღლე დღემდე სასტიკად განიცდის იმ ამბავს, რომ მსგავსი რამ წამოსცდა. ის სტურუების დიდი შემოქმედებითი ოჯახიდანაა. ამ ოჯახს იმდენად საინტერესო ისტორია აქვს, რომ ცალკე სასაუბრო თემად გამოდგებოდა.

**— თქვენი ქალიშვილის ჟურნალისტობა რატომ გინდოდათ?**

— ჩემი ძმა არის ჟურნალისტი. ცოლიც ჟურნალისტი ჰყავს. ჟურნალისტები გვყავს სხვა ნათესავებიც, თანაც, ძალიან დიდი ჟურნალისტები. ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მელორ სტურუას შემოქმედებით. მისი ძმა, დევი სტურუაც პროფესიით ჟურნალისტი იყო. ესენი ჩემი ცოლის ბიძები არიან. ერთი სიტყვით, ჩემ ირგვლივ მყოფი ყველა ჟურნალისტი ჩემთვის საყვარელი და სავსებით მისაღები ადამიანი იყო. თუმცა, ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ჩემი ქალიშვილი მართლაც ძალიან კარგად წერდა და იმ დროს მეგონა, რომ ჟურნალისტიკაში თავს გამოიჩენდა.

**— როგორც ჩანს, თქვენი შვილები მაინც ბიძამ — რობერტ სტურუამ გადაიბირა...**

— ასე გამოდის: ჩემი ქალიშვილი რუსთაველის თეატრის მსახიობია, ვაჟი კი უცხოეთში, კინოსარეჟისოროზე სწავლობს. თუმცა, დღეს ვფიქრობ, რომ ჩემმა „გადაბირებულმა“ შვილებმა თავიანთ პროფესიებში მართლაც საკუთარი თავი იპოვეს.

**— სახელმწიფო მინისტრად თქვენი დანიშვნის პირველ დღეებში თქვენს ძმას თავად მოუსმენია, კახელები თქვენს სადღეგრძელოს რომ სვამდნენ. როგორ ფიქრობთ, ეს სადღეგრძელო კახეთს დღემდე შემორჩა?**

— ვინც ბევრს სვამს, შეიძლება ჩემს სადღეგრძელომდეც მიდის, ისე კი ღმერთმა დაიფაროს კახელები, თავიანთი სადღეგრძელოები ჩემით დაიწყონ... თუმცა, ვისაც მე პირველ რიგში ვეხმარებოდი და, ალბათ, თავიც დავამახსოვრე — უპატრონო ბავშვთა სახლების აღსაზრდელები არიან. ისინი კი ჯერ ღვინოს ნამდვილად არ სვამენ...

**— დაბოლოს: სახელმწიფო მინისტრის კაბინეტის დატოვების შემდეგ სად წავა ბატონი გია არსენიშვილი?**

— ამ კაბინეტის დატოვება ჯერ ჩემთვის არავის მოუთხოვია, გარდა იმ ხალხისა, ვინც ამას კაბინეტში შემოსვლამდეც მიკიჟინებდა. ეს, ცხადია, ხუმრობით. სერიოზულად კი იმას ვიტყვი, რომ აქ საკმაო ცოდნა შევიძინე და, ცხადია, მომავალშიც ვეცდები მის გამოყენებას... ვფიქრობ, კიდევ მოიძებნება ჩემთვის საქმე, ცხადია, უნივერსიტეტის მასწავლებლობის გარდა, რომელიც არც ერთი დღით არ მიმიტოვებია და რომელსაც უთუოდ შევძლებ...

■

**დიჯეი ზვიო — აი, ზუსტად ის ზვიო, ყელმოღერებულ ბატს ჭკუას რომ ასწავლიდა, ნამდვილი დონ-ჟუანი ყოფილა. ეხუმრებით?**

**— ჯერ 26 წლის არის და უკვე 40-ზე მეტი სიყვარული განუცდია! ქვეყანა რომ შეყარეს — ზვიომ ცოლი მოიყვანაო, ესეც ქალების დასაშოშმინებლად მოგონილი ფანდი ყოფილა, რომელსაც შედეგად რამდენიმე საერთაშორისო კლასის მოდელის (გვარებს შეგნებულად არ ასახელებენ) თვითმკვლელობის მცდელობაც მოჰყოლია.**

**ჯერჯერობით, თმახუჭუჭა ზვიოს, სიყვარულში „სარეკლამო“ პაუზა აქვს აღებული. მეც ვსარგებლობ ამ პაუზით და სახელდახელო ინტერვიუს ვიწერ.**

# „ვსიოლკოვენ ლი გვეყბნებიან: ეგუნე „შეყბერეკ“, ძმებო, ჯიგრები ნარო!“

ნანა ქიბიშაური

**— გამარჯობა, ზვიო!**

— გამარჯობაი!

**— კარგი რა, შენი შემხედვარე ლამის მთელი ქალაქი ხაშურულად ლაპარაკობს, მოდი ახლა, ცოტა სერიოზული ინტერვიუ ჩავწეროთ.**

— ჩავწეროთ, რა!

**— ჯერ გაგაბრაზებ. რატომღაც მგონია, რომ „ოროსანი“ და მატყუარა ბავშვი იქნებოდი...**

— მერე რა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! სამაგიეროდ, იცი, რამდენ უმაღლესში ჩავაბარე?

**— მაინც რამდენში?**

— ჯერ უნივერსიტეტში, ისტორიულზე ჩავირიცხე, მერე თეატრალურ კოლეჯში, მერე — საესტრადო-საცირკო სასწავლებელში, მერე თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე, მერე ისევ უნივერსიტეტში, გეოგრაფიულზე. თავიდან ყველა ძალიან მაინტერესებდა, მერე კი მალევე მწყინდებოდა და სწავლას აღარ ვაგრძელებდი. ასე რომ, პატიოსნად ვაღიარებ: სერიოზული სიტყვა არც ერთ დარგში არ მეთქმის.

**— ჰო, რაღაც ვერ გავიგე, ბოლოს რა გამოხვედი?**

— ეგ ჯერ მეც ვერ გავიგე. მე მგონი, ისევ ის ზვიო ვარ, რაც ვიყავი.

**— მხიარულთა და საზრიანთა გუნდში როგორ მოხვდი?**

— ბავშვობიდანვე ასეთი ვიყავი — მხიარული და საზრიანი. მიყვარს იუმორი და რა ვქნა: პაროდია, სატირა — ეს არის ფორმა, რომლითაც ყველაფერი შეგიძლია თქვა და თან ისე, რომ ვისზეც ამბობ, იმანაც ტაში დაგიკრას. გულში რას ფიქრობს, ეგ იმის სინდისზე იყოს. არც მაგაზე იდარდებს ზვიოი.

**— მეგობრები როგორ ეგუებიან შენს დიალექტს?**

— მეგობრებს ვკითხოთ. დავუძახებ — მე ხომ ვიცი, მაინც კართან იქნებიან ატუზულები.

**— კი ბატონო, დავუძახოთ.**

*მყისიერად შემოდიან მიშა და დათო. აშკარად ეტყობათ, შორიდან რომ არ გამოიქცნენ.*

**— რას იტყვით, ბიჭებო, ზვიადის შესახებ?**

— ვინ არის ზვიადი? — *გაკვირვებით იჩეჩენ მხრებს და ერთმანეთს უყურებენ.*

**— ამ კაცს პირველად ხედავთ?**

— აა, ზვიოი?.. ერთი პატიოსანი ხაშურელი ბიჭია — „აზრზე მოდიან“ *მიშა და დათო. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს მისი პლუსი მხოლოდ ეგ იყოს. მთელი მისი ღირსება ის არის, რომ პროვინციელი არ არის. „ზვიო“ — მისი სამსახურია. უფრო სწორად, პერსონაჟია, რომელიც თვითონვე შექმნა. ზვიად ბლიაძე კი ძალიან ნიჭიერი, მიზანდასახული და თავისუფალი სტილის ადამიანია.*

**— რას ნიშნავს თავისუფალი სტილის?**

— აი, მაგალითად, თავისუფალი სტილი „ცისფერობას“ არ ნიშნავს. ის უფრო იმას ნიშნავს, რომ „ცისფერების“ ჩვენ გვერდით ყოფნას შეეგუო. უფრო გასაგებად აგიხსნით: ჩვენ არასოდეს დავისვამთ კატას თავზე და ქუჩაში ისე არ გავივლით. მაგრამ თუ ვინმე თავზე კატადასმული დადის, არავინ არ უნდა გააჩეროს და აუკრძალოს აკეთოს ის, რაც უნდა. რა თქმა უნდა, თუ ის კაცი საზოგადოებრივ წესრიგს არ არღვევს, მოძრაობის წესებს იცავს და სხვებსაც ხელს არ უშლის, მათაც ისე იარონ, როგორც უნდათ.

**— როცა ერთად ხართ, რას აკეთებთ, რით ერთობით?**

— აი, ასეთ საჭირბოროტო საკითხებზე ვუზიარებთ ერთმანეთს აზრს. ვსაუბრობთ სექსზე, ფულზე, გოგოებზე, გეგმებზე და ვოცნებობთ რომელიმე პრესტიჟულ აუზზე, რომელშიც ჩვენი ელიტის წარმომადგენლები ჭყუმპალაობენ.

**— ასეც ვიცოდი: აუზი, სექსი, ფული. საგმირო საქმეებზე დღეს ვინღა ლაპარაკობს, არა?**

*მიშას უბრწყინდება თვალები და მორიდებით მეუბნება, არის ერთი საგმირო საქმეც, რომელიც ზვიომ ჩაიდინა, მაგრამ არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არაო. რა-მეთქი — ვიკითხე. რა და, ზვიოს შონზო ჰყავს ნაცემი, აი, ის მფრინავი შონზო (ტელერეკლამიდან) ზვიოზე ორჯერ მაღალი და 5-ჯერ სქელი რომ არისო... რას მიშვრებით, იმ კაცს ჩემი თავი გინდათ მოაკვლევინოთ?! — კითხულობს ფერდაკარგული ზვიო და მეგობრებს კარისკენ მიუთითებს — ინტერვიუში ხელს ნუღარ შეგვიშლითო. მიშა და დათო მორჩილად მიემართებიან კარისკენ. ჩვენ კი, ისევ ინტერვიუს განვაგრძობთ.*

**— ზვიად, „რადიო 105“-ში ბევრი გირეკავს. საინტერესო**

ზვიო, დათო გოგიჩაიშვილი და მიშა მშვილდაძე (კადრში ვერ ჩაეტია და ჩაიცუცქა)

## მთელი მისი ღირსება ის არის, რომ პროვინციელი არ არის. „ზვიო“ — მისი სამსახურია. უფრო სწორად, პერსონაჟია, რომელიც თვითონვე შექმნა.

**ზარებს ხომ არ გაიხსენებდი?**

— აბა, რა გავიხსენო? ჩემთან ძირითადად გოგონები რეკავენ, მათ კი საინტერესო ამბები არ იციან. ძირითადი სასაუბრო თემაა — როგორ „აახია“ დაქალმა კაცი, ან პირიქით — როგორ „აახია“ დაქალს კაცი. სულ ეს არის. ფანტაზიორობენ, ცდილობენ, საინტერესონი იყვნენ და იმაზე უკეთესები გამოჩნდნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან. მხოლოდ ერთხელ დარეკა ვიღაც მოხუცმა კაცმა, რომელიც არაფერს ცდილობდა. ჩემთვის ის ყველაზე მართალი და საინტერესო იყო.

**— „დარდუბალასთან“ დაკავშირებითაც არ არის საინტერესო ზარები?**

— კი, ყოველი გადაცემის შემდეგ გვირეკავენ. ხან გვაქებენ, ხანაც ნაკლებად... ძირითადად, ერთი მოკლე წინადადებით გამოხატავენ თავიანთ აზრს: „ეგრე „შეუბერეთ“, ძმებო, ჯიგრები ხართ!“ ჩვენც მეტი რა გვინდა, „ვუბერავთ“ და „ვუბერავთ“... საერთოდ, პოლიტიკა ყველაზე მიღებული საშაყირო თემაა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც პოლიტიკოსები ამის საბაბს გაძლევენ. ჩვენი პოლიტიკა კი მთლიანად, თავიდან ბოლომდე შაყირია, რა! ისინი ჩვენ გვაშაყირებენ, ჩვენ — იმათა. ჩვენ, უბრალოდ, ხელჩაქნეულ კაცს ვფხანთ გულს. ისინი კი, ამას რატომღაც, „დემოკრატიას“ ეძახიან. დარეკავენ პოლიტიკოსები და გვეუბნებიან: აი, ხომ ხედავთ, როგორი დემოკრატიაა, ადრე ვინ გაგაშვებინებდათ ამას ეთერშიო?! მე კი ვფიქრობ: ეს გადაცემა იმიტომ კეთდება, რომ ჩვენთან... დემოკრატია არ არის.

**— როგორ იცით — შევარდნაძე თუ უყურებს „დარდუბალას“ ან გადაცემაზე მისი აზრი თუ გადმოუციათ თქვენთვის?**

— არ ვიცი, პრეზიდენტს ჯერ არ დაურეკავს ჩვენთან.

**— გია არსენიშვილის, მედეა მეზვრიშვილისა და შენი ინტერვიუ „გზის“ ერთ ნომერში მოთავსდება. გიხარია?**

— ეგენი ვინ არიან? წარმოდგენა არა მაქვს. „მეგობრების დახმარებას“ გამოვიყენებ: შეიძლება ვიცნობთ და უბრალოდ, ახლა ვერ ვიხსენებ. მიშა! დათო!

*გაჭირვების ტალკვესები მეორე ოთახიდანვე ჰკარნახობენ:*

*— როგორ არ იცი?! ის კაცი, „ტკეპნით“ რომ ლაპარაკობს.*

*— ქალი?!*

*— ქალი შეიძლება იმ კაცის ცოლია. დარწმუნებულები არ ვართ!*

*— კარგი, გმადლობთ!*

**— არ გრცხვენიათ?! ასე იცნობთ ჩვენს პოლიტიკოსებს?**

— რა ვი, ერთი მაგათი პატრონი დედაც ვატირე! გლეხი კაცისთვინ კი არავინ არი და!..

**— მოდი, მაშინ სიყვარულზე ვილაპარაკოთ.**

— მოდი!

**— გახსოვს ის, ვინც პირველად აგიჩქროლა გული?**

— იმას რა დამავიწყებს?! ეს იყო ოსიაურის საბავშვო ბაღში. გოგონას თეა ერქვა და შუბლზე ხალი ჰქონდა. ძალიან მიყვარდა. ჩვენს ჯგუფში კიდევ ერთი ბიჭი იყო. იმაზე ვეჭვიანობდი, იმიტომ, რომ ჩემზე მაღალი იყო. მერე გავიზარდე და სხვა გოგო შემიყვარდა. ის გოგო სხვა ბიჭსაც უყვარდა. მოვიდა და მთხოვა — თავი დაანებეო.

**— იჩხუბეთ?**

— არა. უფრო ადვილი გამოსავალი ვიპოვე: ავდექი და მართლაც თავი დავანებე. მერე კიდევ სხვა შემიყვარდა. მე-10 კლასში ვიქნებოდი. ის გოგო ჩემმა მეზობელმა მოიტაცა. ჩემი პირველი მუზა იყო — მთელი ლექსები და სიმღერები მას მივუძღვენი.

**— შეგიძლია გოგოსთვის მიძღვნილი პირველი ლექსი გაიხსენო?**

— ღამე ვარსკვლავები ელავდნენ
ცაში.
თავში კი ფიქრები გხატავდნენ შენ.
შენს ლამაზ თვალებში იწვოდა
ღამე,
და მე დედოფალი გიწოდე შენ.

მერე მისამღერი მიდიოდა... ამის შემდეგ კიდევ 40 სიყვარული განვიცადე. ბოლოს სვანი გოგო მიყვარდა. შეიძლება ახლაც ის მიყვარს. არ ვიცი, ახლა „დასვენების პერიოდი“ მაქვს: გრძნობებში კარგად უნდა გავერკვე.

**— აბა, ზვიოს ცოლი მოჰყავსო? რეკლამაში გვერდს რომ გიმშვენებდა, მაშ, ის გოგო ვინ იყო?**

— რა ცოლი, რი ცოლი? ის გოგო ამერიკელია. სარეკლამო პერსონაჟი. იმ რეკლამაშიც იმიტომ დავთანხმდი გადაღებასა, რომ ფული გადამიხადეს.

**— ის ტელეგენური ბატი საიდანლა მოიყვანეთ?**

— მცხეთიდან ჩამოვიყვანეთ. ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ მერე — კლიპის გადაღებისას ზვიომ უფრო აწვალა ოპერატორი, ვიდრე იმ ბატმაო.

**— მერე რა უქენით იმ ბატს?**

— რა უნდა გვექნა — პარტნიორს ხომ არ შევჭამდით! ერთ-ერთმა გაზეთის გამავრცელებელმა წაიყვანა სახლში და დღემდე ბედნიერად ცხოვრობს.

**ჩვენი პოლიტიკა მთლიანად, თავიდან ბოლომდე შაყირია, რა! ისინი ჩვენ გვაშაყირებენ, ჩვენ — იმათა. ჩვენ, უბრალოდ, ხელჩაქნეულ კაცს ვფხანთ გულს. ისინი კი, ამას რატომღაც, „დემოკრატიას“ ეძახიან.**

**— კურიოზის ხსენებისას, რატომღაც, ყველა ცნობილ ადამიანს აკანკალებს ხოლმე. პირდაპირ არ ვიცი, როგორ გკითხო...**

— იცით, რატომ? ტრაფარეტად იქცა და იმიტომ. ჟურნალისტი ეკითხება: „იქნებ გაიხსენოთ რაიმე კურიოზი?“ რესპონდენტი იპრანჭება: „არ მამსვლია კურიოზები“. ჟურნალისტი თავისას არ იშლის: „...და მაინც!“ რესპონდენტი ჰყვება რაღაც უნიჭობას. „... ტრა-ლა-ლა, ამოვწიე ქარქაშიდან ხმალი და თურმე იქ ვიღაცას ხმლის ნაცვლად, ცოცხი არ ჩაუდვია?! ხა-ხა-ხა...“

**— ზვიო, ბოლოს და ბოლოს, გაიხსენებ თუ არა რაიმე კურიოზს?**

— არ მამსვლია კურიოზები!..

**— ... და მაინც!**

— მიშა! დათო!

*ბიჭები უკვე კართან არიან და იდეებს აწვდიან:*

*— ზვიო, ის მოყევი, ყველი რომ მოიპარე.*

*— არა, ის სჯობს, სოჩაში „ლეზბიანკასთან“ რომ იყავი!*

*— მეტროში რომ იჩხუბე, ხაშურიდან ჩამოსულმა და ზურგჩანთაში პომიდვრიანი ქილა რომ გაგიტყდა.*

*— არა, ის სჯობს, სოჩაში საპირფარეშო რომ ვერ იპოვე და მილიციის სამმართველოში მიასაქმე. როგორ იხვეწებოდი — რა მოხდა მერე, „კაკვეენშჩიკი“ ვარ და ვიხუმრეო...*

*— გივი ბერიკაშვილმაც კარგად უთხრა: თბილისში ხაშურელის ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგია და რაც ზვიო ჩამოვიდა, საითაც გაიხედავ, ყველგან ქართლურად „უბერავენო“.*

*— ხომ არ სჯობს, აქვე მოვიფიქროთ რამე ახალი?*

**P.S. ზვიო და მისი მეგობრები შემოქმედებით წვაში დავტოვე. რამე ახალს კი, იმედია, მალე შემოგვთავაზებენ.**

■

# ო



მამუკა ლეკიაშვილი

**სკანდალურად გახმაურებული ლექსების ავტორმა და განათლების სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა მამუკა ლეკიაშვილმა თავაზიანი უარი გვითხრა ინტერვიუზე. სამინისტროდან წამოსვლის თაობაზე კი განაცხადა, რომ ასე მხოლოდ ალეკო კარტოზიას გამო მოიქცა, რადგან მთელი ეს კამპანია მისი თქმით, მინისტრის წინააღმდეგ იყო გაჩაღებული და ყოველივე გამიზნულად გაკეთდა: სამინისტროდან ჩემმა წამოსვლამ ცოტათი ჩააცხრო მათი ვნებათაღელვა, მაგრამ ასეთი აჟიოტაჟი თუ კვლავ გაგრძელდა, მეც მაქვს სათქმელი და შემდგომში ცოტა ვრცლად გესაუბრებითო.**

**სპეციალობით ფილოსოფოსმა პოეტმა, საუბარს დუმილი ამჯობინა და მხოლოდ ის გვითხრა — ჩემს ლექსებში გამოხატულია ყველაფერი ის, რაც სათქმელი მაქვს ცხოვრებაზე საერთოდ და დღევანდელობაზეო.**

# ვინ არის „უხამსი ლექსების“ ავტორი?

ნელი ცქიტიშვილი

**— თქვენ ალეკო კარტოზიამ დაგნიშნათ თანამდებობაზე?**

*— არა, მე მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა რეკომენდაციით დავინიშნე არა განათლების მინისტრის მოადგილედ, ან რეფორმების ჯგუფის ხელმძღვანელად, როგორც ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა, არამედ ვმუშაობდი განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის A კომპონენტის კოორდინატორის თანამდებობაზე 4 თვის განმავლობაში.*

ალბათ მკითხველისთვის საინტერესო იქნება, რას ნიშნავს A კომპონენტი. განათლების სამინისტროს მის გარდა, კიდევ სამი კომპონენტი ჰქონია. თვით A კომპონენტის პროგრამაში შედიოდა: სასწავლო პროგრამების, გეგმების სტანდარტების დადგენა, მასწავლებელთა გადამზადებისა და სახელმძღვანელოების მომზადება-შეფასების უზრუნველყოფა.

A კომპონენტის კოორდინატორმა მინისტრს წასვლაზე განცხადება დაუწერა. **ალექსანდრე კარტოზია** აცხადებს: „მამუკა ლეკიაშვილი ზედმიწევნით კარგად ასრულებს თავის მოვალეობას და ამიტომ განათლების რეფორმისათვის დიდი ზიანის მიყენებად მიმაჩნია მისი წასვლა. მაგრამ კარგად ვიცი, რომ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ხსენებულ ლექსებს გაეცნენ, ძნელი დასაჯერებელია, როგორ შეიძლება იმ სტრიქონების ავტორი კეთილისმყოფლად ემსახურებოდეს განათლებას“.

ბატონ კარტოზიას მიაჩნია, რომ ის, ვინც მამუკა ლეკიაშვილის ლექსებიდან ამოკრიბა სტრიქონები და მათი გავრცელება იკისრა, უბრალოდ „ანონიმშჩიკია“.

არადა, არ შეიძლება ამ „ანონიმშჩიკს“ ღვაწლი დაუკარგო: ის რომ არა, ფართო საზოგადოებრიობა ასე გულდაგულ ვერ გაიცნობდა მამუკა ლეკიაშვილის „პოეზიას“. ეს „ღვაწლი“ კარგი რეკლამა გახდა მისთვის და, მართალია, ამ კაცმა სამსახური დაკარგა, სამაგიეროდ, ფილარმონიაში მოწყობილ წიგნის გამოფენა-გაყიდვაზე მისული მკითხველი ინტერესით ეძებდა და ყიდულობდა მისი ლექსების ორ კრებულს — „მთვარე მაკოცე“ და „ვთქვათ, არავინ“.

პირველი კრებულის სათაური იმ ერთ-ერთი ლექსიდან არის გატანილი:

სავსებით მთვარე
გაეძრო ცარიელ ცაზე.
შენს ტანზე ღამე,
როგორც მატარებელი გადადის ხიდზე.
შენ მაინც გბნელა და ბოდავ:




„მთვარე, მაკოცე ტრაკზე!“

ბოლო სიტყვის ნაცვლად გარეკანზე შესაბამისი ილუსტრაციაა გამოყენებული. თუმცა თვით ლექსები სრულად წერია.

მამუკა ლეკიაშვილის ლექსების მხატვრული ღირებულების შეფასებას ჩვენ ვერ ვიტვირთებთ, მაგრამ იმის თქმა კი აუცილებელია, რომ უხამსობა ვერანაირ ღირებულებას ვერ შემატებს პოეზიას, თუმცა ავტორის უფლებაა, — როგორც სურს, ისე გამოხატოს სათქმელი, ჩვენი უფლება კი, არჩევანია — წავიკითხოთ და თუ არ მოგვწონს, ხელში ნუღარ ავიღებთ ამ წიგნს.

... პოეტი პარლამენტარის — ჯანსუღ ჩარკვიანის მიკროფონის საშუალებით წარმოთქმული სიტყვის შესავალმა, რომელიც მან გამოფენა-გაყიდვაზე გამოსვლისას ჩვეული რიხით წარმოთქვა, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩააგდო ფილარმონიაში მისული საზოგადოება. მან არც აცია, არც აცხელა და ასე დაიწყო გამოსვლა: „შენს დედას შევ...!“ შემდეგ, წუთით იყუჩა და განაგრძო: არ მომწონს მე ასეთი ლექსები და რა ვქნა?! მე მომწონს ლაშა თაბუკაშვილის ნაწარმოებები.

იქ მყოფებს და ამის მსმენელებს ნამდვილად პრეტენზია ვერ გვექნება მამუკა ლეკიაშვილთან, რომელმაც მხოლოდ ქაღალდს გაანდო თავისი ზრახვები და შეხედულებები. „პოეტმა-ტრიბუნმა“ კი, პირდაპირ „გაახმოვანა“ ეს სტრიქონები და თავმომწონედაც ამცნობდა საზოგადოებას თავის დამოკიდებულებას...

„მამუკა ლეკიაშვილი ომის დაწყების დღიდან ბოლო დღემდე იბრძოდა და

ფილარმონიაში მოწყობილი წიგნის გამოფენა-გაყიდვა

ჭუბერის გზით დაბრუნდა შინ. ომში დაჭრასაც ვერ გადაურჩა, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. ომის მანძილზე სხვისი ასანთისთვისაც კი არ მოუკიდია ხელი...“ – ამბობს ალეკო კარტოზია და გულწრფელობასთან ერთად, სინაღდეს უწონებს პოეტის ზოგჯერ „ტლანქ“ უკმეხობას.

და კიდევ ერთი კომენტარი – პარლამენტის მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, მწერალ **დათო მაღრაძისა:**

*– თვითონ ლექსები არ წამიკითხავს, მხოლოდ მოწმე ვარ იმ აჟიოტაჟისა, რაც მის გარშემო დატრიალდა.*

**— მამუკა ლეკიაშვილი ამბობს, რომ განათლების სამინისტროდან წამოსვლა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ მიხვდა — ეს სმაური მინისტრის, ალეკო კარტოზიას საწინააღმდეგოდ ატეხეს...**

*– ვფიქრობ, მინისტრის საწინააღმდეგოდ ეს არგუმენტი ვერ გამოდგება, მსოფლმხედველობა, რაც ავტორს აქვს, ცალკე საუბრის თემაა და არა მინისტრის ავკარგიანობის განმსაზღვრელი. მინისტრისა და სამინისტროს მუშაობას რაც შეეხება, ეს სხვა პრობლემაა. პარლამენტის განათლების ქვეკომიტეტმა იმუშავა და სამინისტროსადმი სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა თავის დოკუმენტში, რომელსაც მე გავეცანი; ქვეკომიტეტის შენიშვნები აბსოლუტურად არ ეხება ბატონი ლეკიაშვილის პოეზიას. სამინისტრომ ან უნდა უარყოს და საფუძვლიანად გააქარწყლოს აღნიშნული, ან დაეთანხმოს. ვფიქრობ, ამ საკითხებზე მომავალში კვლავ იქნება მსჯელობა.*

**— როგორც სამინისტროს თანამშრომელი, მამუკა ლეკიაშვილი თუ ფიგურირებს ქვეკომიტეტის მიერ შესწავლილ მასალებში?**

*– არა, არ ფიგურირებს.*

*ადამიანის დამოკიდებულება რელიგიასთან, სამყაროსთან თუ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებთან, – ეს მისი შემოქმედების ნაწილია და სამინისტროს არანაირად არ ეხება...*

■

## ცათამბჯენის მწვეიეარის დამკყოობი

ნიუ-იორკის „მთავარი“ ცათამბჯენის – „ემფაია სთეით ბილდინგის“ კიბეებზე არბენის შეჯიბრებაში აგერ უკვე ზედიზედ მესამე წელია გაიმარჯვა ავსტრალიელმა პოლ კრეიკმა, რომელმაც 86 სართულიანი „დისტანცია“ 9 წუთსა და 37 წამში დაფარა. წლეულს ეს ასპარეზობა უკვე 24-ედ მოეწყო და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული 150 მორბენალი მიიზიდა. მათ შორის იყო 89 წლის იტალიელი ოპერის მომღერალი კიკო შიმონე, რომელმაც განაცხადა: „ბევრი ადამიანი დახმარებისა და თავისი გულის მდგომარეობის გასარკვევად კარდიოლოგს მიმართავს. მე კი ჩემს გულს წელიწადში ერთხელ ვამოწმებ – ნიუ-იორკში ჩამოვდივარ და ამ არბენაში ვმონაწილეობ. თუ ფინიშამდე მივაღწიე – ეი. ყველაფერი რიგზე მქონია.“ ■



## 2020 წელს მარსს მივფენლრეგზეთ...

თურმე დედამიწა ყოველწლიურად უახლოვდება მარსს. მაგალითად, წლევანდელ 21 ივნისს (ე.ი. ჩვენი ჟურნალის გამოსვლის დღეს) მისგან სულ რაღაც 68 მლნ კილომეტრით ვიქნებით დაშორებულნი, 2018-სა და 2020 წელს შორის პერიოდში კი, ეს მანძილი იმდენად შემცირდება, რომ ე.წ. წითელ პლანეტაზე მოკლევადიანი ექსპედიციების მოწყობაც იქნება შესაძლებელი. და თუმცა ამერიკელები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ ამ იდეას, მაინც აქტიურად იწყებენ მუშაობას პროექტზე, რომელსაც 2001 MARS ODYSSEY ჰქვია. კოსმოსური ფრენის ცენტრის მეცნიერი მკვლევარი, ასტრონომიის პროფესორი მარშალი კი აცხადებს: „მარსზე მიმდინარე პროცესებისთვის თვალყურის დევნებას დასახელებულ პერიოდში, პრაქტიკულად, შეუიარაღებელი თვალითაც კი მოვახერხებთ.“ ■

# „თინეიჯერთა საქართველოში“ ტალანტებს ვერ ხედავენ

*მანანა ბაბრიჭიძე*

მე მინდა გიამბოთ ერთი ძალიან გამორჩეული პიანისტის შესახებ, რომელიც რამდენიმე წელია აღარ ჩანს. რატომ? ასეთია რჩეულთა ხვედრი: ისინი არ ჩანან. სამაგიეროდ, მათ ადგილს უნიჭოები იკავებენ, რომელთა მდარე მუსიკამ თუ შესრულებამ წალეკა მთელი საქართველო.

გადმოცემის თანახმად, ძველად, როდესაც დიდ ქალაქში გამოჩენილი პიანისტი ჩავიდოდა, ცხენოსანი პოლიცია აშოშმინებდა უბილეთოდ დარჩენილ ხალხს. აი, ასეთი დონის პიანისტთა რიგს განეკუთვნება გიორგი ბეგიშვილი, რომელიც ჯერჯეროობით თავს იკავებს, მაგრამ ყველას იმედი აქვს, რომ მალე მაინც წარდგება მსმენელთა წინაშე თავისი მრავალმხრივი ფილოსოფიური აზროვნებით, შესრულების მანერითა და განუმეორებელი ბგერით.

გიორგი ბეგიშვილი 1973 წელს, თბილისის ელიტურ ოჯახში დაიბადა. დედამისი, ქალბატონი ციცინო ბეგიშვილი სპეციალობით მიკრობიოლოგი, პარალელურად მუსიკოსია, ღრმად იცნობს მსოფლიო მუსიკოსების ცხოვრებასა და შემოქმედებას, მამა, ბატონი თენგიზ ბეგიშვილი, 9 აპრილის მოვლენების მსხვერპლი გახდა. 35 წელი მუშაობდა „ლეჩკომბინატში“ მთავარ ექიმად. ექიმია უფროსი ძმა, ბაჩუკიც, რომელიც ამჟამად თავის მშვენიერ ოჯახთან ერთად ლონდონში ცხოვრობს, და — ლალი კი, მუსიკისმცოდნეა.

ამ სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად ცნობილ მუსიკოსთა, მეცნიერების აკადემიური წრეების წარმომადგენელთა, ექიმთა საზოგადოება იკრიბებოდა ხოლმე. გიორგიმ 4 წლიდან დაიწყო დაკვრა. ვინაიდან ძალიან პატარა იყო, წლოვანება „მოუმატეს“ და ისე შეიყვანეს ნიჭიერ ბავშვთა სამუსიკო ათწლედში. მან სუსანა გაბუნიასთან დაიწყო სწავლა. ამ სათნო, დელიკატურ, განუმეორებელ პედაგოგთან ბევრი გამოჩენილი ადამიანი დაეუფლა მუსიკის ხელოვნებას, მათ შორის ელისო ვირსალაძე, ნოდარ გაბუნია, ნინო ქათამაძე. გიორგის აღზრდისას ხანდაზმული პედაგოგი ღელავდა: ვაითუ, ჩემი საყვარელი, პატარა თმახუჭუჭა უჩემოდ დარჩეს... ის ისეთი ნიჭის პატრონია, რომ მეშინია, თუ კარგ პიანისტთან არ მოხვდა, შეიძლება მუსიკა მიატოვოსო. ქალბატონი სუსანას რჩევით, გიორგიმ სწავლა განაგრძო საშა გარბერთან, მასთან ერთად მართავდა კონცერტებს და უზომოდ კმაყოფილი იყო მისით. ათწლედის დამთავრების შემდეგ გიორგი ბეგიშვილმა სწავლა განაგრძო თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიაში. იმ დროისათვის კონსერვატორიაში მოღვაწეობდა პროფესორი თემურ მათურელი, ძალზედ განათლებული მუსიკოსი, რომელთანაც არცთუ ისე ადვილი იყო თავის მოწონება. აი, რას წერს ის გიორგის შესახებ: „მისმა მუსიკალურმა ნიჭმა თავიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. მას აქვს მუსიკალურ ნაწარმოებში, ავტორის ჩანაფიქრის ღრმად ჩაწვდომის უნარი, რის შედეგადაც, ფაქიზად და შესანიშნავი სიზუსტით ასრულებს მიცემულ ნაწარმოებებს“. კონსერვატორიიდან თემურ მათურელმა 7 მოწაფე წაიყვანა ამსტერდამში, სადაც მათ სკრიაბინის ნაწარმოებები უნდა შეესრულებინათ. ყველაზე რთული გიორგიმ ისე ბრწყინვალედ შეასრულა, რომ აღფრთოვანებული დამსწრენი სცენაზე აცვივდნენ მადლობის სათქმელად. ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთაგან 3 აირჩიეს ამსტერდამში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ თემურ მათურელი მალე გარდაიცვალა... გიორგიმ 3 ნაყოფიერი თვე დაყო ამსტერდამში, შემდეგ, დაფინანსების შეწყვეტის გამო, ისევ სამშობლოში დაბრუნდა. აქ მან მუსიკალურად გააფორმა რეჟისორ ლევან წულაძის მიერ „თეატრალურ სარდაფში“ დადგმული „სამგროშიანი ოპერა“. ამჟამად ნიჭიერთა ათწლედის პედაგოგია.

მისი საშემსრულებლო ოსტატობა აღაფრთოვანებს ყველას, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია გიორგი ბეგიშვილისთვის. ამ უფაქიზესი სულის ადამიანს დაკვრაც თავისებური აქვს: უკრავს და აზროვნებს ფილოსოფიურად, პლუტარქეს თანახმად — „ვისაც სურს, მუსიკალურ შემოქმედებაში მშვენიერებისა და ფაქიზი გემოვნების მოთხოვნა დაიცვას, თავის ხელმძღვანელად ფილოსოფია უნდა გაიხადოს“ — გიორგის მიერ შესრულებული მუსიკით აღძრული წარმოსახვითი მომაჯადოებელი სურათები ამ მიდგომის ხილული მაგალითია. მხატვრული სახეებით გამორჩეული, შთამბეჭდავი საშემსრულებლო ხელოვნების გამო უწოდებენ გიორგის სპეციალისტები „გენიალურ შემსრულებელს“, „იშვიათი ტალანტის მქონე მუსიკოსს“ და ათასგვარი სხვა ეპითეტით ამკობენ. სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოში გემოვნების ხარისხი დაბალია, რადგანაც ასეთი ტალანტები ჩრდილში არიან, სცენაზე კი ფონოგრამის მოყვარულ, მდარე ხარისხის მომღერალთა „ხელოვნება“ გაბატონებულა...

R ■

**თელავის რაიონის გამგებელი და მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მედეა მეზვრიშვილი თურმე ჟურნალისტებს ინტერვიუს აღარ აძლევს: სანამ ქვეყანა არ გამთლიანდება, სალაპარაკო აბა რა არის — წერას მაშინ აქვს აზრი, როცა მას რეალური საქმე მოჰყვებაო. მეც ასეთი განწყობით შემხვდა:**

# „რაც ვიცოდა ბავშვობის სოფელზე, საფასურად ეს ვერავინ გაიმეორა...“

## ნელი ცქიტიშვილი

— დავჯდე და მოვყვე იმას, ეს ვაკეთე, ის ვაკეთე? თუ აინტერესებთ, წავიდნენ და სხვებსა ჰკითხონ, რა გამიკეთებია. აბა, რა მოვყვე?..

— **თუნდაც თქვენი ოჯახის შესახებ, სად დაიბადეთ...**

— საგარეჯოში დავიბადე. ნეტა არ დავბადებულიყავი საერთოდ...

— **რატომ, ქალბატონო მედიკო?**

— იმიტომ, რომ რაც უბედურება გადამაქ — რომ არ დავბადებულიყავი, არ გადავიტანდი.

— **ვისაც დახმარებიხართ, ისინი ხომ მაინც მადლიერები არიან.**

— ისინი ჰო, მაგრამ ვისაც ვერ ვეხმარები? ისეთი გაჭირვებაა... ნეტა საერთოდ არ დავრჩენილიყავი ამ ადგილზე! ერთი თვით მუშაობას დავთანხმდი და რა მინდოდა, რაზე ავიკიდე ამდენი ჭირი და ვარამი.

— **თელავს უკავშირდება თქვენი საქმიანობის ძირითადი პერიოდი. საიდან დაიწყეთ ამ ქალაქში მოღვაწეობა?**

— ინსტიტუტში ვსწავლობდი იქ და შემდეგ კომკავშირის რაიკომის მდივნად დამნიშნეს. 1961 წელს წავედი საგარეჯოში პარტიის რაიკომის მდივნად, ერთ წელში ისევ თელავში გადმომიყვანეს — ჯერ რაიკომის მდივნად, იდეოლოგიის დარგში, შემდეგ — რაიაღმასკომის თავმჯდომარედ.

— **მაშინ უფრო ადვილი იყო ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობა თუ დღეს, როცა მართვის ბერკეტებს თითქმის მთლიანად ფლობთ?**

— რა თქმა უნდა, ადრე სჯობდა, იმიტომ, რომ ეკონომიკა ძლიერი იყო, მუშაობდა უამრავი სამრეწველო ობიექტი, კულტურული დაწესებულება... ეხლა სად არის? ყველაფერი დანგრეულია! თანდათანობით ვაშენებთ, ზოგს ვარემონტებთ და... აი, თქვენ რომ გუშინდელი ღონისძიება გენახათ, ეს ინტერვიუ საჭირო აღარ იქნებოდა.

— **რა ღონისძიება?**

— თელავის ახალგარემონტებულ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთის მატჩი ინგლისელ და თელაველ ვეტერანთა გუნდებს შორის. ეს იყო ისეთი ზეიმი, რომ ეგეთი ზეიმი დიდი ხანია თელაველებს არ უნახავთ. ჯერ ერთი, ის, რომ სტადიონი გაახლდა, გაკეთდა და, ახლა თამაში როგორი გამოვიდა?

— **რა ანგარიშით დამთავრდა შეხვედრა?**

— 2:2, მაგრამ ძლიერი თამაში იყო, ტექნიკური თვალსაზრისითაც, ჩვენების უპირატესობა იგრძნობოდა.

— **როგორც გავიგეთ, თამაშის შემდგომ ბანკეტზე, თქვენ მსაჯთან მისულხართ და დაგიტუქსავთ — პენალტი რატომ არ დანიშნეო.**

— მსაჯს კი ვუსაყვედურე, მართლა გვეკუთვნოდა და არ დანიშნა, მაგრამ მთლიანობაში, ყველა ნასიამოვნები დარჩა ამ დღით.

სტადიონის შეკეთებაზე ბიუჯეტიდან კაპიკი არ დაგვიხარჯავს — მთლიანად სპონსორების ხარჯით გაკეთდა ყველაფერი. თბილისიდან დაგვეხმარნენ ძირითადად, თუმცა ადგილობრივებიც, ვისაც რა შეეძლო, აკეთებდა. დიდად დაგვეხმარა „აირზენა“, თამაზ გაიაშვილი, თბილისის მერი და სხვები — ყველას ვერ ჩამოვთვლი.

— **ქალბატონო მედიკო, „კვირის პალიტრაში“ რამდენჯერმე მოხვდა თქვენი სიძის ხუმრობები, რომელიც ანეკდოტებად დადის არა მარტო თელავში. თუნდაც ეს: ერთ-ერთ კონფერენციაზე დარბაზში შესულა თქვენი სიძე და უთქვამთ, — აქ მხოლოდ მედიკოსები ვართ, უცხოები არ ესწრებიანო, მას კი უპასუხია — თქვენ თუ მედიკოსები ხართ, აბა მე ვინლა ვარო?**

**თქვენ როგორ უყურებთ მის ასეთ ხუმრობებს და საერთოდ, როგორი ურთიერთობა გაქვთ დის ქმართან?**

— ძალიან კარგი. სიძესთან გასაყოფი არაფერი მაქვს. ნიჭიერი კაცია, იუმორს ისე ფლობს, რაც გინდა უხასიათოდ ვიყო, მაინც გამაცინებს ხოლმე.

— **თქვენს სახელს ხშირად უკავშირებენ პრეზიდენტის ოჯახს. ზოგი ამბობს, რომ მის ქორწილში მეჯვარე იყავით, ზოგი — თითქოს ნანული შევარდნაძე თქვენი ბავშვობის მეგობარია...**

— ვიღაცებს უნდათ იჭორაონ და მათი ნებაა: მე შევარდნაძის მეჯვარე არ ვარ. რაც შეეხება ნანულის, ჩვენ მართლაც, ბავშვობის წლებში ჩვენს სოფელში ერთ უბანში ვცხოვრობდით და ვმეგობრობდით. ჩემზე ერთი კლასით წინ იყო. შემდეგ თბილისში გადავიდა, უმაღლესი დაამთავრა, გათხოვდა. მისი მეუღლე ჩემი კოლეგა იყო. ის ქუთაისის ქალაქკომში მუშაობდა, მე — თელავის კომკავშირის რაიკომში. მას შემდეგ, ის „ცეკას“ მდიანი იყო, მე — ბიუროს წევრი, მერე საკავშირო „ცეკას“ წევრობის კანდიდატიც ვიყავი. რა ვიცი, რა, თითქმის ყველა არჩევით თანამდებობებზე ვიყავი და ყოველთვის თბილი ურთიერთობა გვქონდა მე და ბატონ ედუარდს. ის ისეთი კაცია, თუ უსაქმური და არაფრის მაქნისი ვიქნებოდი, ყურადღებას არ მომაქცევდა. ეტყობა, მის თვალში რაღაც დავიმსახურე და სანამ ცოცხალი ვარ, ბოლომდე ვუერთგულებ. ვინც გინდა მოიწადინოს, ის ვერასოდეს ეღირსება, რომ მე მგათ განვუდგე და სხვას მხარი დავუჭირო.

— **თქვენი მეგობრობა ქალბატონ ნანულისთან შემდგომშიც გაგრძელდა?**

— დიახ, კავშირი არ გაგვიწყვეტია. მე

ვიღაცებს უნდათ იჭორაონ და მათი ნებაა: მე შევარდნაძის მეჯვარე არ ვარ. რაც შეეხება ნანულის, ჩვენ მართლაც, ბავშვობის წლებში ჩვენს სოფელში ერთ უბანში ვცხოვრობდით და ვმეგობრობდით.

მაგალითად, არ დამიშავებია ისე რამე, რომ ჩემკენ აღარ მოეხედოს და არც იმათ. პირიქით, ბატონი ედუარდის დახმარებით ბევრი რამის გაკეთება შევძელი კახეთში. თუნდაც ის, რომ მისი შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში თელავში, ერეკლე მეფის სასახლეში მდებარე ციხე გავაუქმეთ – ეს მაშინ წარმოუდგენელი რამ იყო.

**— როგორ გააუქმეთ?**

– ციხე ჩვენ გადმოგვცეს, ჩვენ კიდევ, გავაუქმეთ. მასში უამრავი პატიმარი იყო, გვერდით კი პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა იდგა. ეს დიდი საქმე იყო, რადგან ციხეების მშენებლობა იკრძალებოდა, ამდენი პატიმარი სად გინდოდა, რომ წაგეყვანა?! აღმოსავლეთ საქართველოს პატიმრები, ამ ციხის გაუქმების შემდეგ, სხვადასხვა ადგილას გადაანაწილეს. ამის შემდეგ კახეთში ციხე აღარ ყოფილა. ამაში დიდი დახმარება ბატონმა ედუარდმა გაგვიწია. მარტო უდაბნოს დასახლებაც იკმარებდა, სადაც სამხედრო პოლიგონი გავაუქმეთ და სოფელი გავაშენეთ – 350 კომლზე ავაგეთ და მარტო გასარწყავები ამ სოფლისა 57 მილიონი დაჯდა.

**— თქვენი ცხოვრების მანძილზე თუ მომხდარა ისეთი რამ, რასაც დღესაც ნანობთ?**

– მე რომ თავიდან ვიწყებდე ცხოვრებას, რაც გავაკეთე, ისევ იმას გავაკეთებდი.

**— ყველაზე ბედნიერი როდის იყავით?**

– ესეთი დღე ბევრი მახსოვს. ეხლა ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა საქართველო გამთლიანდება. წელან რომ გითხარით, თელაველი და ინგლისელი ფეხბურთელების შეხვედრა გაიმართა-მეთქი, იმ დღესაც ძალიან ბედნიერი ვიყავი, მეგონა, ეს ქვეყანა ჩემია-მეთქი.

**— რატომ გქონდათ ასეთი განცდა?**

– იმიტომ, რომ ხალხი, რომელიც იტანჯება, ამ დღეს გახარებული იყო – მამამ თუ შვილმა ერთნაირად გაიხარა.

**— თქვენი პირადი ცხოვრების გამო ხომ არ გიპყრობთ ხოლმე უკმარისობის განცდა — საზოგადოებრივ საქმიანობაში გართულს, განზე ხომ არ დგრჩათ პირადული?**

– არა ვნანობ! რა უნდა ვინანო? იმდენი ბავშვი ჰყავთ ჩემს დისშვილებს ძმისშვილებს ... ღმერთმა გაუზარდოთ. მე მარტო და-ძმა კი არა, ბიძაშვილები და სანათესავოც მყავს, ისინიც ჩვენთან იზრდებოდნენ. დედამთილობაც გამოვცადე.

**— ძნელია, იყო დედამთილი?**

– არა, არა, სულაც არ არის ძნელი.

**— დაბადების დღეზე ალბათ ბევრ მილოცვას ღებულობთ და საჩუქრებსაც. გიყვართ, როცა რამეს გჩუქნიან?**

– საჩუქრები არ მიყვარს, იმიტომ არის – რამეს რომ მაჩუქებენ, ჩემი მეგობრები, თან მთხოვენ ხოლმე, რომ არ გავაჩუქო: იციან, რომ მე არაფერს დავიტოვებ. ეს უფრო მომწონს. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა ნაჩუქარს ვუფრთხილდები და ვერ გავიმეტებ.

**— ყველაზე გამორჩეული რა მიგიღიათ, ძალიან რომ გაგახარათ?**

– რა მახსოვს?! თუმცა, როგორ დავივიწყებ ერთ დღეს: 70 წლისთავი შემისრულდა და სწორედ იმ დღეს ტარდებოდა მთავრობის გაფართოებული სხდომა. უცებ ბატონმა ედუარდმა, რომელსაც ასეთი რამ არასოდეს გაუკეთებია, სხდომა დაიწყო ჩემი მილოცვით. ქება არ დაიშურა – აღარ ვიცოდი, რა მექნა: გავწითლდი, ავდექი, მადლობა გადავუხადე... ეს კადრები ჩაწერილი მაქვს და მართლაც უძვირფასესი სახსოვარია ჩემთვის...

**— საჩუქარი არ მოუძღვნია პრეზიდენტს და მის ოჯახს თქვენთვის?**

– საჩუქრები როგორ არ მოუძღვნიათ, მაგრამ ის სიმბოლურია. ეს კი, რაზეც ახლა გითხარით, ყველაზე დიდი საჩუქარი და დაფასებაა ჩემთვის.

**— თქვენი სტუმართმოყვარეობა და პურმარილი საყოველთაოდ ცნობილია. რამე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით ამასთან დაკავშირებით?**

– რა მოსთვლის მათ – ვინ არ გვყოლია კახეთში სტუმრად?! ჯერ კიდევ 1956 წელი მახსენდება. სტალინის ამბები იყო, საქართველოში სტუმრობა ვიღას ახსოვდა?. მაშინ ჩამოვიდა საკავშირო „ცეკას“ მდივანი, პავლოვი და მოსკოვიდან 140 კაცი ჩამოიყვანა. მთელი კახეთი დავათვალიერებინეთ, იყო საინტერესო შეხვედრები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. დელეგაციის წევრები იმდენად მოხიბლულნი წავიდნენ, რომ მოსკოვში ჩასულებმა ფართო იდეოლოგიური მუშაობა გასწიეს, რათა საქართველოს მიმართ მოსკოვში განწყობილება დადებითად შეეცვალათ. აქედან დაიწყო საკავშირო „ცეკას“ დელეგაციების ხშირი სტუმრობა და საქმიანი კონტაქტები. პავლოვის დელეგაციის სახელით მარტო 40 პიანინო გამოუგზავნეს თელავის რაიონს და ყველა სოფელს დავურიგეთ.

**— თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება შემოდგომაზე და რაიონის გამგებლის თანამდებობაც არჩევითი იქნება, თქვენ თუ მიიღებთ მონაწილეობას?**

– მე, მაგალითად, არც არჩევნებისა მეშინია, არც სხვა რამისა: თუ დავაპირებ, ვიყრი კენჭს, თუ არა და – არც რა.

**— რა განსაზღვრავს მონაწილეობის მიღება-არმიღებას?**

– ჩემი მდგომარეობა და ქვეყნის.

**— თუ მონაწილეობას მიიღებთ, ჩანს, გამარჯვებაშიც დარწმუნებული ხართ.**

– ვარ დარწმუნებული.

**— ხალხის მხარდაჭერის იმედი გაქვთ?**

– მაქვს. ვინ არ მოდის ჩემთან სხვადასხვა თხოვნით და, რაც შემიძლია, ვეხმარები, რას არ ვუკეთებ. თუ უნდათ – წამშალონ, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა,

# ადამიანის ფასეულობანი

**სილამაზე — ესაა დედოფალი, რომელიც ცოტა ხნით ბატონობს.**
*ევრიპიდე*

**არაფერია იმაზე შესაბრალისი, რომ ღირსეული ადამიანი უმოქმედოდ იყოს.**
*გოეთე*

**თუ ექიმების სიმცირე იყოს, სამ ექიმს გირჩევ: ზომიერ ჭამას, კარგ ხასიათს და სულის სიმშვიდეს.**
*არნოლდ ვილანოველი*

**მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას: ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს და არა გვარიშვილობას!**
*გრიგოლ ორბელიანი*

**ვინც თავის თავს პატივს არა სცემს — უბედურია, მაგრამ ვინც მეტად კმაყოფილია თავისი თავით — სულელია.**
*გი დე მოპასანი*

**ადამიანები არაფერს ისე უხალისოდ არ იღებენ, როგორც რჩევებს.**
*ჯოზეფ ადისონი*

**არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს, თუმცა ესაა მისი ძირითადი შეცდომაც!**
*ლევ ტოლსტოი*

**სახიფათოა მოყვარე შტერი, ჯობია გყავდეს ჭკვიანი მტერი.**
*პენრი უოდსუორთ ლონგფელო*

თანამდებობაზე ვიქნები თუ არა. როცა აქ არ ვმუშაობდი, მაშინაც ვაკეთებდი ხალხისა და ქვეყნის სასიკეთო საქმეს. ჩემი მეგობრების წყალობით ვახერხებდი ამას. ვინც მარტო ჯიბეების გასქელებაზე ფიქრობს, იმან იკითხოს, თორემ ჩემი პირადი ცხოვრება და ჩემი შენახვა ძვირი არ დაუჯდება არავის — იმიტომ, რომ თავს არაფერზე ვიკლავ.

**— ჩასაცმელს სად ყიდულობთ, გეხმარებათ ვინმე გარდერობის შერჩევაში?**

— აბა, მე ბაზარში და მაღაზიებში ვერ დავდივარ. ადრე, როცა მოსკოვში ჩავდიოდი, „ცეკას“ წევრებისთვის სპეციალური მაღაზიები არსებობდა, სადაც არჩევანიც დიდი იყო და არც რიგებში გვიხდებოდა დგომა, იქ ვყიდულობდი ხოლმე ჩასაცმელს. ისე, არ მიყვარს არც მაღაზია და არც კიდევ ბაზარი. ჩემს მეგობრებს, ახლობლებს ავუხსნი ხოლმე, რაც მჭირდება, წავლენ, მომიტანენ და თუ არ მომერგო, გადავაკეთებ და ეგ არის.

**იმიტომ, რომ ჩემს პირადს არაფერი მოჰკლებია. ასეთი მიზანი არ დამისახია — თავიდანვე სხვა გზა ავირჩიე და იმ მხარეს არ მიმიხედია.**

**— საყვარელი სუნამო თუ გაქვთ?**

— კი, ფრანგული ძირითადად.

**— თქვენს კაბინეტში ყოველთვის ყვავილებია. ეტყობა, გიყვართ. ვინ გჩუქნით ხოლმე?**

— ხან თანამშრომლები მომიტანენ, ხან თბილისიდან ჩამოსულები მაჩუქებენ. სიყვარულით კი — განწყობილების მიხედვით.

**— ჩვენს ჟურნალს ასეთი რუბრიკა აქვს: „პირველი სიყვარული“. იქნებ გვიამბოთ თქვენ შესახებ?**

— მე სულ პირველი სიყვარული მაქვს, რაა...

**— ეს როგორ?**

— ყველა მიყვარს და არავინ მეჯავრება.

**— არა, მამაკაცის სიყვარულს ვგულისხმობ, თქვენს ახალგაზრდულ წლებს.**

— მე თავისუფლება ვირჩიე. ჩემს მეგობრებს პატივს ვცემდი და რაც შეეხება მამაკაცის სიყვარულს, სამაგისოდ მე ვერავინ გავიმეტე...

**— თქვენი სიყვარული გამეტება იქნებოდა?**

— ალბათ, რა ვიცი, ვერავინ გავაუბედურე...

**— ხომ არ ნანობთ, რაიმეს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით?**

— არა ვნანობ, იმიტომ, რომ ჩემს პირადს არაფერი მოჰკლებია. ასეთი მიზანი არ დამისახია — თავიდანვე სხვა გზა ავირჩიე და იმ მხარეს არ მიმიხედია.

**— დღეს რა მიგაჩნიათ ყველაზე დიდ პრობლემად?**

— დაკარგული ტერიტორიები, ქვეყნის გამთლიანება და საშინელი დანაშაული — ადამიანთა გატაცება. ადრე, თუ გახსოვთ, ბავშვები მოიტაცეს. მაშინ მე საგარეჯოში ვმუშაობდი. კაკაბეთის ზარები დავარისხეთ მაშინ და წლები ისე გავიდა, ასეთი რამ აღარავის გაუბედავს. ეხლა ისეთი აქტიური ზომების გატარება გვმართებს, ისე სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ გამტაცებლები, რომ ამის სურვილი ყველას დაეკარგოს. ხშირად ტყუილად იშვერენ პანკისისკენ ხელს, რადგან ამ საქმეში არანაკლები „წვლილი“ ქართველებს მიუძღვით...

**— თქვენ გაქვთ უახლოეს წლებში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იმედი?**

— აბა, როგორ, აბა როგორ, მაშინ უნდა დავწყდეთ ქართველები... ■

ნინო ჯავახიშვილი
ნანა ქიბიშაური

# მცხეთიდან შინ დაბრუნებულმა 7 წლის ტატომ მესამე დღეს პირველად გაიარა

**გოგიტა და ეთერ მურცხვალაძეების მესამე შვილი — ტატო შშობიარობის დროს ხელიდან გუვარდათ ექიმებს. ბავშვი გადარჩა, მაგრამ... ექიმებმა ეს ამბავი არ გახმაურეს, თუმცა ამ შემთხვევამ ჭორის დონეზე მაინც გამოჟონა. ყველამ გაიგო, რომ ვიღაცის პატარამ თავის მძიმე ტრავმა მიიღო, თუმცა ვისმა შვილმა — ვერ დაადგინეს.**

*სამშობიაროდან გამოყვანის შემდეგ ტატო 3 თვის განმავლობაში გამუდმებით ტიროდა. ექიმები მუცელსა და ყურზე მკურნალობდნენ — მაშინ, როცა ორგანიზმში თავის ქალის გახსნის პროცესი მიმდინარეობდა. ტატოს პირველი ოპერაცია 4 თვისას გაუკეთეს. მას თავის ქალიდან ხერხემლამდე ხელოვნური ორგანიზმი ჩაუდგეს, მაგრამ აქაც არ გაუმართლა პატარას: მოხდა ქირურგიული შეცდომა და ხელოვნური ორგანიზმი, მარჯვენის ნაცვლად, მარცხენა მხარეს ჩაუდგეს. განმეორებითი ოპერაცია მესამე დღესვე გახდა საჭირო...*

*დაბადებიდან დღემდე ტატო მურცხვალაძემ 5 ოპერაცია გადაიტანა. ოჯახმა გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, ბავშვს მაინც ვერა და ვერ ეშველა: ვერ ლაპარაკობდა, ვერ დადიოდა, ფეხზე დგომაც კი არ შეეძლო. გოგიტა მურცხვალაძე ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა, ჩაიცვა რკინის ქალამნები, დაიჭირა რკინის ჯოხი და ქვეყანა შემოიარა. ოპერაციისთვის საჭირო თანხა დიდი გაჭირვებითა და ბევრი დამცირების ფასად გროვდებოდა. კეთილი ადამიანების წყალობით კი, ოპერაციის გაკეთება შესაძლებელი ხდებოდა. ამის მიუხედავად, მდგომარეობა უკეთესობისკენ არ იცვლებოდა. ტატოს თავში წარმოქმნილმა კისტამ კატასტროფული სისწრაფით იწყო ზრდა, დააწვა ტვინს და დიდი ადგილი დაიკავა. ამან განავითარა ეპილეფსია. ტატოს დღეში 20-25-ჯერ ემართებოდა გულყრა.* ***გოგიტა მურცხვალაძე*** *გვიამბობს:*

— შარშან, როდესაც „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა წერილი ბერი გაბრიელის ცხოვრებაზე და მისი გარდაცვალების შემდეგ მომხდარ ღვთიურ სასწაულებზე, მთელი წელიწადი ვცდილობდი, როგორმე მომეხერხებინა მის საფლავზე სალოცავად წასვლა, მაგრამ თითქოს ეშმაკი მეღობებოდა და მაბრკოლებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გატყდა ნავსი და წელს, მარტში, ოცამდე მეზობელი წავედით მცხეთაში. მე და ჩემს მეუღლეს გულშიაც კი არ გაგვივლია ეჭვი, მამა გაბრიელის კანდელის ზეთის სამკურნალო თვისებაზე. ვიცოდით, რისთვისაც მივდიოდით და გვწამდა...

მცხეთაში რომ მივედით და საფლავს მივუახლოვდით, ჩემს შვილს ვატყობდით, რომ მოუსვენრობა დაეტყო. ინვალიდის ეტლში ვეღარ ჩერდებოდა და საფლავთან მიახლოებას ითხოვდა. ჩამოვსვით ეტლიდან და საფლავთან ახლოს დავსვით. ბავშვი მუხლებით მიუახლოვდა საფლავს, ჯერ ხელები დააწყო ზედ, მერე კი შუბლით ემთხვია და ასე, მლოცველის პოზაში იჯდა კარგა ხანს. ეს იყო პირველი სასწაული. დაბადებიდან პირველად დამოუკიდებელი მოქმედების გადაწყვეტილება მიიღო. მცხეთიდან ჩამოსვლის მესამე დღეს, ჩვენ ისევ ჩვენი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდით. ტელევიზორთან ვიჯექი, ჩემი მეუღლე კი ვახშამს ამზადებდა. ამ დროს მოგვესმა ბავშვის ხმა. ის გვეძახდა და სანამ მივხვდებოდით, რაში იყო საქმე, თავისი ფეხით შემოვიდა ჩვენს ოთახში. ძალიან გახარებული, ძალიან ბედნიერი, გვეძახდა და ჩვენკენ მოდიოდა. უცებ მოვედი აზრზე და შემეშინდა: ახლა რომ ხმამაღლა დავიყვირო, ან ზედმეტი ემოცია გამოვხატო, შეიძლება ბავშვიც შეშინდეს-მეთქი და მეც არ ვიცი, როგორ შევიკავე თავი... მას შემდეგ ტატოს მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. ისწავლა კოცნა, მოფერება, ის კი არა — კარს ღიად ვერ ვტოვებთ — სახლიდანაც კი გვეპარება და ორი სართულით დაბლა ჩადის ხოლმე.

მთელი ოჯახი ვცდილობთ, ეკლესიურად ვიცხოვროთ. ის, რაც ჩვენ გადაგვხდა თავს, ნამდვილი სასწაულია. დავდივართ ეკლესიებში და სანთლებს ვანთებთ მათთვისაც, ვინც გაჭირვების ჟამს ფინანსურად თუ მორალურად გვეხმარებოდა. ღმერთმა დალოცოს მათი ოჯახები! ამ სასწაულამდე ვფიქრობდით, ისევ გვეთხოვა ხალხისთვის შემწეობა და ტატო გერმანიაში საოპერაციოდ წაგვეყვანა. მდგომარეობა კი ისე სწრაფად იცვლება, რომ შესაძლოა, გერმანიის ნაცვლად, იერუსალიმში — ქრისტეს საფლავზე ჩავიდეთ და უფალს მადლობა შევწიროთ. ვნახოთ. სიზმარიც რაღაც ამდაგვარი ვნახე: თითქოს იესოს ხელში დედამიწა ეჭირა, მე კი ტატოსთან ერთად ვლოცულობდი და თან ვეუბნებოდი — აი, შეხედე, ეს არის ქრისტე-მეთქი.

*მურცხვალაძეების ოჯახმა მომხდარი სასწაულის შესახებ პირველად მამა გაბრიელის სულიერ შვილს — დედა პარასკევას აუწყა (ის წმ. ნინოს დედათა მონასტრის მონაზონია), ამიტომ მცხეთაში წასვლა და მისი მონახულება გადავწყვიტეთ. როდესაც დედა პარასკევა მოვიკითხეთ, — მამა გაბრიელის საფლავზეა დაყუდებული და ლოცულობსო, — გვითხრეს მონაზვნებმა. დედაოს მართლაც იქვე, ფერისცვალების ეკლესიის ეზოში, თავისი*

*მოძღვრის საფლავთან შევხვდით.*

**— დედაო, იქნებ ინვალიდი ბიჭუნას, ტატო მურცხვალაძის პირველი სტუმრობის ამბავი გაიხსენოთ?**

— ტაძარში ცოტა ვინმე თუ მოდის დავრდომილის ეტლით. ამიტომაც მათ უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ ხოლმე. მშობლებმა ტატო აქ პირველად რომ მოიყვანეს, ძალიან შევწუხდით და ვკითხეთ, რა აწუხებდა ბავშვს, რატომ იყო ეტლზე მიჯაჭვული. როცა გვითხრეს, რაშიც იყო საქმე, ზეთი ვაცხეთ, სახლშიც გავატანეთ და ვთხოვეთ, რომ ყოველ დილა-საღამოს შუბლსა და მუხლისთავებზე ჯვრის სახით ეცხოთ. მართლაც ასე მოქცეულან. მალე ისევ მოვიდნენ და გვითხრეს — ტატომ აქ ყოფნიდან მესამე დღეს გაიარაო.

**— ალბათ მშობლები ძალიან გახარებულები იყვნენ, არა?**

— კი, ძალიან გახარებულები და ბედნიერები იყვნენ. ეს მართლაც დიდი საოცრება და სასწაული იყო! ასეთი რამ ხომ ხშირად არ ხდება. თვითონ ტატოც ძალიან გახარებული ჩანდა, თუმცა თავიდან განკურნების დიდი იმედი არ ჰქონდათ. უბრალოდ, ესეც სცადეს — თან, ეტყობა, ტატოს დედამ რაღაც დედური გუმანით იგრძნო, რომ შვილს ეშველებოდა და გულმა ალბათ იმიტომ გამოუწია აქეთ.

**— საერთოდ, მორწმუნე, ეკლესიური ადამიანები თუ არიან?**

— როგორც საუბრიდან ჩანდა, ტატოს მამა ძალიან მორწმუნე და ეკლესიურია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! აქედან წაღებული ზეთით უამრავი ურწმუნო ადამიანიც იკურნება. ის კი არა და, მცხეთაში ახალაშენებულ წმ. ნინოს ეკლესიაში, ორი კვირის წინ მუსულმანისთვისაც წაუსვამთ ზეთი (თურმე 15 წლის განმავლობაში რაღაც უკურნებელი სნეულება ტანჯავდა) და იმ წუთშივე განკურნებულა. გახარებული ჩვენთან ტაძარში მოვიდა და გვთხოვა — ქრისტიანად მოვინათლებიო. ესეც ხომ სასწაულია!

**— რომ მითხარით უამრავი სასწაულის მოწმენი ვხვდებით ხოლმეო, იქნებ რამდენიმე მათგანი კიდევ გაიხსენოთ?**

— საგურამოელმა ქალმა წაიღო ზეთი: რაღაც სნეულებისგან ენა მიბუჟდება ხოლმე და ექიმმა მითხრა, სასწრაფოდ ოპერაცია უნდა გაიკეთოო. რამდენიმე კვირის შემდეგ მოვიდა და ასეთი ამბავი მოგვიყვა:

„პირველად რომ წავისვი ზეთი, ენის დაბუჟება მაშინვე მომეხსნა, მაგრამ მესამე დღეს ვიგრძენი, რომ ენა ისევ მიბუჟდებოდა. იმ ღამეს ისე დავიძინე, ზეთი აღარ წავისვი: გული გამიტყდა: — ალბათ არ მშველის-მეთქი, ვიფიქრე. სიზმარში თეთრწვერა, ჭაღარა კაცი ვნახე — მღვდლის სამოსი ეცვა და გულზე ჯვარი ეკიდა. მამა გაბრიელს ჰგავდა. მითხრა: რომ გაიძახი, ამ ზეთმა მაინც არ მიშველა და აღარ წავისვამო, არ გილოცია და როგორ გიშველისო?!.. ვუპასუხე: რა მოხდა მერე, რწმენა ხომ მაქვს-მეთქი! არ ლოცულობ და რა რწმენა გაქვსო — მითხრა... მეორე დღეს, დილითვე ვილოცე, მერე ზეთი წავისვი და დავლიე კიდეც. ერთი კვირის შემდეგ ექიმთან რომ მივედი, გაოცებულმა მითხრა: საერთოდ არაფერი გჭირს და საოპერაციოც აღარ ხარო. სრულიად ჯანმრთელი ვიყავი“.

ერთ თბილისელ ქალბატონს კი (ექიმია პროფესიით) როგორც თვითონ ამბობს, მამა გაბრიელმა დედა გაუცოცხლა. ის ქალი თვითონ მოვიდა ტაძარში და ასეთი რამ გვიამბო: „დედაჩემი ყოველთვის ჩემ გვერდით წევს ხოლმე. ერთხელ, დილით მისმა ხრიალმა გამაღვიძა: კვდებოდა. ზეთი ძალით დავალევინე, შუბლზეც ვაცხე. ორი საათის განმავლობაში ასე ვებრძოდი დედაჩემის სიკვდილს. დედას პარალიზებული ჰქონდა ხელი და უნებლიე მოძრაობით ზეთს იშორებდა შუბლიდან. მამა გაბრიელის საფლავიდან წამოღებული სანთელიც ავანთე და ღმერთს შველა ვთხოვე. თითქოს იმ დროს ვიღაც მკარნახობდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი: ხან ზეთს ვუსვამდი შუბლზე და ხანაც ნაკურთხ წყალს. „სასწრაფო დახმარებაც“ გამოვიძახე. ექიმმა მითხრა: დედაშენი უკვე გარდაცვლილია და აზრი აღარა აქვს საავადმყოფოში წაყვანას, პულსიც აღარ ესინჯებაო. არ დავუჯერე. დედა ორი-სამი საათის შემდეგ ფეხზე წამოდგა და ლაპარაკიც დაიწყო, აბსოლუტურად გამოჯანმრთელდა“. გახარებული ქალი ტაძარში რომ მოვიდა, გადამეხვია და ლამის ყვირილით მამცნო: იცით, მამა გაბრიელმა მკვდარი დედა გამიცოცხლაო!

**გოგიტა მურცხვალაძე ქალიშვილთან ერთად**

*დაბოლოს: როგორც დედა პარასკევამ გვითხრა, ამ სასწაულმოქმედი ზეთის წყალობით თურმე არაერთ წყვილს, რომელიც წლების განმავლობაში შვილს ნატრულობდა, ბავშვი გაუჩნდა... ასეა: თუ მაინცდამაინც სასწაულები გვჭირდება იმისთვის, რომ უფლის არსებობა ვირწმუნოთ, — სასწაულები მართლაც ხდება!..*

■

**ბერი გაბრიელის საფლავს მომლოცველი არასოდეს აკლდა, მაგრამ ახლა მათი რაოდენობა გაათმაგდა...**

**დედა პარასკევა გაბრიელ ბერის საფლავთან**

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა ღვალი
### უბის წიგნაკიდან:

1. ნუკუალოფა ტონგას დედაქალაქია.
2. საახალწლო ნაძვის ხის სამშობლო გერმანიაა.
3. ციხეში მყოფი ალ კაპონე თანამესაკნემ მაკრატლით დაჭრა.
4. „ყველა აწყობს თავის გეგმებს, სანამ ყბაში არ მოადებენ“ — ამბობენ ამერიკელი პროფესიონალი მოკრივეები.
5. სტივენ სიგალი აიკიდოს უბადლო ოსტატია.
6. რუსეთში პირველი ორთვლიანი სატერფულიანი ველოსიპედი, რომელსაც წამყვანი დიდი თვალი და უკანა პატარა თვალი ჰქონდა, ყმა ხელოსანმა არტამონოვმა გამოიგონა. ამ ველოსიპედით იგი 1801 წელს ვერხოტურიედან (ქ. პერმის მახლობლად) პეტერბურგში ჩავიდა.
7. ალექსანდრე მაკედონელს ოთხმოცქალაქამდე (ალექსანდრიები, ალექსანდრეპოლისები, ნიკიები და ნიკიფორიები) აქვს აშენებული.

P.S. ლევან სანიკიძე მას ქალაქთმშენებლობის „მსოფლიო მანიაკს“ უწოდებს.

8. კობრისებრთა ოჯახის თევზის ერთერთ სახეობას თაღლითა ჰქვია.
9. ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მომუშავე ერთ-ერთი ექიმის გამოთვლით, იქაურ პატიმართა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატებოდა.
10. ძაღლებს მეტად მარტივი წესით წონიან: პატრონი ხელში იყვანს ოთხფეხს და მასთან ერთად იწონება, რის შემდეგაც სასწორზე ნაჩვენებ წონას საკუთარ წონას აკლებს.
11. „— ნეტა გამაგებია, გასცვლის თუ არა ფრანცია საქართველოზე აი შენობას ყოლიფერი სიმდიდრით, აქინე რომ ალაგია?“ — ეს სიტყვები კვაჭი კვაჭანტირაძემ ლუვრის დათვალიერების შემდეგ წარმოთქვა.

12. ნიანგის ხორცი მამაკაცში ქალის განაყოფიერების უნარს კლავს.
13. სიკვდილმისჯილის ჯვარზე მილურსმვა ძველი რომაული წესია. ამ წესით დასჯილ ადამიანს ფილტვები უშუალდება და გაგუდვისაგან იღუპება.
14. აკაკი წერეთლის მამას, როსტომ წერეთელს, ერთი გლეხი ხარკის სახით ნახევარ კვერცხს უხდიდა. ყოველი თვის ბოლოს ეს გლეხი ბატონს ეახლებოდა და მიჰქონდა ერთი კვერცხი. დაანთებდა ცეცხლს, შემოდგამდა ქვაბით წყალს, მოხარშავდა



# პრეზიდენტი:

## ვინ, ქალებზე ამბობ, შვილო?.. ახლაც რომ მთხოვონ, ოჯახი არ დავიწყო...

**გოჩა ტყეშელაშვილი**

*„ავლაბრის“ მეტროს გვერდით, გარე მოვაჭრეებთან გავაჩერე მანქანა და მეარღნე ვიკითხე. იქაურებს გამოცოცხლება დაეტყოთ.*

*— ვა, ვანო პაპას სახლი გაინტერესებს? — მკითხა ქერა ახალგაზრდამ სომხური აქცენტით.*

*კი-მეთქი, თავი დავუქნიე.*

*— არხეინა აი, იმ ქუჩას რომ აჰყვები, — ხელით მიმანიშნა ვიწრო ქუჩისკენ ჭარმაგმა კაცმა, — სულ ბოლოში ცხოვრობს.*

*მადლობა გადავუხადე და ის იყო, მანქანა უნდა დამეძრა, რომ ერთი ოქროსკბილება ქალბატონი გამომელაპარაკა:*

*— ვალოდა ახლა სახლში არ იქნება, სამსახურშია. მეც გამოგყვებით, მაგასთან ცუდ საქმეზე არ უნდა მიდიოდეთ, იქნებ მეც ხეირი ვნახო.*

*იმ ქალბატონს იმედი გაუცრუვდა — ვერაფერი იხეირა, თუმცა ჩვენც გაწბილებულები დავრჩით: ვანო პაპა შინ მართლაც არ დაგვხვდა და იმ რესტორნისკენ გავწიეთ, რომელიც მიგვასწავლეს.*

*მოხუცი მეარღნე გარეთ, შესასვლელთან იჯდა. მივესალმე და — ინტერვიუსთვის მოვედი-მეთქი, ვუთხარი. თავი არ გამოუდვია და ფოტოსურათების გადაღებაზეც დავითანხმეთ.*

**— რა ხნისა ხართ, ვანო პაპა?**

— 1926 წელს დავიბადე, შვილო. შემოდგომაზე სამოცდათხუთმეტისა გავხდები. ისე, ხომ ჯეელივით გამოვიყურები?

**— კი, ღმერთმა ჯანი არ მოგაკლოთ! თბილისელი ხართ?**

— აბა, მაგას რა კითხვა უნდა? „კარენინი“ ავლაბრელი ვარ, ჩემი სახლი ხომ ნახე? აი მანდვე, მასეთივე ეზოში დავიბადე და გავიზარდე.

**— ძველებურ, თბილისურ ეზოში, არა?**

— მა რა, შვილო. კარგი მეზობლები გვყავდა, პურმარილიანი ხალხი იყო. საღამოს ნარდის, დომინოს ან ჭადრაკის თამაში გაჩაღდებოდა ხოლმე და ყველაფერი ქეიფით მთავრდებოდა.

**— ძუნწი მეზობლები თუ ცხოვრობდნენ თქვენთან?**

— არა, რას ამბობ?! რომც მოენდომებინა, ვერავინ იძუნწებდა... დურგლები, კალატოზები, მეთევზეები, დაბაღები და სხვები ერთად ტეხდნენ პურს.

**— თქვენი მშობლები ვინ იყვნენ?**

— 7 წლის ვიყავი, მამა რომ დამელუპა. ერთი წლის შემდეგ დედაც მიჰყვა. მამაჩემი მეღვინე იყო, „სირაჩხანაზე“ ღვინის დუქნები ჰქონდა. თუმცა, მე არ მინახავს — გადმოცემით ვიცი.

**— როგორ დაიღუპა?**

— რა ვიცი, შვილო, მოკვდა, რაღა?.. დედას, ომის წინა პერიოდში, ამერიკული სატვირთო მანქანები რომ იყო, „სტუდებეგერი“ — ეგ დაეჯახა...

**— ეი. ობლად იზრდებოდით?**

— კი, ობლად ვიზრდებოდი, მაგრამ ცუდი ბავშვობა არ მქონია. ომის წლებში მარო თარხნიშვილს ვახლდი ხოლმე ჯარისკაცების გასამხნევებელ კონცერტებზე და დოლზე ვუკრავდი. ძალიან კარგად მღეროდა!..

**— არღანს როდისღა მოჰკიდეთ ხელი?**

— საერთოდ, არღანს იმის მერე მოკიდე ხელი, როცა დოლზე სამღერი ცუდი ტექსტები შემოვიდა მოდაში...

**— ეგ რომელ ტექსტებზე ლაპარაკობთ?**

— შენც გეცოდინება. მე ეგეთი სიმღერები არ მიყვარს.

**— მაინც ვერ გავიგე, რომელ სიმღერებზე ლაპარაკობთ, ვანო პაპა, ერთი მაინც დამისახელეთ.**

— როგორ არ იცი? აი, ის, მაგალითად: „ბებია მყავდა პოვარი, დამირჩა გაუთხოვარი, დავალევინე მაჭარი...“ და ა.შ. მე ასეთი სიტყვები არ მომწონდა. სახლში პაპისეული არღანი მქონდა, ჰოდა, მოკიდე ხელი და დავიწყე მეარღნეობა. უკვე 50 წელზე მეტია, ამ საქმეს ვემსახურები.

**— სულ თბილისში მუშაობთ?**

— ქუთაისში, „გოგისვანიძეებში“, „ჩიხურაში“ და გელათის მთაზე რომ რესტორანია, იქ ვუკრავდი, ცოტა ხანი ზესტაფონშიც ვიმუშავე, მაგრამ უფრო მეტ დროს მაინც თბილისში, პრესტიჟულ რესტორნებში ვატარებდი.

**— ძველი და ახლანდელი თბილისური ქეიფები ძალიან განსხვავდება?**

— ძალიან, ძალიან განსხვავდება, შვილო. ომის დროსაც კი არ უჭირდა ხალხს ისე, როგორც ახლა. მაშინ ადამიანებს სამუშაო ჰქონდათ და იცოდნენ კიდეც, რისთვის მუშაობდნენ. ახლა სამუშაოც რომ იშოვონ, ხელფასს ვერ იღებენ.

ძველად, ქალაქურად, კაცურად ქეიფობდნენ. შაბათ-კვირას ეზო არ იყო თბილისში, ლხინისა და მუსიკის ხმა რომ არ გამოსულიყო. დღეს კი, ძირითადად, უნახავები — უცებ გამდიდრებულები ქეიფობენ. დროს ტარებას დღეს ის გემო აღარ აქვს...

— **რამდენი მეარღნეა თბილისში?**

— ჩემ გარდა, კიდევ ერთი მეარღნეა. ჩემზე უმცროსია.

— **ალბათ კარგ ფულს შოულობთ ყოველდღე?**

— ახლა დღეში 10-15 ლარი გამომდის. ზოგჯერ მაგდენიც არა მაქვს და ზოგჯერ ოდნავ მეტსაც ვშოულობ ხოლმე. ოთხი წლის წინ ერთ რესტორანში ვუკრავდი. ერთ დღეს 1.000 ლარიც კი გამომივიდა. მაშინ საშუალოდ 500 ლარს ვაკეთებდი დღეში.

— **ამდენი ფული სად მიგქონდათ?**

— ე-ე, შვილო, ფულს ბარაქა არა აქვს — ხელიდან უცებ იცის „გაძრომა". ოთხი შვილი და ექვსი შვილიშვილი მყავს. დილით რომ ავდგები, მაცივარს გამოვაღებ და დავინახავ, რა აკლიათ ბავშვებს — ჰოდა, პირველად, იმის მოსატანად მივდივარ. მერე მივხედავ ხოლმე საკუთარ თავს. აბა, სუფრასთან ვიჯდე, ვჭამდე და სახლში მშიერი ცოლ-შვილი მელოდოს — ეგ რა კაცობაა?!

— **ვანო პაპა, ალბათ მეუღლე არღნის დაკვრით მოხიბლეთ?**

— ეგ ცოტა სხვანაირი ამბავია. ახლა მეორე ცოლი მყავს: პირველი 1972 წელს დამეღუპა — ტრამვაი დაეჯახა. თორმეტი წელი იქნება, რაც ხელმეორედ ვიქორწინე დარეჯანზე. კარგი ქალია. საბჭოს მოედანზე ჩვენი არტელის — მედუდუკეების, მეზურნეების, დოლ-გარმონზე დამკვრელების, მეარღნეების „ოფისი" გვქონდა. იქ დავდიოდი ხოლმე. წვერს იქვე, სადალაქოში ვიპარსავდი. ჩემი დარეჯანიც იქ მუშაობდა. ჩემმა დალაქმა მკითხა — აბა, თქვი, როგორი გოგოაო? კარგი-მეთქი. გინდა, გაგაცნოო? რა თქმა უნდა-მეთქი. გამაცნო. ერთი წელი მაწვალა დარეჯანმა. ვეხვეწებოდი: ნუ მაწვალებ — ან დამთანხმდი, ან უარი მითხარი-მეთქი. ბოლოს დამთანხმდა. პატარა ქორწილი გვქონდა, შინაურები ვიყავით.

— **ვანო პაპა, არღანს და სუფრას სუსტი სქესის ტრფიალიც თან სდევს...**

— ვაა, ქალებზე ამბობ, შვილო?.. მაგაზე უარის თქმა როგორ შეიძლება?! ახლაც რომ მთხოვონ, უკან არ დავიხევ (იცინის)...

— **თქვენ სულ ნასვამ ხალხში გიწევთ ყოფნა. უთანხმოება არავისთან მოგსვლიათ?**

— არა, არასოდეს მიჩხუბია. ეს ისეთი ინსტრუმენტია, რომ ამით კაცი, თუ კეთილი გული და ტკბილი ენა აქვს, ოჯახსაც შეინახავს, მეგობრებსაც შეიძენს და არც ჩხუბი მოუვა ოდესმე...

— **თქვენი არღანი ალბათ ძვირი ღირს?**

— არღანი ყოველთვის ძვირი ღირდა. ჩემი არღანი 150 წლისაა და ჩემი წინაპრების დანატოვარია. მეც შვილიშვილებს დავუტოვებ, რომელსაც ყველაზე მეტი ნიჭი აღმოაჩნდება, იმას დარჩება და ის გაჰყვება ამ საქმეს. საშუალო არღანი 2.000-დან 3.000 დოლარამდე ღირს, კარგის ფასი 5.000 დოლარამდეც ადის.

— **ვანო პაპა, არხეინა რატომლა შეგარქვეს?**

— მე ვანო ვარ სომხიშვილი, ავლაბრელი კაცი. მთელი ცხოვრება სიკეთით ვცხოვრობ, აგერ სამოცდათხუთმეტი წლისა გავხდები მალე და ფულსა და სიმდიდრეზე არასდროს მიოცნებია. გულს დარდს არ ვაკარებდი და ეტყობა, მაგიტომაც შემარქვეს არხეინა. ისე, არხეინა მე კი არა, ხელისუფლებაში რომ ხალხი ზის, იმათ უნდა ერქვათ: ვა, კაცო, რა გული უძლებთ — თვითონ კარგად იყვნენ და ხალხი შიმშილობდეს... გინდა, ბოლოს ერთ კარგ რამეს გეტყვი?

— **რა თქმა უნდა...**

— ერთი ბრძენი კაცი (იეთიმ გურჯიო, ასე მითხრეს), დღისით, მზისით ანთებული ფარნით დადიოდა თურმე და როცა ეკითხებოდნენ, რას ეძებო — კაცებსო, ასე პასუხობდა. შვილო, საქართველოში რაც დღეს გაჭირვებაა, ასეთი არასოდეს ყოფილიყოს და კაცობის ის დეფიციტი, რაც დღეს არსებობს, არასოდეს გვქონოდეს, ხომ გამიგე?! კარგად იყავი! ღმერთმა გაგიმარჯოს!

■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეიჩა დვალი
### უბის წიგნაკიდან:

კვერცხს, ნაჭუჭს მოაცლიდა, ძაფით შუაზე გაყოფდა, ნახევარს ბატონისთვის ტოვებდა, მეორე ნახევარი კი უკან მიჰქონდა.

P.S. ამ გლეხს იმდენად ჰქონდა მობეზრებული ეს უაზრო პროცედურა, რომ ბატონს ეხვეწებოდა, ოღონდ ეს ხარკი მომიხსენი და საჩუქრად ძროახას მოგართმევო. როსტომ წერეთელს არაფრის გაგონება არ სურდა — „წინაპრების ტრადიციას ვერ დავარღვევო".

15. ჩხრიალა გველი ყველა გველზე უკეთესად იტანს სიცივეს.

P.S. სხვა გველებთან შედარებით ამერიკაში მას ყველაზე მეტი ადამიანი ჰყავს გასტუმრებული საიქიოში.

16. კოსმოსური ხომალდი „აპოლონი" ექვსჯერ დაჯდა მთვარეზე.

P.S. დედამიწის თანამგზავრის ზედაპირზე სულ თორმეტმა კოსმონავტმა ისეირნა.

17. ქალები, რომელნიც ცხოვრებაში ფსონს მხოლოდ თავიანთ სილამაზეზე აკეთებენ საბოლოო ჯამში აუცილებლად წაგებულნი რჩებიან.

18. ორთაბრძოლის დროს ორი ირემი ისე შეიძლება გადაეჭდოს ერთმანეთს, რომ შემდეგ დაღლილობისა და შიმშილისგან ამოსძვრეთ სული.

19. 1366 წელს თბილისში გავრცელებულმა შავმა ჭირმა მოსახლეობის ნახევარი იმსხვერპლა.

20. ქალაქი იაძუვაკამაცუ ერთ-ერთი ტურისტული ცენტრია იაპონიაში.

21. ალექსი ჭინჭარაულის მეორე სახელია წიქა, მამის სახელი — ლეკო. ხევსურეთში მას ლეკოთ წიქას ეძახიან, ენათმეცნიერების ინსტიტუტში — ლექსო პაპას.

22. 1943 წელს დიდი სამეულის შეხვედრაზე თეირანში რუზველტი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩერჩილს და სტალინის გულის მოგებას ცდილობდა.

P.S. ინგლისის პრემიერმინისტრის მაშინდელ მდგომარეობას ჟურნალ „დისქავერის" ერთ-ერთი დიქტორი ცოტა არ იყოს ირონიულად ახასიათებს: „მისგან მარჯვნივ ოჯდა დიდი ამერიკელი ბიზონი, მისგან მარცხნივ კი — დიდი რუსული დათვი, ხოლო შუაში, პატარა ინგლისელი ვირუკელა, რომელმაც ერთადერთმა იცოდა სახლისაკენ მიმავალი გზა".

■

მეგი ცანავა

ადვოკატი ზურაბ როსტომაშვილი

# „პროკურატურამ მახეში კიდევ ერთი უდანაშაულო გააგა“

## გამომძიებელმა მის მიერ ჩადენილი უკანონობა ვერ უარყო

1999 წლის ზაფხულში, თბილისში, ვარაზისხევის მახლობლად მდებარე კაფე-ბარის მოპირდაპირე მხარეს ორმა ახალგაზრდამ არასრულწლოვან რენატ შეიხადინოვის მკვლელობა ჩაიდინა. ხანმოკლე ჩხუბის შემდეგ მათ გაქცეული ბიჭი დაიჭირეს, ერთი – შავმაისურიანი მას ხელ-ფეხს უკავებდა, მეორე – წითელმაისურიანი კი გულმკერდის არეში დანას ურტყამდა. მათ დაჭრილი იქვე მიატოვეს და გაიქცნენ. ქუჩაში გამვლელების მიერ გამოძახებული „სასწრაფო დახმარების“ მანქანით რენატ შეიხადინოვი საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ექსპერტების თქმით, შეიხადინოვს სხეულზე მრავალი სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში ვაკის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა 17 წლის რენატ შეიხადინოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს. დაკავებული, ადრე ნასამართლევი 20 წლის დათო ნათელაშვილი აღმოჩნდა. სამართალდამცავთა თქმით, იგი სწორედ ის შავმაისურიანი იყო, რომელიც შეიხადინოვს ხელ-ფეხს უჭერდა და თავის მეგობარ წითელმაისურიანის მიერ მის სასიკვდილოდ დაჭრას შეუწყო ხელი.

აღნიშნული საქმის პროკურატურის მიერ შედგენილი ფაბულა ასეთია:

1999 წლის 22 ივნისს, დღის 2 საათისთვის რაზმაძის სახელობის მე-7 გიმნაზიის კურსდამთავრებულები – რენატ შეიხადინოვი, ირაკლი კიკნაძე და სერგო კოკოლია ამავე გიმნაზიაში ატესტატების ასაღებად მივიდნენ. ატესტატები მზად არ დახვდათ, თუმცა შინ დაბრუნების ნაცვლად, მათ ქალაქში გასეირნება გადაწყვიტეს. ჯერ საბავშვო ქალაქ „მზიურში“ წავიდნენ, მერე ზოოპარკში. იქ დაახლოებით საღამოს 6 საათამდე დყვეს, შემდეგ კი სახლებში წასვლა დააპირეს. ზოოპარკის ცენტრალურ შესასვლელთან, ავტობუსების გაჩერებასთან მათ დაუძახა დათო ნათელაშვილმა, რომელიც გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, გაჩერებასთან, ბეტონის მოაჯირზე იყო ჩამომჯდარი. მან ბიჭები თავისთან მიიხმო. ნათელაშვილის გვერდით მჯდომს, რომელსაც ტანთ წითელი მაისური ეცვა, ხელში გასაშლელი დანა ეჭირა. დანას ბიჭების თვალწინ ხან კეცავდა, ხან შლიდა. მათ შეიხადინოვს და მის მეგობრებს ჯერ სიგარეტი სთხოვეს, მერე შესთავაზეს გვერდით მისჯდომოდნენ. ჰკითხეს – რომელ უბანში ცხოვრობთო... საუბრის შემდეგ ნათელაშვილმა კოკოლიას ფული მოსთხოვა. კოკოლიამ უთხრა, რომ სულ 40 თეთრი ჰქონდა და ისიც თავად სჭირდებოდა. დანის შიშით, რომელსაც წითელმაისურიანი მათ ცხვირწინ საეჭვოდ უტრიალებდა, მან ნათელაშვილს 20 თეთრი მაინც მისცა. ამ უკანასკნელმა კოკოლიას ყელზე ოქროს ძეწკვიც შეამჩნია და ბიჭს ამჯერად მისი შეხსნა და მისთვის მიცემა უბრძანა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ მუქარასა და ძალადობას მიმართეს: კოკოლიას ძეწკვი მაინც შეხსნეს. ამის დანახვაზე რენატ შეიხადინოვმა თავისი ვერცხლის ძეწკვის გადარჩენა სცადა და იგი შარვლის ჯიბეში დამალა. ნათელაშვილმა და მისმა მეგობარმა ეს შეამჩნიეს და დანის მუქარით მას ძეწკვი, ირაკლი კიკნაძეს კი, 50 თეთრი წაართვეს – მეტი ფული მათ არ აღმოაჩნდათ. ამის შემდეგ წითელმაისურიანმა დანა ჯიბეში ჩაიდო. შეიხადინოვმა მოძალადეებს ნივთების დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ პასუხად მხოლოდ გინება და უხეში მიმართვა მიიღო. ნათელაშვილთან ერთად მყოფმა, გამოძიებით დაუდგენელმა პიროვნებამ მას სახეში ხელი ჰკრა და უკან უბიძგა. ამჯერად მისკენ შეიხადინოვმა გაიწია, თუმცა წითელმაისურიანმა ჯიბიდან დანა ისევ ამოიღო და მას მოუღერა. მეგობრის დახმარებას ნათელაშვილიც შეეცადა, მაგრამ იგი კოკოლიამ და კიკნაძემ დააკავეს. ნათელაშვილმა მათ ცემა და გინება დაუწყო, ჩხუბის დროს მან კიკნაძეს მაისურიც შემოახია. დანიანი პიროვნების შიშით, შეიხადინოვი ვარაზისხევის მიმართულებით გაიქცა. ნათელაშვილი და მისი მეგობარი მას გამოეკიდნენ, ხოლო კიკნაძე და კოკოლია მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელისკენ გაიქცნენ. შეიხადინოვს ნათელაშვილი და წითელმაისურიანი მალე წამოეწივნენ, კაფე-ბარის მოპირდაპირე მხარეს დაიჭირეს და ორივემ ხელებითა და ფეხებით ცემა დაუწყო. ნათელაშვილმა შეიხადინოვის გაკავება მოახერხა, მას გაქცევისა და წინააღმდეგობის გაწევის საშუალება არ მისცა, ამით ისარგებლა მეორემ და ბიჭს, განზრახ მოკვლის მიზნით, დანა სიცოცხლისათვის საშიშ ადგილებში – გულმკერდის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა. ამის შემდეგ ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პროკურატურამ დათო ნათელაშვილს ეს ბრალდება 2000 წლის 16 თებერვალს წარუდგინა. ნათელაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო და ბრალდებულის სახით პასუხისგების მიცემის შესახებ დადგენილებას ხელი არ მოაწერა. მან არც საბრალდებო დასკვნა მიიღო, თუმცა ჩვენება სასამართლოს მისცა. განსასჯელი თავს სრულიად უდანაშაულოდ აცხადებს და აღნიშნავს, რომ მკვლელობის დღეს იგი თბილისში არც ყოფილა, რისი მოწმეებიც ჰყავს.

ნათელაშვილის თქმით, 1999 წლის 22 ივნისს, დილის 11 საათიდან ის ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში იმყოფებოდა. დაახლოებით 1 საათისთვის ცაგარელის ქუჩაზე, მეგობრის – თემურ ფხალაძის სახლში მივიდა. იქ მას სხვა მეგობრებიც – გიორგი გაჩეჩილაძე და ძმები ავთო და გიორგი ჩავლეიშვილები დახვდნენ. ავთომ დათოს დიდუბეში, თავისი ბიძის სახლში წასვლა შესთავაზა. ისინი ავთოს „ნივაში“ ჩასხდნენ, გიორგი ჩავლეიშვილი კი გიორგი გაჩეჩილაძეს ჩაუჯდა „ტოიოტაში“. ჩავლეიშვილების ბიძის სახლიდან, დაახლოებით დღის 4 საათისთვის, ყველა (მათ შორის ჩავლეიშვილების ბიძაც) ცხინვალისკენ გაემართნენ. ცხინვალში წასვლის მიზეზი, განსასჯელის თქმით, ის გახლდათ, რომ ჩავლეიშვილების მანქანას – „ნივას“ იქაური სანომრე ნიშნები ჰქონდა და სურდათ გაერკვიათ, თუ როგორ შეძლებდნენ აღრიცხვიდან ავტომობილის მოხსნას. გზაზე, ერთ-ერთ სოფელში „ნივა“ თხრილში ჩაუვარდათ. მანქანის ამოყვანა თავად ვერაფრით შეძლეს და ადგილობრივი მცხ-

**მოკლული რენატ შეიხადინოვი**

ოვრებლები – 5-6 ბიჭი დაიხმარეს (ნათელაშვილი აცხადებს, რომ მათი სახელები არ იცის, მაგრამ სახით ყველა მათგანს ამოიცნობს). როგორც იქნა, „ნივა“ თხრილიდან ამოიყვანეს და გზა განაგრძეს. თბილისში რომ ჩამოვიდნენ, უკვე საღამოს 8 საათი იქნებოდა. დათო ნათელაშვილი პირდაპირ შინ მივიდა. ოჯახის წევრებისთვის მას ცხინვალში ყოფნის შესახებ არაფერი უთქვამს.

პროკურატურამ დათო ნათელაშვილის ეს ჩვენება არ გაიზიარა. არგუმენტად ის მოჰყავს, რომ ნათელაშვილი მოწმედ დაკითხვისას ამბობდა – 22 ივნისს მეგობრებთან ერთად თბილისში, ფხალაძის სახლში ვიყავი, იქ საღამოს 11 საათამდე გავჩერდი და მერე შინ წავედიო. პროკურატურის თანამშრომელთა მტკიცებით, ეჭვმიტანილად დაკითხვის დროს მან აღნიშნა, რომ იმ დღეს სოფელ არაგვისპირში წავიდა, ბრალდებულის სახით დაკითხვისას კი, ცხინვალი დაასახელა. გამომძიებლის აზრით, ნათელაშვილმა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები იმიტომ დაწერა, რომ არც ერთი მათგანი სიმართლეს არ შეეფერება, ხოლო ცხინვალი ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ ალიბად გამოიყენა, რათა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულის გამო.

მოსამართლის შეკითხვას – რატომ დაასახელა პირველად არაგვისპირი და არა ცხინვალი, თუკი სინამდვილეში მართლაც ცხინვალში იყო წასული, განსასჯელმა უპასუხა:

***„როცა პოლიცია ჩემს წასაყვანად მოვიდა, შევშინდი, ვიფიქრე, ალბათ ნასამართლევი ვარ და ეჭვის თვალით მიყურებენ, ცხინვალი რომ ვახსენო, იეჭვებენ, იქ ნარკოტიკებისთვის იქნებოდა წასულიო: ყველა იმაზე ლაპარაკობდა, რომ ნარკოტიკები ოსეთიდან შემოდიოდა და მისი შოვნა ყველაზე ადვილად სწორედ იქ შეიძლებოდა. მერე უკვე, როცა გავიგე, რაში მდებდნენ ბრალს, სიმართლე ვთქვი. გამომძიებელს ვუთხარი – არაგვისპირში კი არა, ცხინვალში ვიყავი-მეთქი. ისიც ავუხსენი თუ რატომ მოვერიდე ადრე ცხინვალის დასახელებას, მაგრამ ამის შესახებ ოქმში არაფერი ჩაწერა“.***

**დათო ნათელაშვილი** აცხადებს, რომ 1999 წლის 22 ივნისს ცხინვალში მის მგზავრობას მასთან ერთად იქ წასული მეგობრების გარდა, არაერთი მოწმე – ადგილობრივი მცხოვრებლები დაადასტურებენ. ვინ არიან ისინი – მომავალ სასამართლო სხდომაზე შევიტყობთ: მოწმეების ჩამოყვანას თავად განსასჯელის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეს უზენაესი სასამართლო უკვე მეორედ განიხილავს. რვა თვის წინ იგი მოსამართლე ალეკო ალადაშვილმა შეისწავლა და იმის გამო, რომ მისი თავმჯდომარეობით გამართულ სასამართლო სხდომებზე აღნიშნული საქმის მასალებში ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი – გაურკვეველი და დაუზუსტებელი, გამომიების წარმოებაში კი არაერთი სიყალბე და უკანონობა აღმოჩნდა, მან საქმე ხელახლა გამოსაძიებლად ქალაქის პროკურატურას გადასცა. განსაკუთრებით სადავო ის საგამოძიებო მოქმედებები გახდა, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით, დათო ნათელაშვილი ვაკის რაიონის პროკურატურამ რენატ შეიხადინოვის განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა: ყველა ეს ქმედება უკანონო აღმოჩნდა.

საინტერესოა, როგორ მოახდინეს სამართალდამცავებმა მუხლის კვალიფიკაცია? გამომძიებელი აცხადებს, რომ შავმაისურიანი, დათო ნათელაშვილია, წითელმაისურიანის ვინაობა კი ვერ დაადგინეს.

საქმის მასალების მიხედვით, რენატ შეიხადინოვს დანას წითელმაისურიანი ურტყამდა, შავმაისურიანს არც ერთი ჭრილობა არ მიუყენებია. ამას პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მოწმეები – მკვლელობის თვითმხილველებიც ადასტურებენ. დაზარალებულების – კოკოლიასა და კიკნაძის თქმით, იარაღი თავიდანვე წითელმაისურიანს ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ვაკის რაიონის პროკურატურამ დათო ნათელაშვილს, ძარცვახულიგნობის გარდა, განზრახ მკვლელობის მუხლიც მიუყენა. ქალაქის პროკურატურამ იგივე მუხლები დატოვა.

განსასჯელის ადვოკატი ამ დეტალზე განსაკუთრებულ ყურადღებას არ ამახვილებს, რადგან, მისი თქმით, შავმაისურიანი, დათო ნათელაშვილი არ არის.

**ზურაბ როსტიაშვილი**, დათო ნათელაშვილის ადვოკატი:

***„მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მასალებში უამრავი სიყალბე და უკანონო მტკიცებულებაა და ეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ალადაშვილმაც დაადასტურა, აღნიშნული საქმის წინასწარ ძიებაში დაბრუნებამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. ქალაქის პროკურატურის გამომძიებელმა ძველი ჩვენებები გადაიწერა, მოწმეებს იგივე გაამეორებინა, რაც ადრე ათქმევინეს, და ის უკანონო საგამოძიებო მოქმედებები, რის გამოც საქმე პროკურატურას დაუბრუნდა, უცვლელი დატოვა.***

***დათო ნათელაშვილის ბრალის დასამტკიცებლად, ერთი საფუძვლიანი მტკიცებულებაც კი არ გააჩნიათ. ეყრდნობიან მხოლოდ „ამოცნობას“: ეს გახლავთ საგამოძიებო მოქმედება, რომლის დროსაც დაზარალებულმა ან მოწმემ დამნაშავე ერთმანეთის მსგავს ოთხ ადამიანს შორის უნდა ამოიცნოს. დაზარალებულებმა – კოკოლიამ და კიკნაძემ ნათელაშვილს დაადეს ხელი, მაგრამ მათ სიტყვებს არ შეიძლება ვენდოთ: ვიდრე ამოცნობა მოხდებოდა, დაზარალებული კოკოლია და ნათელაშვილი სამორიგეოში, მთელი 5 წუთის განმავლობაში ერთად ისხდნენ. ნათელაშვილს იგი თურმე მასავით დაკავებული პირი ეგონა და შეეკითხა – რისთვის დაგაკავეს, რომელ უბნელი ხარო? ნათელია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მათი შეხვედრა სპეციალურად მოაწყვეს, რათა კოკოლიას ნათელაშვილის სახე კარგად აღექვა და დაემახსოვრებინა და ამოცნობისას რომ არ შეშლოდა. როცა ამოსაცნობად შეიყვანეს, ნათელაშვილმა გამომძიებელს კოკოლიასთან შეხვედრის შესახებ უთხრა,***

**განსასჯელი დათო ნათელაშვილი და მისი ადვიკატი ზურაბ როსტიაშვილი**



## მასწავლებლები რისკის ჯგუფში შედიან

საბედნიეროდ, ეს ჯერჯერობით არა ჩვენში, არამედ ამერიკაში, რადგან იქაურ სკოლებში უმცროს-უფროსობას შორის არსებული ურთიერთობები სულ უფრო ემსგავსება ნამდვილ ომს. ომი კი, როგორც ცნობილია, მსხვერპლს მოითხოვს. ჰოდა, ნიუ-იორკელ 14 წლის ნათანიელ ბრეიზილს („ასოშიეთედ პრესის“ ფოტოზე) ემსხვერპლა კიდეც მისი მასწავლებელი ბარი გრინოუ, რომელთანაც ბიჭს პირდაპირ გაკვეთილზე შელაპარაკება მოსვლია.

დაკავებულმა მოზარდმა პოლიციელებს უტიფრად უამბო, სად დაუმიზნა პისტოლეტი პედაგოგს და როგორ დაეცა მსხვერპლი. უთანხმოებასთან დაკავშირებით კი, განაცხადა – გრინოუ სისტემატურად მაკლებდა ნიშანს და ასე ნორმალურ ატესტატს ვერ ვეღირსებოდიო... ■

## მეკვლელობა ავტობუსში

ნორვეგიის დედაქალაქის მახლობლად, გარეუბან ბერგენში მიმავალ ავტობუსში ორი მოზარდი გადაეკიდა ერთ მგზავრს. ფული რომ ვერ წაართვეს, ბიჭებმა მუშტებით ცემა დაუწყეს და რამდენჯერმე გამეტებით ჩასცხეს თავში, ამის შემდეგ კი, უახლოეს გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩამოვიდნენ და გაუჩინარდნენ. არც ჩხუბის დროს და არც ხულიგნების გაუჩინარების შემდეგაც, მომხდარისთვის არც ერთ მგზავრს ყურადღება არ მიუქცევია. ნახევარი საათის შემდეგ, ბოლო გაჩერებაზე, მძღოლმა გალახული კაცი რომ აღმოაჩინა, „სასწრაფო“ გამოიძახა. 15-16 წლის ბიჭების მიერ მიყენებული დარტყმები იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. მოგვიანებით, მცირეწლოვანი ბოროტმოქმედები პოლიციამ დაიჭირა. ■

***მერე ამის შესახებ სასამართლო განხილვის დროსაც განაცხადა და ისიც თქვა, რომ მაშინ გამომძიებელმა მისი სიტყვები არ დააფიქსირა“.***

საქმის პირველი სასამართლო განხილვის დროს დაკითხულმა ვაკის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ბაკურ ჩიქოვანმა დასძინა:

***„მართალია, ნათელაშვილმა სამ-ორიგეოში კოკოლიასთან შეხვედრის შესახებ მითხრა, მაგრამ ოქმში ეს რატომ არ დავაფიქსირე, არ ვიცი“.***

ამჟამინდელ სასამართლო სხდომაზე კი მან აღნიშნა, რომ არ ახსოვს, ნათელაშვილმა კოკოლიასთან აღნიშნული შეხვედრის თაობაზე რამე თუ უთხრა.

**ზურაბ როსტიაშვილი:**

***„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებულს ამოსაცნობი პირი სხვა სამ პირთან ერთად უნდა წარუდგინონ. ისინი გარეგნობით და ჩაცმულობით მაქსიმალურად უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს. კოკოლიასა და კიკნაძეს კი გამომძიებელმა სამი პირის ნაცვლად, ნათელაშვილი ორ პირთან ერთად წარუდგინა. ისინი გარეგნულად ერთიმეორისგან ძალიან განსხვავდებოდნენ: ერთს თეთრი, ზოლიანი ტანსაცმელი ეცვა, მეორეს – მუქი ლურჯი, მესამეს კი – ჭრელი. ასეთი უხეში დარღვევების პირობებში მოპოვებული მტკიცებულება, კანონის თანახმად, დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება“.***

სასამართლო სხდომაზე გამომძიებელ ჩიქოვანს ამოცნობის დროს გადაღებული სურათებიც უჩვენეს. მან განაცხადა, რომ მართალია, აღნიშნული პირების გარეგნობა და ჩაცმულობა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა, მაგრამ ამას კანონის დარღვევად არ თვლის. თუმცა ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის არც ნათელაშვილი იყო ოფიციალურად ეჭვმიტანილად ცნობილი (იგი მოწმის სახით დაიბარეს, თუმცა სახლიდან პოლიციელებს მიაყვანინეს), არც კოკოლია და კიკნაძე ჰყავდათ ოქმებში დაზარალებულებად დამტკიცებულნი და ამოცნობა კანონის დარღვევით ჩაატარეს, ჩიქოვანმა ვერ უარყო.

**ზურაბ როსტიაშვილი:**

***„ისიც ცნობილი და დადასტურებულია, რომ ნათელაშვილის „ამოცნობამდე“ კოკოლია და კიკნაძე ორი დღე სურათების ალბომებს ათვალიერებდნენ: სურათებს, რომელზეც დავით ნათელაშვილი იყო, ქვემოთ მისი სახელი და გვარი ეწერა. სასამართლო პროცესზე დაკითხვისას, დაზარალებულებმა ეს დაადასტურეს. ერთ-ერთმა მათგანმა ჩხუბში მონაწილე შავმაისურიანის ფოტო-რობოტი შეადგინა და თქვა – ეს არის ნათელაშვილი, სასამართლოში კი განაცხადა – ფოტორობოტი ნათელაშვილს არ ჰგავდა, მაგრამ მე მაინც ასე ვთქვი: მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიყავი, მე კი ვაკის რაიონის პოლიციაში მინდოდა დროზე გავეშვი – იქ დედამამა მელოდებოდაო...***

***როგორ შეიძლება, ამის შემდეგ გამოძიება ამ პიროვნების ჩვენებებს დაეყრდნოს?!***

ჩვენს შეკითხვაზე, – რა დაინტერესება უნდა ჰქონოდა პოლიციას ან პროკურატურას ნათელაშვილის წინააღმდეგ ან საიდან გაჩნდა მისი დაკავების აზრი, მაშინ როცა განსასჯელის თქმით, იგი იმ დღეს თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა? – ზურაბ როსტიაშვილმა ასე გვიპასუხა:

***„არსებობს გამომძიებელ ჩიქოვანისადმი ვაკის რ-ის პოლიციის უფროსის – ბედიას მიერ მიწერილი წერილი, სადაც იგი ამბობს, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ დანაშაულში მონაწილეობა უნდა მიეღო (ანუ ეჭვმიტანილია) აქა და აქ მცხოვრებ დავით ნათელაშვილს. ეს, ოპერატიული ინფორმაცია კი არა, წინასწარ დაგებული მახეა. ნათელაშვილი ათვალწუნებული ჰყავდათ და გაუხსნელი საქმის „აკიდებას“ მისი მახეში გაბმა ამჯობინეს“.***

რაც შეეხება დაზარალებულს, მოკლულის მამას – უსმან შეიხადინოვს, მას დათო ნათელაშვილის დანაშაულში ეჭვი არ ეპარება. თუმცა, მისი რწმენა მთლიანად პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მასალებზეა დამყარებული. „დარწმუნებული ვარ, რომ განსასჯელი დამნაშავეა. დამნაშავე რომ არ იყოს, მაშინ შემთხვევის ადგილიდან არ გაიქცეოდა. თანაც, ჩემი შვილის მეგობრებმა ნათელაშვილი ამოიცნეს“ – აცხადებს იგი. საპროცესო კოდექსი და საგამოძიებო მოქმედებების კანონიერება ამ შემთხვევაში შვილმოკლული მამისთვის ნაკლებსაინტერესოა. ■

**მკვლელობა, რომელიც გენერალური პროკურატურის ერთ-ერთი განყოფილების პროკურორს, ვლადიმერ სირაძეს ედება ბრალად, დიდი ხმაურისა და აჟიოტაჟის შემდეგ, ჩრდილში მოექცა. ყურადღების მიღმა დარჩენილ საქმეში კი, როგორც ბრალდებული და მისი ადვოკატი აცხადებენ, გამოძიებით დაინტერესებულმა პროკურატურის თანამშრომლებმა უამრავი სიყალბის ჩადენა მოახერხეს.**

ადვოკატი მალხაზ გორდელაძე

# „სირაძე კაცისმკვლელად თანამდებობის პირებმა შერაცხეს“

## გენპროკურატურის ყოფილ თანამშრომელს ტაქსის მძღოლის მკვლელობა ედება ბრალად

*მეგი ცანავა*

აღნიშნული მკვლელობა, რომელსაც შპს „ალტექსის“ თანამშრომლის, ტაქსის მძღოლის – მიხეილ ბაზალელის სიცოცხლე შეეწირა, 2000 წლის 18 ივლისს, თბილისში, დიღმის მასივში მოხდა. პოლიციის თანამშრომლებმა ღამით, ფეხბურთის ბაზის პირდაპირ, 21-ე პოლიკლინიკის შენობის უკან შემავალ ქუჩაში „ფორდ-სიერას“ მარკის გაჩერებული ტაქსი შენიშნეს. საჭესთან, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად სასიკვდილოდ დაჭრილი მძღოლი – მიხეილ ბაზალელი იჯდა. მას ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. შემთხვევის ადგილზე პოლიციელთა მისვლისას, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, თუმცა უკვე სულს ღაფავდა და რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

პროკურატურის ინფორმაციით, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პოლიციელებმა დაადგინეს, რომ ბაზალელის მანქანაში ბოლო მგზავრი გენერალური პროკურატურის პროკურორი, 36 წლის ვლადიმერ სირაძე იყო. გაირკვა, რომ იმ დღეს იგი მეგობრებთან ერთად რესტორან „კარიბჭეში“ ქეიფობდა და იქიდან ტაქსით, მთვრალი წავიდა. სირაძეს სამსახურებრივი მოვალეობის გამო, პისტოლეტიც თან ჰქონდა, ამდენად, მასზე ეჭვი უცებ მიიტანეს.

ვლადიმერ სირაძეს პოლიციის თანამშრომლებმა დილით, საკუთარ ბინაში მიაკითხეს და განყოფილებაში წაიყვანეს. რამდენიმე ხანში, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, მომხდარი ფაქტის გამო ჩატარებული ძიების შედეგად, მას მიხეილ ბაზალელის მკვლელობაში ბრალი წაუყენეს და მის წინააღმდეგ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრეს.

ვლადიმერ სირაძე, რომელიც თავდებითაა გათავისუფლებული, ბაზალელის მკვლელობაში თავს თავიდანვე უდანაშაულოდ აცხადებდა.

მისი ჩვენებების მიხედვით, 2000 წლის 18 ივლისს, ღამის 12 საათზე მას ბიძაშვილმა – კარპეზ სირაძემ დაურეკა. იგი მეგობრებთან ერთად, რესტორან „კარიბჭეში“ ქეიფობდა და ვლადიმერ სირაძეც იქ დაპატიჟა. ეს უკანასკნელი დათანხმდა, ტაქსი დაიქირავა და რესტორანში მივიდა. იქ სასმელიც დალია, კარგად მოულხინა, რადგან ძალიან ახლობლური სიტუაცია იყო. როცა ვლადიმერ სირაძემ სახლში წასვლა დააპირა, კარპეზ სირაძემ რესტორანში მომუშავე ერთ-ერთ მიმტან ქალს, გვარად თამილიანს სთხოვა, ტაქსი გამოეძახა. მიმტანმა შპს „ალტექსში“ დარეკა და მანქანა დაიბარა. დაახლოებით 15 წუთში ტაქსიც მოვიდა, თანხა კარპეზ სირაძემ ბიძაშვილს მაშინვე გადაუხადა, თუმცა გზაში მძღოლს ფული – 5 თუ 10 ლარი სირაძემაც (როგორც თავად ამბობს) დაუმატა. როცა იგი შინ, თემქის დასახლებაში მივიდა, კარპეზ სირაძემ, რომელიც რესტორანში დარჩა, დაურეკა და ჰკითხა – რა ქენი, როგორ მიხვედიო? სირაძემ უპასუხა – კარგად, უკვე სახლში ვარ, ახლა ისევ საჭმელს ვჭამო.

**მალხაზ გორდელაძე,** ბრალდებულ სირაძის ადვოკატი:

***„სირაძის დაკავების უფლება ამ შემთხვევაში სამართალდამცავებს არ ჰქონდათ, რადგან კანონის მიხედვით იგი, როგორც გენერალური პროკურატურის პროკურორი, იმუნიტეტით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, პოლიციელები მას დილის 8-ის ნახევარზე დაადგნენ სახლში და გამოკითხვა დაუწყეს. სირაძემ მათ თავისი პისტოლეტი უჩვენა და უთხრა – აი, იარაღი, ნახეთ, შეამოწმეთ, აქედან ტყვია თუ არის ნასროლიო. წაიყვანეს განყოფილებაში. ისიც გაჰყვა, წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით – თავად უნდოდა მომხდარში გარკვეულიყო. დილის 8 საათზე უკვე განყოფილებაში იყვნენ. მივიდნენ თუ არა, პოლიციელებმა მაშინვე შეადგინეს სირაძის, როგორც ბაზალელის მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკავების ოქმი“.***

**სირაძის დაკავების უფლება ამ შემთხვევაში სამართალდამცავებს არ ჰქონდათ, რადგან კანონის მიხედვით იგი, როგორც გენერალური პროკურატურის პროკურორი, იმუნიტეტით სარგებლობდა.**

საქმე დიდუბის რაიონის პროკურატურაში აღიძრა. გამოძიების შედეგად სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ 18 ივლისს, ღამის 4 საათისთვის, მთვრალი ვლადიმერ სირაძე მიხეილ ბაზალელის ტაქსიში ჩაჯდა. გზაში ურთიერთშელაპარაკების შედეგად, მან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის გამო თან ჰქონდა, მიხეილ ბაზალელი განზრახ მოკლა.

**მალხაზ გორდელაძე:**

*„ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ტყვია, რომლითაც ბაზალელია მოკლული, სირაძეზე რიცხული „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის ტყვიის იდენტური არ აღმოჩნდა, იგი „ზიგზაუერის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდანაა გასროლილი. ეს რომ დაფიქსირდა, მერე ისეთი ხმები დაირხა, თითქოს ეს პისტოლეტი იმ დღეს ვლადიმერ სირაძემ ძმისგან ითხოვა. მისი ძმა, პრეზიდენტის აპარატის თანამშრომელი — მისი დაცვის წევრია და სამსახურებრივი მოვალეობის გამო მას „ზიგზაუერის“ სისტემის იარაღი აქვს. ეს დაინტერესებულ პირებს — გამოძიების ხელმძღვანელებს ისე უღრღნიდათ გულს, რომ ჩვენ საკუთარი ინიციატივით დავაყენეთ ვლადიმერ სირაძის ძმის დაკითხვის საკითხი. თუ ასეა, მაშინ მთელ გენპროკურატურაში, თანამშრომლებისგან, ვისთანაც სირაძე მეგობრობდა, ამოიღონ იარაღი და საყოველთაო ბალისტიკური კვლევა ჩაატარონ...*

*არ არსებობს არც მოწმე, არც სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს იმას, რომ სირაძეს ბაზალელთან მანქანაში ან სადმე სხვაგან ჩხუბი მოუვიდა, ხოლო მერე იარაღი ამოიღო და მძღოლს ესროლა. კერძო გამოძიებით დავადგინეთ, რომ საქმის მასალებში ყალბი დროა დაფიქსირებული.*

*რესტორნიდან ტაქსით შინ მისულ ვლადიმერ სირაძეს კარპეზ სირაძემ დაურეკა — აღნიშნული სატელეფონო საუბარი სპეციალურად გადავამოწმეთ „მაგთიკომში“ და დარეკვის დროდ ღამის 4 საათი და 13 წუთი დაფიქსირდა. საუბარი 2 წუთს — 4 საათსა და 15 წუთამდე გაგრძელდა“.*

საქმის მასალების მიხედვით, სირაძე ტაქსიში ღამის 4 საათზე ჩავდა, რადგან დადგინდა, რომ გამოძახების შემდეგ ბაზალელი ადგილზე 15 წუთში მივიდა. ოფიციალური ინფორმაციით, მიმტანმა „ალტექსში“ ღამის 03.45 სთ-ზე დარეკა. მანქანაში მგზავრის ჩაჯდომიდან 15 წუთის შემდეგ მძღოლი დისპეტჩერს რაციით აღარ პასუხობდა.

**მალხაზ გორდელაძე:**

*„გენპროკურატურის გამომძიებელმა თქვა: დისპეტჩერი ხელახლა რომ დავკითხე, მითხრა — ის დრო, რაც პირველ ჩვენებაში მიწერია, სწორი არ არის, გამომძიებელმა მიკარნახა — ასე დაწერეო.*

*დავადგინეთ, რომ მიმტანმა — თამილიანმა შპს „ალტექსიდან“ ტაქსი ზუსტად ღამის 03.28 საათზე გამოიძახა. რესტორანში ბაზალელი სავარაუდოდ, 03.36 სთ-ზე მივიდოდა. ღამის ტრასაზე „ფორდ-სიერას“ ამ მანძილისთვის ამდენი დროც არ დასჭირდებოდა. სხვათა შორის, პროკურატურის თანამშრომლებმა ექსპერიმენტი — რამდენ ხანში მივიდოდა ტაქსი რესტორნიდან სირაძის სახლამდე — „ჟიგულით“ ჩაატარეს. დისპეტჩერის პირველი ჩვენებით, ბაზალელი რაციით 5-ის ნახევრისთვის არ პასუხობდა, მეორე ჩვენებით კი, ეს დრო სავარაუდოდ, 03.50 საათი გამოდის.*

*აღსანიშნავია ისიც, რომ შემთხვევის ადგილზე მანქანის დათვალიერებისას ამოღებული თითის ანაბეჭდებიდან არც ერთი არ დაემთხვა ვლადიმერ სირაძისას. აქედან გამომდინარე, პროკურატურა ვერც იმას ამტკიცებს, ნამდვილად ოჯდა თუ არა სირაძე იმ ტაქსიში. „ალტექსის“ ფირმას 40-მდე მანქანა ჰყავს, იქნებ, სულ სხვა მანქანით წავიდა სირაძე სახლში? შემთხვევის ადგილის დათვალიერების პირველ ოქმში თითის 7-8 ანაბეჭდი იყო დაფიქსირებული, გამოძიებისადმი წარდგენილ დოკუმენტში კი მხოლოდ სამია. სად გაქრა დანარჩენი? საინტერესოა, ვის ან რატომ აფარებენ ხელს?“*

**მისი ძმა, პრეზიდენტის აპარატის თანამშრომელი — მისი დაცვის წევრია. ეს დაინტერესებულ პირებს ისე უღრღნიდათ გულს, რომ ჩვენ დავაყენეთ მისი დაკითხვის საკითხი.**

თუმცა, ადვოკატი გორდელაძე თვლის, რომ პროკურატურის თანამშრომლებმა ნამდვილ დამნაშავეებს კი არ დააფარეს ხელი, არამედ ვლადიმერ სირაძე გაწირეს და მას ყველაფერი სპეციალურად მოუწყვეს. თუ ვის ჰქონდა სირაძესთან შუღლი ან რატომ გაიმეტეს იგი, ამაზე ადვოკატი ჯერჯერობით აშკარად არაფერს ამბობს, თუმცა დასძენს, რომ მიზეზი ნამდვილად არსებობდა და მის უკან თანამდებობის პირები დგანან.

*„ისეთმა პიროვნებებმა დარეკეს და მოინდომეს სირაძის დაპატიმრება, შესთავაზეს — აიღე თავზე ეს დანაშაული, „პატარა სროკზე“ გაგიშვებთ და მალე გაგათავისუფლებთო, რომელთა გვარებს ჯერჯერობით არ დავასახელებ“* — აცხადებს ადვოკატი. „დაინტერესებულ პირთა“ დავალების შემსრულებლად კი, გენპროკურატურის გამომძიებელს — მინაშვილს ასახელებს. *„მინაშვილმა და მისმა „კანტორამ“ უამრავი საშინელი სიყალბე ჩაიდინეს — მხოლოდ იმ მიზნით, რომ სირაძე ბოლომდე გაეწირათ“,* — ამბობს მალხაზ გორდელაძე, თუმცა ფაქტია, რომ ყველაზე დიდი მსხვერპლი ამ ინტრიგებისა უდანაშაულო, ოჯახის სარჩენად რაიონიდან თბილისში სამუშაოდ ჩამოსული მიხეილ ბაზალელია.

**მალხაზ გორდელაძე:**

*„მიხეილ ბაზალელთან ვლადიმერ სირაძეს საჩხუბარი არაფერი ექნებოდა. რომც ეჩხუბა, იგი იმდენად ძლიერი აღნაგობის კაცი იყო, რომ სირაძეს ადვილად მოიგერიებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავეს მისთვის პირდაპირ ტყვია უნდა ესროლა, ბაზალელს კი სხეულზე ცემის შედეგად მიღებული ბევრი სხვა დაზიანებაც აღმოაჩნდა“.*

სამი თვეა, რაც აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ავთანდილ ქურხულიშვილი იძიებს. ადვოკატის თქმით, მას გამოძიების გაგრძელების არანაირი საფუძველი არა აქვს. იგი გენპროკურატურის ყოფილი თანამშრომლის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვს. ამ განცხადებით ადვოკატი უახლოეს დღეებში საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართავს.

■

**არც ისე დიდი ხანია, რაც სამეზობლოში ერთი კარგი გოგონა გავიცანი. ხათუნას საოცრად სპორტული აღნაგობა აქვს, ამიტომაც დაახლოებისთანავე ვკითხე — სპორტის რომელ სახეობას მისდევ-მეთქი. გაეღიმა. ახლა არაფერსო, მითხრა, ისე კი, ჩემი ოჯახი სპორტის თაყვანისმცემელია, ბიძაჩემი — შოთა აზარაშვილი ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ნაკრების წევრი იყო, ჩემი და, მაია კი — ცნობილი მძლეოსანია, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანიო. ხათუნა დამპირდა — როგორც კი გერმანიიდან ჩამოვა, შეგახვედრებთო. ამას წინათ, როცა ხათუნამ ოპერატიულად გამაგებინა დის ჩამოსვლის ამბავი, აზარაშვილების ოჯახს შინ ვეწვიე. მაია დაღლილი ჩანდა, ამიტომაც ვრცელი ინტერვიუსთვის მეორე დღეს, მძლეოსნობის ფედერაციაში ვესტუმრე. მისი — ფედერაციის გენერალური მდივნის კაბინეტთან უამრავი ახალგაზრდა ირეოდა. სპორტსმენებს ხალისი ეტყობოდათ. მაია სპორტული ტანსაცმლის დარიგებით იყო დაკავებული. მოცდა მომიხდა. ცოტა ხანში გათავისუფლდა და ღიმილით მომიბოდიშა: უკაცრავად, ვერ მოგხედეთ, მაგრამ ისეთ გაწამაწიაში ვართ, რომ იმედია, გამიგებთო...**

## „შეჯიბრებებზე ბევრი ჯერთვერი წასმიოვნია და ცოლობისის ბოლოთვლე ცხოვრში მოლოია...“

მარინა ბაბუნაშვილი

— **მაინც რა ხდება, რატომ ხართ გაწამაწიაში?**

— 22 ივნისს მძლეოსანთა ეროვნული ნაკრები (სულ 21 სპორტსმენი) რიგაში მიემგზავრება, სადაც ევროპის თასის მოსაპოვებლად იბრძოლებს. გუნდი ფიზიკურად კარგად არის მომზადებული. სპორტსმენებისთვის გერმანიიდან სპორტული ტანსაცმელი ჩამოვიტანე და ახლა, სწორედ განაწილება-გასინჯვით ვიყავით დაკავებულნი.

— **როგორ ფიქრობ, გამარჯვებით დაგვიბრუნდებიან?**

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი წარმატებით იასპარეზებენ. კარგა ხანს მძლეოსნობა, ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობები, გაყინული იყო ერთ ადგილას. ახლა კი, თვალში საცემია გამოცოცხლება და ინტერესი მძლეოსნობის მიმართ. ჩემი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანიც ქართული მძლეოსნობის აღორძინებაა. ბოლოს და ბოლოს, მძლეოსნობა ხომ „სპორტის დედოფლად“ არის აღიარებული, ამას გარდა, ეს ის სახეობაა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო შეჯიბრებებზე და ოლიმპიადებზე უამრავი ჯილდო და მედალი მოუტანა...

— **სეულის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი, უდავოდ, დიდი გამარჯვებაა. სეულამდე, როგორც ვიცი, ბევრ სპარტაკიადასა და ჩემპიონატში იასპარეზე და საკმაო წარმატებითაც. ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმ გზის გახსენება, რომელიც 11 წლის ასაკიდან სეულამდე და სეულიდან დღემდე გამოიარე.**

— ჩემი სპორტული ცხოვრების გახსენება ყოველთვის სიამოვნებას მგვრის. მეც და ჩემი დედმამიშვილებიც ბავშვობიდან მივსდევდით სპორტს, თუმცა, ჩემი პირველი გატაცება ჩოგბურთი გახლდათ. გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეებს ნორმატივები გვქონდა ჩასაბარებელი. ყველასთან ერთად მეც იძულებით, როგორც სავალდებულო გამოცდაზე, ისე გავედი და ყველა ნორმატივი შევასრულე. მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებას თვალს ადევნებდა სპორტის ოსტატი, ცნობილი მძლეოსანი გიორგი გოზალიშვილი. სწორედ მან აღმომაჩინა, როგორც მომავალი მძლეოსანი. მაშინ ბავშვების წინაღმდეგობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და მეც, ჩემდა დაუკითხავად, ჩოგბურთიდან მძლეოსნობაში გადამიყვანეს. ორი თვე ძალიან მიჭირდა, მაგრამ ახლა, როცა ჩემს წარსულს გავყურებ, სრულიადაც არ ვნანობ „ძალით“ გადადგმულ ნაბიჯს. ძალიან ვაფასებ გიორგი გოზალიშვილს, ეს ის კაცია, რომელსაც თავისი საქმისთვის არასოდეს უღალატია. მისი ენთუზიაზმი და მძლეოსნობისადმი სიყვარული ყველა მოწაფეს გვახასიათებს... ჩემთვის პირველი სერიოზული ასპარეზობა 1981 წელს, ჰავანაში გამართული სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა შეჯიბრება იყო. დებიუტი მართლაც კარგი აღმოჩნდა: 100 და 200 მეტრზე რბენაში მეორე და მესამე ადგილები დავიკავე. სეულამდე 1 წლით ადრე, 1987 წელს, ტაშკენტში სპარტაკიადა ჩატარდა. აქ უკვე დიდ წარმატებებს მივაღწიე: 100 მეტრი გავირბინე უმცირეს დროში (11.19 წმ) და ოქროს მედალი მივიღე, ხოლო როცა 200 მეტრი რეკორდულ დროში (22.51 წმ) დავფარე, მეორე ოქროს მედლითაც დამაჯილდოეს. მაშინ უკვე გათხოვილი ვიყავი. ჩემმა მეუღლემ, ზურაბ

**მარცხნიდან: მაია აზარაშვილი, მსოფლიო რეკორდსმენი მერილინ ოტი (იამაიკა) და ჰოლანდიელი ჟაკლინ პულმანი**

მემარნიშვილმა ამ სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედალი აიღო. ერთი სიტყვით, ქართულ ოჯახს იმ დღიდან მიაქციეს ყურადღება. შემდეგ იყო სეული და ის წარმატება, რომელმაც ოლიმპიადების ისტორიაში ჩემი სახელი და გვარი ჩაწერა.

**— მეუღლე სარბენ ბილიკზე გაიცანით?**

— ერთმანეთი სოხუმის სტადიონზე, ერთ-ერთ შეჯიბრებაზე გავიცანით — საქართველოს ჩემპიონატი ტარდებოდა. ორივე ფინალში გავედით და ჩემპიონებიც გავხდით. 1984 წელს დავქორწინდით, დევი (დევიდი) 1989 წელს შეგვეძინა.

**— ამბობენ, სპორტსმენებმა რომანტიკული სიყვარული იციანო, მართალია?**

— ალბათ. მთავარი ის არის, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს. სანამ გერმანიაში წავიდოდით, ზურა ჩემი მწვრთნელი იყო და მინდა აღვნიშნო, ძალიან კარგად მავარჯიშებდა. რაც შეეხება სიყვარულს, იგი დღესაც ხუმრობით ამბობს ხოლმე: „დაგინახე, შემიყვარდი, დავდნი ღორი ქონივითა...“

**— ვისი ინიციატივა იყო საზღვარგარეთ წასვლა და მუშაობა?**

— 90-იანი წლებიდან საქართველოს ეკონომიკასთან ერთად სპორტიც უკან და უკან რომ წავიდა, მივხვდით — აქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა: თუ სპორტსმენმა თავისი საუკეთესო პერიოდი დაკარგა, ჩათვალეთ, რომ ის ცოტა ხანში არარაობად იქცევა. ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე (ორივეს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტი გვაქვს დამთავრებული, ე.ი. მწვრთნელადაც შეგვეძლო მუშაობა), გაჩერება არაფრით არ შეიძლებოდა. ამიტომაც, 1993 წელს, როგორც კი სლოვენიიდან ჩამოსული ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტისგან საქმიანი წინადადება მივიღე, მაშინვე დავთანხმდი და გავაფორმე ერთწლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმად, ამ კლუბის სახელით უნდა მეასპარეზა. ერთ თვეში ზურაც ჩამოვიდა ბავშვთან ერთად.

**— აქტიური სპორტული ცხოვრება ტრავმების გარეშე არ არსებობს. ამ მხრივ, თქვენ როგორ გქონდათ საქმე?**

— ტრავმებით მეც და ზურაც საკმაოდ „მდიდრები“ ვართ. ფეხზე უამრავი ნაიარევი მაქვს. ყველაზე დიდი ტრავმა, რომელმაც საშინელი მოგონება და გულისტკივილი დამიტოვა, მანჰაიმში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, 1994 წელს მივიღე. მაშინ 60 მეტრზე წინასწარ გარბენში ძალიან კარგი შედეგი ვაჩვენე (7,27 წმ) და საქართველოს რეკორდი დავამყარე. ვგრძნობდი, რომ მეტიც შემეძლო და ფინალში მაქსიმალური სისწრაფით რბენას ვაპირებდი, მაგრამ შუა დისტანციაზე მოულოდნელად ტკივილისგან თვალთ დამიბნელდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ფეხი მომგლიჯეს. ძალიან ძნელია, როცა სპორტსმენი შეჯიბრებისას იღებს ტრავმას. იმ დღის მერე მანჰაიმის სახელის გაგონებაც აღარ მინდა, არადა, ის სეზონი კარგად დაიწყო ჩემთვის. ვგრძნობდი, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებისათვის შემეძლო ბრძოლა. მხოლოდ ოქროს მედალზე ვიყავი ორიენტირებული, რეალური შანსი მქონდა საამისოდ. სამწუხაროდ, ასეთი შანსი აღარ მექნება.

**— მაია, ვიცი, რომ გერმანიაში ცოლ-ქმარი სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექს „ფიტნესში“ მუშაობთ. იმასაც ამბობენ, რომ „ფიტნესში“ ვარჯიშის მსურველთა რაოდენობამ მას მერე იმატა, რაც იქ სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა — მაია აზარაშვილმა დაიწყო მუშაობა...**

— მართალია. გერმანიაშიც და ევროპის სხვა ქვეყნებშიც ძალიან დიდ პატივს სცემენ ოლიმპიელ სპორტსმენებს, განსაკუთრებით, პრიზიორებს. ზურა „ფიტნესის“ მთავარ პასუხისმგებელ მწვრთნელად მუშაობს, მასთან შედარებით, მეტი თავისუფალი დრო მაქვს.

**— როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღე გერმანიაში? ნოსტალგია არ გეუფლებათ?**

— გერმანიაში ისეთი რიტმით ვცხოვრობთ, რომ ნოსტალგიისთვის დრო აღარც გვრჩება. სხვათა შორის, იქურმა სპორტულმა საზოგადოებამ გერმანიის მოქალაქეობაც შემომთავაზა, მაგრამ უარი ვთქვი: რაში მჭირდება მათი მოქალაქეობა, როცა ისედაც მშვენივრად ვართმევთ თავს ჩვენს პრობლემებს. მეც და ზურაც ხანგრძლივი კონტრაქტით ვართ მიწვეულები, გერმანიაში მუშაობისა და ცხოვრების უფლებით. რაც შეეხება ნოსტალგიას — მინდა გითხრათ, რომ ასეთი გრძნობა კიდევ იმიტომ არ მაქვს, რომ როცა მინდა, მაშინ ჩამოვდივარ ხოლმე საქართველოში. ერთხელ ჩემმა თანამემამულეებმა ვითომ ხუმრობით მითხრეს: ვერ ყოფილხარ კარგი პატრიოტი, გერმანიაში ამდენ ხანს როგორ გაძელიო. ჯერ ერთი, მე იქ, ჩემს პირადულთან ერთად, ქართულ საქმესაც ვაკეთებ, მერე მეორეც, აქ, როგორც სპორტსმენმა რა გავაკეთო?

**— თქვენი შვილი — დევიდი თუ არის მძლეოსნობით დაინტერესებული?**

— არა! დევიდს ფეხბურთი უფრო იზიდავს.

**— გერმანელები ცივი ხალხიაო — ბევრისგან მსმენია, შენ რა შთაბეჭდილების ხარ მათზე?**

— ვერ ვიტყვი, რომ ისინი ცივები და მიუკარებლები არიან, რადგან გერმანელებს შორის დიდი სამეგობრო გვყავს, მათგან დიდი თანადგომაც გვიგრძვნია. უბრალოდ, მათ არ უყვართ საკუთარი პრობლემების

სხვისთვის მოხვევა და არც თავად შეიწუხებენ თავს იოლად, სხვისი გულისთვის, მაგრამ თუ შეგიყვარეს და მეგობრად მიგიღეს, მაშინ კი არც უკან დახევა იციან და დახმარების ხელსაც ნებისმიერ დროს გამოგიწვდიან.

**— როგორ უყურებს თქვენი იქაური სამეგობრო, საქართველოში არსებულ მდგომარეობას? რა შეხედულება აქვთ ჩვენზე და ჩვენში მიმდინარე მოვლენებზე?**

— გერმანიაში, ტელევიზიით ყოველ მეორე ან მესამე დღეს, 10-15 წუთიან სიუჟეტს უჩვენებენ საქართველოზე. ასე რომ, მათ საკმაო ინფორმაცია აქვთ ჩვენზე. ალალად თანაგვიგრძნობენ, თუმცა გვაიმედებენ — გვეუბნებიან, რომ მალე ჩვენშიც მოწესრიგდება ყველაფერი. უიმედოდ არც მე ვარ განწყობილი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს „მალე“ კიდევ დიდხანს არ იქნება. უბრალოდ, ისინი კარგად აღზრდილი ადამიანები არიან და საჭიროდ თვლიან, მორალურად გაგვამხნევონ.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ევროპაში (და არა მარტო ევროპაში) გაფანტულმა ბევრმა ქართველმა შეირცხვინა თავი. ჩემი ოჯახის მიზანია, ქართველი ხალხის სახე უცხოელებს მხოლოდ საუკეთესო მხრიდან დავანახვო.

**— თამამად შეიძლება პოლიგლოტი გიწოდო. მაინც რამდენი ენა იცი?**

— რუსული, სლოვენური, გერმანული და ინგლისური. ამ ბოლო დროს ჰოლანდიურსაც დავეუფლე. საერთოდ, ენებს ადვილად ვსწავლობ. როცა ერთი ენა კარგად იცი, სხვა ენის სწავლა ადვილია.

**— როდესაც სპორტსმენი თავს ანებებს ვარჯიშს, წონაში მალე იმატებს ხოლმე. შენ როგორ შეძელი სპორტული აღნაგობის შენარჩუნება?**

— ჯერ ერთი, პრინციპული ვარ და შემიძლია ბევრ „სიამოვნებაზე“ (სასუსნავი მაქვს მხედველობაში) უარი ვთქვა, მეორეც — განა შეიძლება, გამაჯანსაღებელ კომპლექსში მუშაობდე და არ ზრუნავდე საკუთარ ჯანმრთელობასა და გარეგნობაზე? თქვენ მიხვალთ ისეთ კოსმეტოლოგთან, რომელსაც სახის კანი არ უვარგა ან სტომატოლოგთან, რომელსაც კბილები არა აქვს წესრიგში? ასეა „ფიტნესის“ კომპლექსშიც, სადაც მე მომსვლელს რეკომენდაციას ვუწევ, თუ რომელი ვარჯიშით დაიწყოს ჯანმრთელობის აღდგენა და სხეულის სრულყოფისათვის ზრუნვა.

**— რას აპირებ ახლო მომავალში? რა არის შენი მიზანი?**

— ძალიან მიზანსწრაფული (თუ გნებავთ, კარიერისტიც) ვარ. ამიტომ არასოდეს მაკმაყოფილებს მიღწეული. როდესაც სლოვენიაში მიმიწვიეს, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემმა კლუბმა სპონსორი დაკარგა და, ფაქტობრივად, გაკოტრდა. ბედი სხვაგან უნდა მეძებნა. ჩავთვალე, რომ სლოვენიაში დარჩენა აღარ ღირდა (იქ სულ სამი კლუბი იყო), ამიტომაც სხვა ქვეყანაში უნდა მომეძებნა სასურველი კლუბი. გერმანიაში მეტი არჩევანი იყო და მეც იქ გადავედი. მძლეოსნისთვის ძნელია კარგი კლუბის მოძებნა და მეც სამი წლის განმავლობაში სამი კლუბი გამოვიცვალე. რაც შეეხება მიზანს — არ დავაკონკრეტებ, მაგრამ მერწმუნეთ — ყველა ჩვენი მიზანი საქართველოსთანაა დაკავშირებული. შეჯიბრებების დროს ბევრი ქართველი წამიყვანია აქედან და ტურნირის ბოლომდე ჩემს სახლში მყოლია. იმაზე ფიქრი, რომ შემიძლია დავეხმარო ჩემს დაძმას, ჩემი და ქმრის სანათესაოს, თანამემამულე სპორტსმენებს და საერთოდ, ქართულ მძლეოსნობას, დიდ სიხარულს და ბედნიერებას მგვრის.

**— ამჯერად რამდენ ხანს დარჩები თბილისში?**

— უახლოეს დღეებში გავემგზავრები გერმანიაში. ახლანდელი ჩემი მისია ამოწურულია: დაკომპლექტდა საქართველოს მძლეოსანთა ეროვნული ნაკრების გუნდი და იგი ისე შევმოსე, როგორც ეს ქართულ სპორტს შეეფერება. აწი ოქტომბრამდე აღარ ჩამოვალ. ■

ქმარ-შვილთან ერთად

# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

**1. სად დაასრულა სიცოცხლე ჯაკომო კაზანოვამ?**

ა) იტალიაში;
ბ) ჩეხეთში;
გ) რუსეთში.

**2. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ერთხელ სოკრატემ მირჩია: აუცილებლად დაძორწინდი, კარგი ცოლი — ბედნიერ კაცად გაძცევს, ცუდი — ფილოსოფოსად“?**

ა) არისტოტელეს;
ბ) არქიმედეს;
გ) ბარონ მიუნჰაუზენს.

**3. რომელ საკრავზე უკრავდა გრწყინვალედ ალბერტ აინშტაინი?**

ა) ვიოლინოზე;
ბ) ქნარზე;
გ) როიალზე.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

**ახალგაზრდა, სანდომიანი ქალბატონი საუბრისას ცრემლებს ვერ იკავებს და გულჩვილობისთვის ბოდიშს მიხდის: რა ვქნა, ორი თვეა, რაც თბილისში ჩამოვედი, მაგრამ ყოველთვის მეტირება ხოლმე, როდესაც იქ გატარებულ წლებს და იქ დარჩენილ ქართველებს ვიხსენებო... 40 წლისაა, წარმოშობით ქართლიდან არის, ამჟამად კი, შვილთან ერთად, თბილისში ცხოვრობს. ნანამ (პირობითად ასე დავარქვათ), ვინაობის გამხელა არ ისურვა: ყველა ჩემმა ნაცნობ-მეგობარმა კი გაიგო, რომ ამერიკაში სამუშაოდ ვიყავი წასული, მაგრამ იქ მონურად რომ ვშრომობდი და ღმერთმა იცის, რა დამცირება არ გადამიტანია, ეს არავისთვის მითქვამსო...**

# „მე სხვის შვილს ვზრდიდი, საკუთარი კი მიტოვებული მყავდა...“

*ნინო ჯავახიშვილი*

**— ვიდრე ამერიკაში წახვიდოდით, როგორ ცხოვრობდით?**

— იმ ცხოვრებასაც თუ ცხოვრება ერქვა... მშობლები და ძმა თავისი ოჯახით სოფელში ცხოვრობენ, და კი თბილისშია გათხოვილი. პროფესიით ფილოლოგი ვარ. სტუდენტობიდან მოყოლებული, სულ ქირით, ან სამადლოდ, ნათესავებისა და მეგობრების ბინაში ვცხოვრობდით. გათხოვების შემდეგაც ასე იყო, მთელი ცხოვრება ვნატრობდი, საკუთარი სახლი მქონოდა. პრეტენზიული ქალი ვიყავი და ალბათ ამიტომ, ცოტა გვიან, 30 წლის ასაკში გავთხოვდი. სამწუხაროდ, მეუღლე მალევე გარდამეცვალა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მეუღლის მხრიდან დამხმარე არავინ მყავდა, ობლად იყო გაზრდილი. ასე დავრჩი შვილთან ერთად, ცასა და დედამიწას შუა გამოკიდებული. მასწავლებლობით როგორ ვირჩენდი თავს?! მშობლები და ძმა კი მეხმარებოდნენ, მაგრამ ყველას მაინც თავისი ოჯახი აქვს... მოსწავლეებს კერძოდაც ვამეცადინებდი და შიმშილით არ ვკვდებოდით, მაგრამ არც სახლი გვქონდა და არც კარი. ბავშვიც ყველაფერს დანატრებული იყო... აი, ნათია უკვე ცხრა წლისაა და წელს პირველად აღვუნიშნე დაბადების დღე. ნათია სიხარულისგან ბრწყინავდა და მადლობის ნიშნად მკოცნიდა და მკოცნიდა... ამად ხომ მაინც ღირდა ჩემი სამი წლის ტანჯვა-წვალება?! მოკლედ, ხომ გაგიგონიათ: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. იმ დროს საზღვარგარეთ ბევრი ნაცნობი წავიდა სამუშაოდ.

**— და თქვენც უყოყმანოდ მიიღეთ გადაწყვეტილება?**

— უყოყმანოდ?! ადვილი გგონიათ შვილის წლობით მიტოვება? ვიცოდი, ძალიან გამიჭირდებოდა ახლობლებთან და ოჯახთან განშორება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. მეზობელი გოგონა ერთ-ერთი ფირმის დახმარებით წავიდა ამერიკაში სამუშაოდ და მეც იმ ფირმას მივაკითხე. საბუთები, როგორც იქნა, დიდი წვალებით შევაგროვე: აქ ყველაფერი ხომ ფულით „კეთდება“... ნათესავ-ნაცნობებიც დამეხმარნენ, მაგრამ საკონსულოში გასვლის ძალიან მეშინოდა. ვფიქრობდი, ვაითუ, ბეჭედი არ ჩამირტყას და ეს ფულიც ვალად დამედოს-მეთქი. იმ დღეებში იმდენი ვინერვიულე, მგონი 10 კილო მაინც დავიკელი. ალბათ ყველაფერი ბედია. კონსულმა რაღაც კარგი თვალით შემომხედა, რამდენიმე უმნიშვნელო კითხვა მომცა და... მოკლედ, ფორტუნამ გამიღიმა.

**— ერთი სიტყვით, ამერიკაშიც მალე გაემგზავრეთ. როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება?**

— ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველაფერი ხელოვნური იყო... თვითმფრინავში ჩავჯექი თუ არა, ტირილი ამივარდა. მერეც, სამი წლის განმავლობაში, არც ერთი დღე არ ყოფილა, რომ არ მეტირა და საქართველოში დაბრუნებაზე არ მეოცნება, ყველა და ყველაფერი უცხოდ მეჩვენებოდა: ნიუ-იორკში თბილისური ფირმის აგენტი (ეროვნებით სომეხი) დაგვხვდა. ქალები ძირითადად „ბეიბისითერებად“ (ბავშვის მომვლელებად) და „ჰაუსკიპერებად“ (სახლის დამლაგებლებად) ვმუშაობდით, კაცები — მშენებლობაზე მუშებად, მაღაზიებში ან პიცერიებში „მიმტანებად“. რა აღარ გადამხდა თავს, რა აღარ გადავიტანე... თავდაპირველად ბუხარელი ებრაელების (უზბეკეთიდან იყვნენ) ოჯახში წლინახევრის ბავშვს ვზრდიდი. მალე ეს ოჯახი საცხოვრებლად ბოსტონში გადავიდა. მე სხვა სამუშაო ვიპოვე, მაგრამ სამი დღეც ვერ გავძელი და გამოვიქეცი...

**— რატომ, სამ დღეში მაინც რა მოხდა ისეთი?**

— ოდესელი ებრაელები იყვნენ (თითქმის სულ ებრაულ ოჯახებში მიწევდა ყოფნა), ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. როგორც მონას, ისე მექცეოდნენ. საწოლიც კი არ მქონდა, რომ მუშაობით დაღლილს, ნორმალურად მაინც დამეძინა. სამი დღე ვტიროდი, ტანსაცმელი ჩანთიდან არც კი ამოვალაგე: ვიცოდი, იქ მაინც ვერ გავძლებდი...

**— სამუშაოს შოვნა არ გიჭირდა?**

— არც ისე. აგენტები გვასაქმებდნენ, რაშიც 200 დოლარს ვუხდიდით. ისევ აგენტის საშუალებით, უშვილო ცოლ-ქმარმა ამიყვანა სახლში მოსამსახურედ. ძალიან მდიდრები იყვნენ, სამსართულიანი, უშველებელი სახლი ჰქონდათ, წკრიალი გაჰქონდა ყველაფერს. სანამ ცოლ-ქმარი სამსახურში წავიდოდა, ყოველ დილით ჯერ მათთვის უნდა მომემზადებინა რამდენიმენაირი სალათი და მერე, დაწყებული ბაღიდან, ლამის ჭერამდე, მთელი სახლი უნდა დამელაგებინა, საღამოსთვის კი ვახშამი მომემზადებინა.

**დენისის მამა წარმომობით თურქი იყო, ბებია კი თურმე მეგრელი ჰყავდა და ცოტა-ცოტა მეგრულსაც „ახერხებდა“**

თვითონ არანაირ საქმეს ხელით არ აკეთებდნენ (იქ ხომ ავტომატიზებულია ყველაფერი), მე კი, იატაკის გასაწმენდად, ჯოხიც კი არ მომცეს — მთელი დღე მუხლის თავებზე ვიდექი და ისე ვწმენდდი მარმარილოს იატაკს! ეს საშინელება იყო, ზოგჯერ დღე ისე გადიოდა, რომ არც კი მეტყოდნენ — ჭამეო... ზუსტად არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ქალმა რატომღაც ძალიან ამითვალწუნა. ეჭვიანი იყო და მგონი, ამიტომ. გარეგნობით ბევრად ვჯობდი და შეიძლება იფიქრა, ქმარი არ „დამაწეროსო“...

**— მართლა ხომ არ „ეპრანჭებოდით“ ერთმანეთს?**

— უიმე, რას ამბობთ! რაში მჭირდებოდა იმისი მახინჯი ქმარი?! იქ კაციშვილი არ მოგეწონება... მოკლედ, ერთხელ სახლი რომ დავალაგე და ბაღიც მოვრწყე, ძალიან დავსველდი და ოთახში შესვლისას ბოტასები კართან გავიხადე — იატაკი არ დავსვარო-მეთქი. იმ ქალმა კი აგენტს დაურეკა და საყვედურებით აავსო — თქვენმა გამოგზავნილმა „ჰაუსკიპერმა“ მთელი იატაკი გამიფუჭა, ტალახიანი ბოტასებით იარა ოთახებშიო. წარმოგიდგენიათ? აგენტმა გამკიცხა, მე კი, ამხელა ქალს, სიმწრისგან ტირილი ამივარდა. სულელი ხომ არ ვიყავი — მუხლის თავები გადაყვლეფილი მქონდა იატაკის წმენდით და საკუთარ ნაშრომს მე თვითონ არ გავუფრთხილდებოდი?! იქ დარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა და მეც წამოვედი. სხვათა შორის, იმ ქალის მამა (გვარი აღარ მახსოვს) თურმე ჭაბუა ამირეჯიბის ძმაკაცი იყო, მასთან ერთად მჯდარა ციხეში. ბატონ ჭაბუას დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებდა. თვითონაც ძალიან კარგი ადამიანი იყო. ვიდრე მათი ოჯახიდან წამოვიდოდი, „დათა თუთაშხია“ მომიტანა: მოგენატრებოდა ქართული წიგნი და წაიკითხეო.

**— საერთოდ, ვინმემ თუ იცოდა რაიმე საქართველოსა და ქართველების შესახებ?**

— ბევრი არაფერი! ირანელმა ებრაელებმა და იტალიელებმა უფრო მეტი რამ იცოდნენ საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ვიდრე სხვებმა.

**— ისევ ჩვენი საუბრის თემას დავუბრუნდეთ. იმ ოჯახიდან წამოსვლის შემდეგ სამუშაო მალევე იშოვეთ?**

— კი, ფირმაში თვითონ ბავშვის დედა მოვიდა, გამესაუბრა და მოვეწონე. მარტო იმით დაინტერესდა, სიგარეტს ხომ არ ვეწეოდი ან ხომ არ ვსვამდი. ხუთი თვის ბიჭისთვის, დენისისთვის უნდა მომევლო. მტირალა და უხასიათო ბავშვი კი იყო, მაგრამ ძალიან შემიყვარდა. თან გული ბოღმისგან მისკდებოდა, როგორია — მე სხვის შვილს ვზრდიდი, საკუთარი კი მიტოვებული მყავდა! დენისის მამა წარმოშობით თურქი იყო, ბებია კი თურმე მეგრელი ჰყავდა და ცოტა-ცოტა მეგრულსაც „ახერხებდა“. საკუთარი რესტორანი ჰქონდა ბრუკლინში, ცოლი კი მანჰეტენზე მოლარედ მუშაობდა. ისე, ძალიან ლამაზი გოგო კი იყო... 10 თვე ვიყავი მათთან, დენისიც ძალიან შემეჩვია და თვითონაც კარგად ვგრძნობდი თავს, საჭმელი არ მაკლდა და სასმელი, მაგრამ სიტუაცია აირია: იმ ბიჭმა ცოლი ღალატში „გამოიჭირა“ და ისე სცემა, რომ ლამის სიკვდილის პირას მიიყვანა. ამ ყველაფრის მომსწრე რომ ვიყავი, ორივეს ერიდებოდა და რცხვენოდა...

**— მოკლედ, როგორც ჩანს, ბედი არც ამერიკაში გწყალობდათ...**

— ასე იყო... თუმცა, ეს რა არის — მერე უარესიც დამემართა. ბრუკლინში, ერთ-ერთ ოჯახში დამლაგებლად ვმუშაობდი. ეს „სამსახური“ ნაცნობმა ქალმა დამითმო — თვითონ ფლორიდაში წავიდა. ეგონა, იქ უფრო მეტ ფულს იშოვიდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ხელცარიელი დაბრუნდა უკან. სახლის პატრონები ორი კვირით დასასვენებლად წავიდნენ, დაბრუნებულებს კი სახლში დიდი ორომტრიალი დახვდათ: უზარმაზარი სარკე ჩამტვრეული იყო, კონდიციონერი და კომპიუტერი კი — გაფუჭებული. მე არაფერი ვიცოდი. ორი კვირის მანძილზე ჩემი საძინებლისა და სამზარეულოს გარდა, სხვა ოთახებში ცხვირიც არ შემიყვია. თურმე იმ ქალს ისევ ძველ სამუშაოზე დაბრუნება უნდოდა, ამიტომ, როდესაც სახლში არ ვიყავი (თავისუფალი დრო მქონდა და კვირაში ორჯერ ახლომდებარე კოლეჯსაც ვალაგებდი ხოლმე), შესულა და დაუმტვრევია ყველაფერი. რა თქმა უნდა, მე დამაბრალეს და სამუშაოდან ყოველგვარი საყვედურის გარეშე, სიტყვის უთქმელად დამითხოვეს, მაგრამ დარჩენილი ხელფასი — 150 დოლარი აღარ მომცეს. რას იზამ, ასეთი „სიურპრიზებიც“ არ მაკლდა... ამის შემდეგ ერთი თვე სამრეცხაოში ვიმუშავე, სარეცხს ვკეცავდი. სამრეცხაოში ისე ცხელოდა, სული შეგეხუთებოდა. მთელი დღე ფეხზე ვიდექი (საათში 6 დოლარს მიხდიდნენ), ყოველ ორ საათში 15-15 წუთით გვასვენებდნენ, შუადღით კი — ნახევარ საათს ვსადილობდით ხოლმე. სხეული დაბეჟილი მქონდა ამდენი მუშაობით. ბოლოს კი, საქართველოში წამოსვლამდე, მთელი წელიწად-ნახევარი ნიუ-იორკის გარეუბანში, სპრინგფილდში ვცხოვრობდი. იქ ბევრი ქართველი იყო. ქალები სახლებს ვალაგებდით, მაგრამ ოჯახებში კი არა, ე.წ. „სასტუმროში“ ვცხოვრობდით — ოთახი გვქონდა დაქირავებული. ეს „სასტუმრო“ ქართველებს ეკუთვნოდა, დღეღამე 10 დოლარი ღირდა. ესეც დამღლელი სამუშაო იყო, მაგრამ სხვა ყველანაირ საქმეს მაინც სჯობდა. საათში 7 დოლარს გვიხდიდნენ, თან თითქოს სამსახურსაც ჰგავდა — დილით სამუშაოდ მივდიოდით და საღამოს სახლში ვბრუნდებოდით. სხვა რომ არაფერი, ქართველებთან ერთად ვცხოვრობდი, რაც ძალასაც მმატებდა და მახალისებდა კიდეც.

**— გულის გადასაყოლებლად რაიმეთი თუ ერთობოდით მაინც?**

— შაბათ-კვირას ბრუკლინში ვიკრიბებოდით, ჩვენს ოფისში. ვსაუბრობდით, ახლობლებთან ვრეკავდით. შეძლებისდაგვარად, ვერთობოდით კიდეც. დაბადების დღეებს რესტორანში აღვნიშნავდით, სახ-

## ველოსიპედი მყლინთმხაულ აბაბტყიოეეს

„ყველა მოზარდი ველოსიპედის ღირსია“ – ასეთი ვერდიქტი გამოიტანა გერმანიის ქალაქ მიუნსტერის ადმინისტრაციულმა სასამართლომ: მან განიხილა სოციალური შემწეობით მცხოვრები წყვილის საჩივარი, რომელსაც საშუალება არა აქვს, თავის შვილს ველოსიპედი უყიდოს. სასამართლომ კომუნალურ ხელისუფლებას დააკისრა ხელმოკლე ოჯახებისთვის გამოეყო სახსრები ველოსიპედების შესაძენად. მოპასუხის არგუმენტი – ველოსიპედი სათამაშოა, ამიტომ სოციალურ შემწეობათა ფონდიდან არ უნდა ფინანსდებოდესო – სასამართლომ მიუღებლად ჩათვალა.



## ციცქნა დედა 11 წლიხაა

მექსიკის ქალაქ აკაპულკოში ალბა ევანგელისტა კრუსმა საკეისროთი იმშობიარა და 2,5 კგ წონის ბიჭი გააჩინა. გოგონაცა და მისი შვილიც თავს კარგად გრძნობენ. თუმცა, მექსიკური პრესის ცნობით, ციცქნა დედიკო თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ყოფილა: ის მშობლებმა სახლიდან მაშინვე გაავდეს, როგორც კი შეიტყვეს, რომ გაუპატიურების მსხვერპლი გახდა და დაორსულდა. ყოველივე ამის შესახებ კი ჟურნალისტებმა მისი ბებიის – ერმილინდა ლოსანოსგან შეიტყვეს, რომელმაც, უკიდურესი სიღარიბის მიუხედავად, მშობლებთან შერიგებამდე შეიფარა „რეკორდსმენი“ დედიკო.

ლში კი ჩვენებურადაც მოვულხენდით ხოლმე, ვცეკვავდით, ერთდროულად ხან ვმღეროდით და ხანაც ვტიროდით. ხშირად მიფიქრია: რა მინდა აქ, რას ვაკეთებ, ხვალ ვისთან უნდა მივიდე და ვის კარზე უნდა დავაკაკუნო-მეთქი?! ისე, რაც მართალია, მართალია – შრომისა და დროის ფასი კი ვისწავლე, იქ დრო ხომ ფული ღირს.

**— ამერიკაში კიდევ რა მოგეწონათ?**

– რაღაც-რაღაცები მომეწონა, მაგრამ აღფრთოვანებული ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი. იქ კანონი ყველასთვის ერთნაირად კანონობს, ადამიანებს შორის საკმაოდ ცივი დამოკიდებულებაა, მაგრამ უბატონოდ ხმას არავინ გაგცემს. არც იმის გეშინია, რომ ქუჩაში ვინმე რაიმეს მოგპარავს, ისევ ქართველმა თუ არ დაგაღალატა და არ მოგპარა რაიმე.

**— ქურდობასაც ახერხებდნენ?!**

– აბა, რა! ხომ იცით, საზღვარგარეთ მაღაზიებში საქონელს დამცავი პატარა ნიშნები აქვს მიკრული. თუ მოიპარავ, სიგნალიზაცია ჩაირთვება და მაშინვე დაგიჭერენ. მაგრამ ქართველები რის ქართველები ვართ, ყველა სიტუაციიდან „გამოსავალი“ რომ ვერ ვიპოვოთ?! იმ დამცავ ნიშანს როგორღაც აძრობდნენ და მოპარვას მაინც ახერხებდნენ ხოლმე.

**— სხვა ქართველები როგორ ეგუებოდნენ ცხოვრების იქაურ პირობებს?**

– ეგუებოდნენ?! როგორც ხიდან მოწყვეტილი და შორს გადაგდებული ფოთოლი, იქ თავს ისე გრძნობ – რა შეგუებაზეა ლაპარაკი?! ვნატრობდით: ნეტავ ახლა საქართველოში ვიყოთ და გინდაც ხის კენწეროზე ვიცხოვრებ-მეთქი... რა შეგუებაზეა ლაპარაკი, როდესაც ახალგაზრდა ექიმი გოგო იქ ვიღაცის ძაღლებს უვლის, როცა აბსოლუტურად უუფლებო ხარ და მონასავით, რასაც გიბრძანებენ, იმას აკეთებ! ერთ ქალს როგორღაც ბავშვი ხელიდან გაუვარდა. ბავშვის მშობლებმა უჩივლეს და დღესაც ციხეში ზის. მეორეს კი ოქროულობის მოპარვა დააბრალეს, თუმცა ციხეს გადაურჩა: გაირკვა, რომ მთელი განძი თვითონ სახლის პატრონის შვილებს აეღოთ. კიდევ კარგი, რომ იმ ქალს დეპორტაცია არ გაუკეთეს და მუშაობის უფლება მისცეს, მაგრამ რად გინდა – კინაღამ ნერვიულობას გადაჰყვა! იქაური ქართველები ნევროზით დაავადდნენ. კაცები გვეუბნებოდნენ: მარტო ქალები კი არა, ჩვენც ბევრჯერ ვტირით ხოლმეო... იცით, ყველაფერი, ალბათ, თვითონ უნდა გამოსცადოს კაცმა, რომ კარგად მიხვდეს, იქ რაც ხდება...

*დაბოლოს, თურმე ამერიკაში ბევრი ქართული ოჯახი შეიქმნა და ბევრი ქართველიც დაიბადა. იქ დაბადებული ერთი ქართველი ვაჟკაცისთვის კი მშობლებს – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – გუბაზ-მაიკლი დაურქმევიათ. თუმცა მალევე საქართველოში მომავალი ნაცნობებისთვის გამოუყოლებიათ ბავშვი – გუბაზს თურმე აქ ორი პატარა დაიკო მოუთმენლად ელოდა...*

■

**თავდაპირველად ბუხარელი ებრაელების (უზბეკეთიდან იყვნენ) ოჯახში წლინახევრის ბავშვს ვზრდიდი.**



# აზროვნებთ თუ არა ლოგიკურად?

აზროვნებთ თუ არა ლოგიკურად?
აზროვნებთ თუ არა ლოგიკურად?

**მოცემულია 10 არასრული წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია თითო სიტყვა. თითოეული წინადადებისთვის მოცემულია შესაძლო პასუხები, რომელთაგან ყველაზე მეტად წინადადებას ესადაგება მხოლოდ ერთი პასუხი. თქვენი ამოცანაა, იპოვოთ ის ერთი ყველაზე მისაღები სიტყვა, რომელიც წინადადებას სწორ გამონათქვამად აქცევს. აღნიშნული დავალება 2 წუთში უნდა შეასრულოთ. დაინიშნეთ დრო!**



**1) დედამიწაზე ყველა მდინარე...**
ა) ზღვაში ჩაედინება;
ბ) სანაოსნოა;
გ) ლამაზია;
დ) სათავიდან მოედინება;
ე) ჩქარი დინებისაა.

**2) დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო არის ...**
ა) თავისუფლება;
ბ) სიმამაცე;
გ) სიძულვილი;
დ) მონობა;
ე) ღალატი.

**3) მამაკაცები ... უფრო მაღლები არიან, ვიდრე ქალები:**
ა) ყოველთვის;
ბ) ჩვეულებრივ;
გ) ხშირად;
დ) ხანდახან;
ე) იშვიათად.

**4) სკოლის გაკვეთილები ვერ ჩატარდება ... გარეშე:**
ა) წიგნის;
ბ) მაგიდის და მერხის;
გ) შეფასების;
დ) საშინაო დავალების;
ე) მოსწავლის.

**5) პრემიერ-მინისტრი არის...**
ა) მთავრობის მეთაური;
ბ) სახელმწიფოს მეთაური;
გ) პარტიის მეთაური;
დ) საშინაო პოლიტიკის წარმმართველი;
ე) ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრის ხელმძღვანელი.

**6) ადამიანს, რომელიც სკეპტიკურად არის განწყობილი სიახლის მიმართ, ეწოდება...**
ა) ბიუროკრატი;
ბ) ლიბერალი;
გ) ანარქისტი;
დ) კონსერვატორი;
ე) დემოკრატი.

**7. აზრი, რომ ყველა ადამიანი პატიოსანია, არის ...**
ა) ტყუილი;
ბ) სიმართლეს მოკლებული;
გ) განზოგადებული;
დ) აბსურდული;
ე) დაუსაბუთებელი.

**8. ერთნაირი წონის შემთხვევაში, ცილების ყველაზე დიდ რაოდენობას შეიცავს...**
ა) ხორცი;
ბ) კარაქი;
გ) ყველი;
დ) კვერცხი;
ე) თევზი.

**9. ამჟამად ყველაზე განვითარებული ეკონომიკა ჩამოთვლილი ქვეყნებიდან აქვს ...**
ა) გერმანიას;
ბ) დიდ ბრიტანეთს;
გ) იაპონიას;
დ) საუდის არაბეთს;
ე) საფრანგეთს.

**10. მტკიცებას, რომელიც არ არის სრულად დამტკიცებული და დასაბუთებული, ეწოდება...**
ა) ჩახლართული;
ბ) გამაოგნებელი;
გ) ორაზროვანი;
დ) პარადოქსული;
ე) ჰიპოთეზური.

**ტესტის პასუხები:**
1) – ბ; 2) – ბ; 3) – ბ; 4) – ბ; 5) – ა; 6) – ბ; 7) – ბ; 8) – ა; 9) – ბ; 10) – ე.

**ეფექტიანი პასუხებითთან ერთად ასევე თანმიმდევრული ლოგიკა:**

8-10 ქულა: თქვენი ეფექტიანობა ეჭვგარეშეა. ლაბირინთებს ადვილად ერკვევით, ალბერტ ეინშტეინი ალბათ, ამიტომ ეფექტიანად ეუფლებოდა ფიზიკურ ამოცანებს.

4-7 ქულა: ეფექტიანობა ეჭვგარეშეა. ლაბირინთებში ადვილად ერკვევი, ალბერტ ეინშტეინ ალბათ, ეფექტიანად ეუფლებოდა ფიზიკურ ამოცანებს. ოღონდ ზოგჯერ ლოგიკურ ჯაჭვებს ცოტა ადგილად ან ამტკიცებ ზედმეტად ფანტაზიორულ ვარაუდებს.

3 ქულა ან ნაკლები: ეფექტიანობა ეჭვგარეშეა. ალბერტ ეინშტეინ ალბათ, ეფექტიანად ეუფლებოდა ფიზიკურ ამოცანებს, ოღონდ ზოგჯერ ლოგიკურ ჯაჭვებს ცოტა ადგილად ან ამტკიცებ ზედმეტად ფანტაზიორულ ვარაუდებს. ალბერტ ეინშტეინ ალბათ, ეფექტიანად ეუფლებოდა ფიზიკურ ამოცანებს, ოღონდ ზოგჯერ ლოგიკურ ჯაჭვებს ცოტა ადგილად ან ამტკიცებ ზედმეტად ფანტაზიორულ ვარაუდებს.

# ზეთისხილის




ზეთისხილის საპონი უებარი საშუალებაა კანის მოვლისათვის

უძველესი წნეხით, ანტიკური ბერძნული რეცეპტ ლაზე ძვირად ფასობს

ახლო აღმოსავლეთში ერთი საინტერესო ლეგენდა არსებობს: ძველად თურმე მეფის ლამაზი ასული ცხოვრობდა, მას „ზეთისხილი“ ერქვა. როცა პრინცესა თექვსმეტი წლის გახდა, მას სასახლესთან ახლოს ჩავლილი უბრალო მწყემსი შეუყვარდა. მეფის ასულმა ბრძანა, სასახლეში სამეფოს ყველა მწყემსი დაებარებინათ, რათა მათ შორის საყვარელი ვაჟი ეპოვა. მალე სასახლის ირგვლივ რამდენიმე ათასი აქლემი და ცხვარი შეიკრიბა, რომლებიც თავიანთ მწყემსებს ელოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ზეთისხილის წინაშე მისი მოწონებული მწყემსი წარდგა. ვაჟს „ზეითუნი“ ერქვა. პრინცესას წინადადებაზე — ცოლად შეერთო, ზეითუნმა უარი განაცხადა და წავიდა. ღამით სასახლიდან შავ მოსასხამში გახვეული მხედარი გამოვიდა. რამდენიმე საათში ის მშვიდად მიმავალ მწყემსს დაეწია, ქამრიდან ხანჯალი ამოიღო და სიტყვებით — „მაშინ არავისი იქნები“, ყმაწვილს ზურგში ჩასცა. ქარმა მოსასხამი ააფრიალა და ზეითუნმა მის წინ მდგარი ზეთისხილი შეიცნო.

მეორე დილით იმავე ადგილას უცნაური, დაკოჟრილი ხე აღმოაჩინეს. ხეს ვერცხლისფერი ფოთლები ჰქონდა, რომელიც არასოდეს სცვიოდა. გარკვეული დროის შემდეგ ტოტებზე მწვანე ნაყოფი გაჩნდა, რომელსაც ზეითუნის ნაყოფი უწოდეს, ხოლო დამწიფებულს — ზეთისხილი. იმ დროიდან ხალხი თვლის, რომ ზეთისხილის ხე დაუძლეველი ვნებისა და ძლიერი სიყვარულის სიმბოლოა. ისიც სჯერათ, რომ ვინც ამ ხის ნაყოფს ხშირად მიირთმევს, დიდი მიმზიდველობით გამოირჩევა.

ძველ საბერძნეთში გოგონებს გათხოვების წინ ზეითუნის ზეთში ბანდნენ, თავზე კი ხის ტოტებისგან დაწნულ გვირგვინს ადგამდნენ. ახალდაქორწინებულთა სუფრაზე ძირითადი კერძი დამარილებული ზეთისხილი იყო.

ასე რომ, ზეითუნის ნაყოფი და ზეთისხილი სულაც არ ენათესავება ერთმანეთს. ერთიც და მეორეც ერთი ხის ნაყოფია, მაგრამ სხვადასხვაგვარი სიმწიფით ხასიათდება. ახალდაკრეფილი ნაყოფის ჭამა შეუძლებელია, რადგან ის მწარე გლიკოზიდებს შეიცავს, ეს ნივთიერება კი დაკონსერვების დროს იშლება.

ზეთისხილი ცხიმის, ცილის, შაქრის, ვიტამინებისა და ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი პექტინის სიუხვით გამოირჩევა. მათ, ვისაც ზეთისხილი უყვარს, თითქმის არასდროს აწუხებს სიმსივნე, ოსტეოქონდროზი, კენჭები თირკმლებსა და ნაღვლის ბუშტში. ზეითუნის ზეთში ბევრია ვიტამინი, რომელიც თმის ზრდასა და გამაგრებას უწყობს ხელს, აახალგაზრდავებს კანის უჯრედებს და აქრობს პიგმენტურ ლაქებს.

ყველაზე ძვირფასად ძველებური მეთოდით — ხელით გამოწურული ზეთი ითვლება. ზეითუნის ზეთს, ღვინის მსგავსად, ხილის არომატი, სანელებლების სუნი ან სიმწარე შეიძლება ჰქონდეს. პიკანტური გემოს მინიჭების მიზნით, ახალგა-

| | | |

# ...ბედნიერი ...ყვარული





...ცეტით დამზადებული ზეითუნის ზეთი ყვე-



მოწურულ ზეთში ხანდახან მდოგვის მარცვლებსა და ესტრაგონის ტოტს უმატებენ. ბოსტნეულის სალათების შესაზავებლად იდეალურია წითელ წიწაკასა და დაფნის ფოთოლზე დაყენებული ზეთი.

ზეითუნის ზეთი საუკეთესოდ გამომწვარ თიხის ჭურჭელში ინახება.

ბერძნები დღემდე თვლიან, რომ ზეთისხილი და ზეითუნით შეზავებული სალათები მამაკაცურ პოტენციას აძლიერებს და ახალგაზრდობას ახანგრძლივებს. ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ „სექსუალურ" სალათას, „ვენერას თითებს" უწოდებენ და შემდეგნაირად ამზადებენ: ფორთოხლის რბილობს და მწვანე ხახვს ჭრიან; ზეთისხილს აცლიან კურკებს; კომპონენტებს ერთმანეთში ურევენ და ზეითუნის ზეთით, მარილითა და წიწაკით აზავებენ.

სოფი ლორენი თვლის, რომ მისი სილამაზე პირდაპირ კავშირშია ზეითუნის ზეთთან. იმისთვის, რომ კანი იდეალურ მდგომარეობაში შეინარჩუნოს, მსახიობი რეგულარულად, ორმოცი წუთის განმავლობაში იღებს ოდნავ შემთბარი ზეთის აბაზანას.

ნიკოლ კიდმანმა თმის გასამაგრებლად მშვენიერი საშუალება იპოვა: რამდენიმე კოვზ თბილ ზეითუნის ზეთს ის ორ კოვზ თაფლსა და ერთ ათქვეფილ კვერცხის გულში ურევს. მიღებულ მასას თავზე ისვამს და ორი საათით იჩერებს.

ჟან-პოლ ბელმონდოს ყოველთვის ეშინოდა გამელოტების. ბევრი მამაკაცისთვის ნაცნობი ამ სენის თავიდან ასაცილებლად მან ძველ ხალხურ ხერხს მიმართა: ორ კოვზ ზეითუნის ზეთში ერთი თავი დაჭყლეტილი ახალი ნიორი უნდა აურიოთ, დაუმატოთ ოროვანდის (დუმფარას) რბილობი და თმის ძირებში ნახევარი საათით შეიზილოთ.

სახის კანის ხავერდოვნების მისაღწევად საჭიროა ორ კვირაში ერთხელ სამკურნალო ნიღბის გაკეთება, რომელიც ზეითუნის ზეთისგან და ახალდაკრეფილი ზეთისხილის რბილობისგან მზადდება: ზეთში ემატება ლიმონის წვენი, ერთი ჩაის კოვზი უცხიმო ხაჭო, რამდენიმე ზეთისხილის რბილობი. ეს ყველაფერი ერთად უნდა აურიოთ და სახეზე 15-20 წუთით გაიჩეროთ. ნიღაბი ჯერ თბილი, ხოლო შემდეგ — ცივი წყლით უნდა ჩამოიბანოთ. ■

| | | |

# უსახელო წმინდანთა საარაკო თავდადება

ასი ათასი ქართველის წმინდანად შერაცხვა ხვარაზმის შაჰის, მუჰამედის ძის ჯალალედინის მიერ ქართველ ქრისტიანთა წინააღმდეგ წამოწყებულ საღვთო ომს უკავშირდება.

აზიაში ქართველთა პირველობა მოსვენებას არ აძლევდა საქართველოში მოულოდნელად გამოჩენილ თავზეხელაღებულ თურქმანს. ცეცხლი და მახვილი იყო მისი განუყრელი იარაღი. მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, როცა რუსუდან დედოფალმა უარი განაცხადა ჯალალედინის ცოლობაზე. ამას წინ უსწრებდა 1225 წლის ზაფხულში ციხესიმაგრე გარნისთან 200000 მუსლიმანისა და 60000 ქართველის პირისპირ ბრძოლა და ქართველთა დამარცხება. 1226 წლის ზამთრის სუსხს კი ხვარაზმის შაჰის წყალობით, სისხლის სუნიც შემოჰყვა... და ეს მაშინ, როცა დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის გათავისუფლებიდან საუკუნეზე მეტი გასულიყო.

ჯალალედინის 3000 ხვარაზმელ მხედარს თბილისის მისადგომებთან ქართველები ბრწყინვალე ბრძოლას გაუმართავენ, რაც ხვარაზმშაჰს თბილისის დატოვებასაც კი აფიქრებინებს. მაგრამ კვლავ, ჩვენდა საუბედუროდ, ღალატი და გაიწირება საქართველოს დედაქალაქი: თბილისში მცხოვრები მუსლიმანები ქალაქის კარის შიგნიდან გაღებას აღუთქვამენ მტარვალს.

9 მარტს, მემნა და ბოცო ჯაყელები თავიანთი ლაშქრით ეკვეთნენ ქალაქში კალიებივით შემოსეულ ურჯულოებს, რომლებსაც ყურებში თავიანთი მბრძანებლის სიტყვები ჩაესმოდათ: „არავითარი დანდობა ქრისტიანთ, ყველას სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი!!“ და დაიწყო ჯალალედინის ყურმოჭრილი მონების მიერ ამ ბრძანების აღსრულება. დედებს მკერდიდან ჰგლეჯდნენ ჩვილ ბავშვებს, ქვაფენილზე ანარცხებდნენ, მერე გულწასულ დედებს შვილებს ზედ აკლავდნენ. ჭაბუკებს კოდავდნენ და საწულოებს ჰკვეთავდნენ. ბორცვებად ეყარნენ დახოცილნი. თბილისის ცაც კი დასჯილი ჩანდა ამდენი უბედურების შემყურე. საზარელი ყვირილის, ტირილისა და მოთქმის ექო აყრუებდა ირგვლივ ყოველივეს. სისხლიანი გვამებით გაძეძგილი მტკვარი წყევლა-კრულვას უთვლიდა ხვარაზმშაჰს.

ბოცო ჯაყელი მედგრად ებრძოდა მტერს, მაგრამ მალევე იძულებული გახდა, საკუთარი ხელით ისნის ციხესიმაგრის გასაღები ჩაებარებინა ჯალალედინისათვის. ეს უკანასკნელიც მაშინ უფრო მეტი მონდომებით დაეწაფა ქართველთა სისხლს. გამძვინვარებული სულთანი ნადირობით დაღლილ მხეცს ჰგავდა, სისხლის ცქერით გადაღლილს. ამიტომაც ბრძანება გასცა: სიცოცხლე აჩუქეთ იმას, ვინც ქრისტეს სჯულს დააგდებს და მაჰმადის სჯულს აღიარებსო. შიშს აყოლილმა ზოგიერთმა ქართველმა და სომეხმა მართლაც უარყო ქრისტე, მაგრამ ათასობით ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა წამების გზა აირჩია. ამან მთლად შეარყია ჯალალედინის გონება. მან თავის მეომრებს უბრძანა, ქრისტიანი მამაკაცები შეეპყროთ და წინდაცვეთით დაესაჯათ, ეკლესიები გაეძარცვათ და წაებილწათ. თვითონ კი, პირადად, სიონის ტაძრიდან წმინდა ჯვარი ჩამოაგდო და მიწაზე დაანარცხა. გუმბათი სულ გადაანგრია ტაძარს და მის ნაცვლად თავისი „ბილწი საჯდომი“ დაიდგა. იქიდან უყურებდა აწიოკებულ ქალაქს. შემდეგ ესეც მცირედად მოეჩვენა. სიონის ტაძრიდან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატები გამოატანინა, პირაღმა დააყრევინა. აიძულებდა ყველა ქრისტიან ქალსა და კაცს, სათითაოდ ჩაეწიხლათ და დაეფურთხებინათ ხატებისათვის და ფიცით უარეყოთ ქრისტეს სჯული.

... ბურთებივით ტყორცნიდნენ ქართველთა და სომეხთა წარკვეთილ თავებს მტკვარში, უთავო ცხედრები დინებას მიჰქონდა, მათი გაბრწყინებული სულები კი ბუმბულივით მიფრინავდა სამოთხისაკენ...

... ასი ათასი თბილისელის თავდადება ქრისტეს სჯულისათვის იყო დასტური იმისა, თუ რა ძალა აქვს ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას. კაცობრიობის ისტორიაში ქრისტეს სჯულისთვის თვითშეწირულ ამდენ წამებულს ერთად, ანალოგი არ მოეპოვება.

სასტიკი ხვარაზმშაჰის ცხოვრების აღსასრული ასეთი გახლდათ: მონღოლების გამოჩენით დამფრთხალი, ვიღაც ქურთ მომთაბარეს შეეკედლა, რომელმაც მისი ძვირფასეულობის დაუფლების მიზნით, მახვილით განგმირა მძინარე სტუმარი. სისხლში ჩაიხრჩო სისხლისმსმელი მტარვალი...

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ასი ათასი წამებულის ხსენების დღეს 13 ნოემბერს აღნიშნავს. ეს არის დღე უსახელო წმინდანთა საარაკო და სასახელო თავდადებისა სარწმუნოებისა და ქვეყნის წინაშე.

*ნინო შევარდნაძე*



*ჩემი რესპონდენტის სახელი ალბათ ბევრ თქვენგანს უნდა ჰქონდეს გაგონილი — ყოველ შემთხვევაში, მათ მაინც, ვისაც ქართული სკოლა აქვს დამთავრებული და ლეო კვაჭაძის „ქართული ენის სახელმძღვანელო“ სჭერია ხელში. „1908 წელს დავიბადე, ზემო სვანეთში. მამაჩემი სკოლის მასწავლებელი იყო და, ოჯახთან ერთად, სკოლის შენობაში ვცხოვრობდი. ალბათ ამიტომაც არის მთელი ჩემი ცხოვრება სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული: მე ხომ სკოლაში დავიბადე და გავიზარდე“.*

*ცოცხალ მატიანეს ვესაუბრები... ადამიანს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1926 წელს ჩაირიცხა და დღეს, 2001 წელსაც კი, ყველაფერი ენათმეცნიერისთვის დამახასიათებელი სიზუსტით ახსოვს, დამეთანხმებით, მოსაყოლი ბევრი ექნება. ბატონი ლეო წარსულს ისე სხარტად და უპრობლემოდ იხსენებს, ვერც დაიჯერებ, თუ ეს ადამიანი საქართველოს უახლესი ისტორიის თითქმის ყველა მოვლენის თვითმხილველი და მოწმეა. საინტერესოა, რას ფიქრობს ადამიანი, რომელიც პირველ რესპუბლიკასაც მოესწრო, კომუნისტური აზროვნების ზეობასაც და საქართველოს ხელმეორედ გათავისუფლებასაც. ჩვენს დღევანდელობასთან დაკავშირებით, მის მოსაზრებებს მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმი არ ეტყობა...*

# „რკინის ხელი“ და დისციპლინა გაქრა და დაიწყო საზღვარს გაცდენილი ბოროტება...

*ლაჩი გრძელიშვილი*

**— უნივერსიტეტში იმ წლებში სწავლობდით, როცა მსოფლიო დონის მეცნიერები მოღვაწეობდნენ...**

— ის ეპოქა ქართული მეცნიერებისთვის უფრო დიდი აღმავლობის ხანა იქნებოდა, რომ არა ბოლშევიკებისგან დატეხილი უმეცრების ქარიშხალი. ჩემი სტუდენტობის პერიოდში უნივერსიტეტში ლექციებს მართლაც მსოფლიო დონის პროფესურა კითხულობდა — ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სერგი დანელია... რომელი ერთი დავასახელო... სხვანაირი შემართება იყო მაშინ, ახლის შეცნობის სხვანაირი წყურვილი და ინტერესი ჰქონდა ახალგაზრდობას...

**— ლექციებს დღესაც კითხულობთ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ დღევანდელ სტუდენტობაში სწავლისა და „ახლის შეცნობისათვის“ მაინცდამაინც დიდი აღტკინება არ შეიმჩნევა...**

— გეთანხმებით... ნაწილობრივ, მართლაც ასეა. შესაძლოა, ამის მიზეზი ცხოვრების პირობების გაუარესება, ჩვენი დუხჭირი ყოფა იყოს... დღეს ზოგიერთი სტუდენტი, შესაძლოა, იმის გამოც აცდენდეს ლექციებს, რომ შესაფერისი ტანისამოსი ან გზის ფული არ აქვს... მაგრამ უბედურება სხვა მხრიდან მოდის და არა ყოფითი გაჭირვებიდან. წეღან ახლის შეცნობისა და სწავლის წყურვილი ვახსენე. საზოგადოებრივი აზრი ბევრ რამეს ნიშნავს. იცით, დღევანდელ საზოგადოებაში, მეცნიერება და სწავლა-განათლება რომ შესაფერის ადგილზე იყოს, ტანისამოსს და ყოფით გაჭირვებას ნაკლებად თუ ვინმე მიაქცევდა ყურადღებას... მაგრამ დღეს ხომ გაცილებით განსხვავებული ზნეობრივი კრიტერიუმებია — რა თქმა უნდა, ზოგს დღესაც სწყურია სწავლა, წიგნებს დღესაც კითხულობს ვიღაც, მაგრამ სამწუხაროდ, ეს „ვიღაც“ დღეს უმცირესობაშია... ჩემს ნათქვამს დემაგოგიის სფეროს ნუ მიაკუთვნებთ. 93 წლის კაცი ვარ. იოლი ცხოვრებით არასოდეს მიცხოვრია. ჩემი სტუდენტობის დროს რომ გაჭირვება იყო, მტერს არ ვუსურვებ — ტანისამოსსა და გზის ფულზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხელმოკლე სტუდენტები დღევანდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადგილას ვცხოვრობდით, ქალაქიც იქ მთავრდებოდა. შინ ფეხით ვბრუნდებოდი ხოლმე. შეღამებულზე, გათოშილს და მოშივებულს, იმის შიში მქონდა, მგელს არ დავეგლიჯე...

**— დღეს კი სტუდენტობა გამოცდების გაუქმებასაც კი მოითხოვს...**

— როდესაც დისციპლინა და წესრიგი არ არსებობს, უმეცრება საზღვრებს კარგავს ხოლმე — 30-იან წლებშიც შემოიღეს დაახლოებით ისეთი რაღაცები, რასაც დღეს სტუდენტთა ერთი ჯგუფი ითხოვს...

**აკაკი შანიძესთან ერთად**

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სვანეთში წავედი მასწავლებლად. მახსოვს, ერთხელ თბილისის უნივერსიტეტში ვიყავი ჩამოსული საქმეზე. პროფესორი სერგი დანელია შემხვდა. რა ხდება ახალი უნივერსიტეტში-მეთქი და — წამოდი, ცოტა ხანში ლექცია მეწყება, თუ ძალიან გაინტერესებს, დაესწარიო...

აუდიტორიაში, მერხების ნაცვლად, ცალ-ცალკე, როგორც სასადილოში, ისე იდგა მაგიდები, რომელთანაც ოთხ-ოთხი სტუდენტი იყო შემომჯდარი. ლექტორი ამ მაგიდებს შორის დაბიჯებდა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ამა თუ იმ საგნის ჩაბარებას ან სულაც გაუქმებას, სტუდენტები თავად ირჩევდნენ, ხოლო ამორჩეულ საგანში გამოცდას „მაგიდის“ ერთ-ერთი წევრი აბარებდა ყველას მაგივრად — დანარჩენებს მის მიერ მიღებულ ნიშანს უწერდნენ...

**— მაგრამ, როგორც ვხვდები, ასეთი ინიციატივა მაშინდელი, კომკავშირულ-ბოლშევიკური ხელისუფლებიდან მოდიოდა და არა სტუდენტებისა ან პროფესორ-მასწავლებლებისგან...**

— რა თქმა უნდა. თავად განსაჯეთ: სანამ ამ რეფორმებს წამოიწყებდნენ, ჯერ უნივერსიტეტი „გაწმინდეს“, ამ სიტყვის ყველაზე უარესი მნიშვნელობით. ეს პროცესი ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის დროს დაიწყო. რექტორი მაშინ ივანე

ჯავახიშვილი იყო, რომელიც თავისივე დაარსებული უნივერსიტეტიდან გააძევეს. ჩვენ, როგორც სტუდენტებს, მასთან არანაირი ფორმალური ვალდებულება აღარ გვაკავშირებდა. მაგრამ იყო სხვა რამ, ამაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, და ჩვენ ყველანი, ბატონ ივანეს, ჩვენივე თხოვნით, გამოცდას სახლში ვაბარებდით...

უფრო ადრე კი, „რეფორმებამდე" უნივერსიტეტში დღევანდელისგან განსხვავებული სისტემა იყო: პროფესორებს ლექციები დღის სხვადასხვა მონაკვეთში ჰქონდათ და დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. აუდიტორიები გადაჭედილი იყო – არა მარტო ახალგაზრდები, ზოგიერთი, შედარებით არასპეციფიკური ლექციის მოსასმენად, მოხუცებიც კი მოდიოდნენ ხოლმე... როდესაც ლექციას ვახტანგ კოტეტიშვილი კითხულობდა, ლექციის დაწყებამდე ბევრად უფრო ადრე უნდა მისულიყავი, თორემ აუდიტორიაში ვერ შეხვიდოდი. იქ კი, თითქმის ყველა ასაკისა და ფენის ადამიანს შეხვდებოდი... აკრძალვების გამო, პროფესორები – შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია და სხვები იძულებულნი იყვნენ, ლექციების თემატიკა შეეცვალათ, ოღონდ კი უნივერსიტეტს არ მოშორებოდნენ. ასე, მაგალითად, დიმიტრი უზნაძე, ფსიქოლოგიის კურსის ნაცვლად, „შმოს" კითხულობდა – „შრომის მეცნიერების ორგანიზაციას"; სერგი დანელია, ანტიკური ფილოსოფიის საქვეყნოდ განთქმული მკვლევარი – რუსული ლიტერატურის ისტორიას... აბა, რა შალვას საქმე იყო ბარისა და თოხის სიგრძე-სიგანის განსაზღვრა თუ მისი ხმარების ხერხები, მაგრამ სხვაგვარად აუდიტორიის წინაშე ვერ წარდგებოდა. სხვათა შორის, ეს ლექციებიც ძალზე საინტერესოდ გამოსდიოდა.

**— მაშ, დღეს რა ხდება? ხელისუფლება ხომ სწავლა-განათლების საქმეებში ასე უხეშად და უვიცად აღარ ერევა — ჩვენ ხომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ მივისწრაფვით...**

— იცით, არც ასეთი ჩაურევლობა ივარგებს და არც ისეთი „დემოკრატიის" შენება, როდესაც კაცმა არ იცის, სად მივდივართ და რას ვაკეთებთ, როგორც ერი; როდესაც დიდ-პატარიანად, სახელმწიფოს მესვეურები „მითურ კორუფციას" დაეძებენ, იმავდროულად კი, ამ სახელმწიფოში ქურდობა – თავისა და ოჯახის რჩენის საყოველთაოდ აღიარებული საშუალებაა...

წელან ჩემი ახალგაზრდობის დროინდელ გაჭირვებაზე მოგახსენებდით. გაჭირვება იყო, მაგრამ იყო რკინისებური დისციპლინაც. იყო ტყუილი და უმეცრებაზე ამოზრდილი, მაგრამ მაინც კონკრეტულად განსაზღვრული სტრატეგია თუ სახელმწიფოს განვითარების გეგმა, რომლისაც ყველას სჯეროდა ან, უფრო სწორად, უნდა დაეჯერებინა, თუ საკუთარი თავისა და ახლობლების კარგად ყოფნა სურდა...

დღეს კი, რა ხდება: ბოლშევიკური რუსეთის საქართველოსთან დამოკიდებულებაში ბევრი რამ დასაგმობი და საშინელი იყო, უკმაყოფილონი ვიყავით იმით, რომ საბჭოთა საქართველოში ეროვნული საქმე ნაკლებად კეთდებოდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (რაც თაობების სანუკვარი ოცნება იყო), ის „ნაკლებად გაკეთებული ეროვნული საქმეებიც" იკარგება – ახლის შექმნას ვინღა ჩივის...

**— ალბათ ამიტომაც არის, რომ ხალხში საბჭოთა კავშირისადმი ნოსტალგია გაჩნდა და იმპერიის აღდგენის მომხრეებიც უფრო გააქტიურდნენ — რამდენიმე წლის წინ ასეთ რამეს ვერავინ გაბედავდა...**

– საერთოდ, ვერიდები ხოლმე პოლიტიკაზე საუბარს... მაგრამ საბჭოთა კავშირის აღდგენასა და კომუნიზმის დაბრუნებაზე ჭკუათმყოფელმა კაცმა როგორ უნდა იფიქროს?! 13 წლის ვიყავი, ბოლშევიკები რომ საქართველოში შემოვიდნენ. მაშინ გურიაში ვცხოვრობდით... ხალხის დიდი უმრავლესობა ჟორდანიას, მის მთავრობას და საქართველოს დამოუკიდებლობას თანაუგრძნობდა. მოხალისეებად მიდიოდნენ, ტაბახმელამდე არიან მოსულებიო, ასე ამბობდნენ. ადამიანების კალო გალეწეს ბოლშევიკებმა გურიაში. ობოლაძე იყო ერთი, თავგადაკლული კომუნისტი, ეკლესიებსა და დაუმორჩილებელ სოფლებს მიწასთან ასწორებდა. ვერ აიტანა ხალხმა მისი ძალადობა და მოკლეს (ისე, მისი სახელობის ქუჩა იყო თბილისში, წლების მანძილზე... ნეტავ კიდევ არის?). ამას უარესი რეპრესიები მოჰყვა. ახლა რომ ვფიქრობ, ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ბოლშევიკები შიშს ბავშვებსაც უნერგავდნენ – სკოლებიდან მიჰყავდათ დახვრეტილი პატრიოტების, მათი თქმით – „ხალხის მტრების" გვამების სანახავად... საერთოდ, ბოლშევიკებმა ყველანაირად იზრუნეს, რომ ქართველობაში ზნეობა ჩაეკლათ – შვილი მამას აბეზღებდა, მამა – შვილს... 1937-ში ასეთი ამბავი მოხდა: ორი ძმიდან ერთ-ერთი დაიჭირეს. როდესაც დანაშაული „აღიარა", რა თქმა უნდა, მეორე ძმასაც მიადგნენ – ასე და ასე, შენი ძმა მავნებელი ყოფილაო... სასტიკ უარზე დადგა საწყალი: ერთი მამის შვილები არ ვართ, საიდუმლოდ ვიცოდი დედაჩემისგანო... ძველთაგან გამოყოლილი ზნეობა ჩაკლეს ადამიანში რკინის ხელით. ყველაფერი იქით იყო მიმართული, რომ ხალხს ერთი ადამიანისა და პარტიის უაზრო რწმენა ჰქონოდა.

ჩვენი ეპოქის უდიდესმა ქართველმა, ილია მართალმა სამი რამ დაგვიტოვა ქართველებს მოსაფერებელი და დასაცავი: მამული, ენა და სარწმუნოება. ბოლშევიკებმა ყველაფერი საპირისპიროდ გააკეთეს – მამული, ზოგი თურქეთს აჩუქეს, ზოგი – აზერბაიჯანს და ზოგიც – რუსეთს; ენა – ჯავახეთში, ქვემო ქართლში ჩანს, როგორც შევინარჩუნეთ; სარწმუნოებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ეკლესიები მიწასთან გაასწორეს, სასულიერო პირები დახვრიტეს ან გადაასახლეს...

განა შეიძლება, ყოველივე ამის შემდეგ ვინმემ საბჭოთა კავშირის აღდგენაზე იფიქროს?

მაგრამ საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ზნეობასა და მორალზე, კომუნისტების წახდენილი საქმის გამოსწორებაზე არავის უზრუნია – ეგ იყო, „რკინის ხელი" და დისციპლინა გაქრა და დაიწყო საზღვარს გაცდენილი ბოროტება, ყაჩაღობა, მომხვეჭელობა...

ისეც არ მინდა, ძალიან მუქ ფერებში დავხატო ვითარება, ახალგაზრდობას მომავლის იმედი და რწმენა დავუკარგო... საბოლოო ჯამში ხომ ყველაფერი მაინც ჩვენზე – ხალხზეა დამოკიდებული. ■

*კოლეგებთან ერთად*

**„როკო სულ რამდენიმე თვისაა, მხოლოდ ძილი და ჭამა შეუძლია, მას კი ჩემი ცხოვრების მთავარ მიღწევას უწოდებენ“ — იცინის გაი რიჩი. ამ 32 წლის მომხიბვლელ ყმაწვილს დიდხანს „მისტერ მადონად“ მოიხსენიებდნენ — მანამდე, სანამ პოპ-ქალღმერთთან საქორწინო კონტრაქტის ხელმოწერის დროს არ განაცხადა, რომ განქორწინების შემთხვევაში ცოლს და ვაჟს თავად გადაუხდის ალიმენტს...**

# ვინ არის ოჯახის უფროსი მადონა თუ გაი რიჩი?

ფილმის — „ბანქო, ფული, ორი ლულა“ გადაღების შემდეგ გაი რიჩი ერთბაშად იქცა მოდურ რეჟისორად და იძულებული გახდა, საზეიმო წვეულებებზე მოსაწყენ ხალხთან ჰქონოდა კონტაქტი. სტინგის სახლში გამართული მიღებაც გაის მოსაწყენად მოეჩვენა.

პიჯაკის გულის ჯიბეში რიჩი ვისკით სავსე მათარას ინახავდა და შესაფერის მომენტში გადაჰკრავდა ხოლმე. ახლაც ამ მომენტს ეძებდა, მაგრამ ნომერ პირველ ვარსკვლავად აღიარებული ქალი — მადონა თვალს არ აშორებდა. „გნებავთ ვისკი?“ — ჰკითხა გაიმ. მადონამ გაიცინა და ზურგი შეაქცია.

საზეიმო სუფრასთან გაი და მადონა გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ. „ვერ მაჩვენებთ, როგორ უნდა ვჭამო ეს?“ — უეცრად ჰკითხა მადონამ და ლანგუსტზე მიუთითა. რიჩი გაოცდა. ლონდონურ საზოგადოებაში ლანგუსტებთან დაკავშირებით პრობლემა არავის უჩნდებოდა... ამერიკელები კი თურმე სულ სხვა ხალხია, იქნებ ამერიკაში ლანგუსტებს საერთოდ არ მიირთმევენ? „იცით... ჯერ ამ მარწუხებით ბაკანს უნდა მოუხერხოთ რამე, შემდეგ კი ხორცი უნდა გამოაძროთ...“ — უთხრა გაიმ და გაიფიქრა, რომ ალბათ ეს სუპერვარსკვლავი მაღალი საზოგადოების მიღებებზე ისევე მოუხერხებლად გრძნობდა თავს, როგორც თავად რიჩი. „მოდით, აქედან წავიდეთ“ — მოულოდნელად განუცხადა გაიმ. მადონა დღესაც ვერ ხსნის იმას, თუ რა ძალამ აიძულა, აჰყოლოდა ამ საოცარ ტიპს და კიდევ, რაც უფრო საოცარია, — გაჰქცეოდა საკუთარ დაცვას...

...ისინი პატარა კაფეში განმარტოვდნენ და სხვადასხვა თემაზე გაბეს საუბარი: ინგლისურ სენდვიჩებზე, რომელსაც მადონა ზიზღით იხსენებდა: „წარმოიდგინეთ, პურის სქელი ნაჭერი, ზედ კი უმი კარტოფილი!“ გაი რიჩი კი, რომელიც მიღებაზე უხასიათო და მიუკარებელი ჩანდა, ასეთ სიტუაციაში საკმაოდ გონებამახვილი და საკუთარ სამუშაოზე უზომოდ შეყვარებული, საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა.

სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ მადონას გაი საკმაოდ მეგობრულად ექცეოდა, ქალი მის თვალებში ვერანაირ მამაკაცურ ინტერესს ვერ ხედავდა. სამაგიეროდ, როცა მადონამ თავისი დანახარჯის გადახდა გადაწყვიტა, გაიმ ხელი დაუჭირა და კბილებიდან გამოცრა: „არ ვიცი, როგორ მამაკაცებთან გქონდათ ურთიერთობა აქამდე, მე კი არასოდეს მივცემ ქალს გადახდის უფლებას იქ, სადაც მე თავად ვპატიჟებ“.



**„სასიამოვნოა, როცა თავს სუსტ და დაცულ არსებად თვლი“ — აღიარებს მადონა.**

იმ დროიდან, რაც მადონა ვარსკვლავი გახდა, მისი ხელის დაჭერა არავის გაუბედავს. ამ ყმაწვილმა მადონას თავმოყვარეობა შეულახა და... „ის ჩემი უნდა გახდეს!“ — გადაწყვიტა ქალმა მაშინვე. დამშვიდობებისას კი გაის თავისი ბინის ტელეფონი მისცა. რამდენიმე თვის მანძილზე ისინი ერთმანეთს ურეკავდნენ, მაგრამ ეს სატელეფონო რომანს არ ჰგავდა: რიჩი უამბობდა სამუშაოზე, ბავშვობაზე, იმაზე, თუ როგორ მოხვდა კინოს სამყაროში...

ყველაფერი კი მოკლემეტრაჟიანი ფილმიდან დაიწყო. გაიმ ის საკუთარი ხარჯებით გადაიღო და მეგობრებს უჩვენა. ფილმს მოწონება ხვდა წილად და მალე პოპულარულიც გახდა. ერთხელ გაის სტინგმა დაურეკა: აქებდა, უთხრა, რომ მის ცოლს, ტრუდი სტაილერს რიჩის ახალი ფილმის პროდიუსერობა სურდა, თავად სტინგსაც შეეძლო რაიმე როლის შესრულება... რიჩიმ ვერ მოითმინა და განუცხადა, რომ ხელთ დასრულებული სცენარი ჰქონდა და წარმატებისთვის მხოლოდ სტინგი და მისი მეუღლე ესაჭიროებოდა... გაიმ იხუმრა, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ სტინგის წინადადება სერიოზული იქნებოდა.

ტრუდი სტაილერი გაის სტუდიაში მეორე დღესვე ესტუმრა, მას გამზადებული კონტრაქტი თან ჰქონდა წამოღებული. რიჩი იძულებული გახდა, მოკლე დროში ოცწუთიანი ფილმისთვის შექმნილი ხელნაწერი ნამდვილ სცენარად გადაეკეთებინა, შეერჩია მსახიობები... გადაღებები სულ ორი თვე მიმდინარეობდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ ფილმი კულტად ქცეულიყო.

გაის მშობლები სარეკლამო სააგენტოში მუშაობდნენ, მამა — აღმასრულებელ დირექტორად, დედა კი მემოდელედ. მათ კონტაქტები რჩეული საზოგადოების ადამიანებთან ჰქონდათ. გაის კი ვარსკვლავური წრეები არ ხიბლავდა, მას ინგლისური „მაღალი საზოგადოებაც“ არ მოეწონა: მშობლების განქორწინების შემდეგ, მისი მამინაცვალი უძველესი გვარის შთამომავალი, სერ მაიკლ ლეიტონი გახდა.



**გაი რიჩი, მადონა და უფროსი ქალიშვილი ლურდესი სეირნობისას**

...მადონა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ გაის თვალში საუკეთესო მომღერლად წარმდგარიყო. მაშინაც კი, როცა გაიმ განუცხადა, რომ მის ახალ ფილმში – „დიდი კუში“ უხამსობისა და უზრდელობის განსახიერებად მადონას სიმღერა უნდა გამოეყენებინა, ვარსკვლავს არ სწყენია... გაი ამ ანკესზე წამოეგო და სულაც არ ანაღვლებდა, რომ ქალი ამერიკაში იყო, ის კი ინგლისში და მარტო სატელეფონო ხარჯებს შეიძლება გაეკოტრებინა იგი...

როცა მადონამ გადაწყვიტა და უეცრად ლონდონში ჩააკითხა, გაის გაუხარდა. რიჩის მხოლოდ ის გაუკვირდა, სასტუმროს მაგივრად მადონამ მის სახლში რომ გადაწყვიტა დაბინავება. თუმცა, მეორე დილით ის მიხვდა, რაშიც იყო საქმე. რა სულელურად იქცეოდა! ასეთი შესანიშნავი ქალი ყველაფერს აკეთებდა მის დასატყვევებლად, ის კი ვერაფერს ამჩნევდა. რა მშვენიერია, რომ მადონა ასეთი პრინციპული აღმოჩნდა! გაიმ ძალიან ბევრი იცინა, როცა გაიგო, რომ ლანგუსტების სცენა მადონამ სპეციალურად გაითამაშა...

მაგრამ მადონა ამით არ დაკმაყოფილდა – მან კვლავ განაგრძო „მუშაობა გაი რიჩიზე“, კაცი თავადაც გაოცებული იყო: „ნორმალური მამაკაცი ვიყავი, მან კი რას დამამსგავსა? ყველაზე საშინელი ეს კოსტიუმებია. ახლა იძულებული ვარ, სულ ასე გამოწყობილმა ვიარო და წვერიც დღეში ორჯერ ვიპარსო... სარკეში ვიყურები და საზიზღარ, გადაგლეჯილ ტიპს ვხედავ! იცით, რატომ ვიტანჯავ თავს? იმიტომ, რომ მას ნამდვილი ინგლისელი ჯენტლმენები მოსწონს!“.

მისტერ რიჩი მადონასთან ორი წლის ნაცნობობამ ჯენტლმენად ვერ აქცია: შარშან მადონას ოცი წლის თაყვანისმცემლის ცემისთვის მან რამდენიმე დღე ციხეში გაატარა. საქმე ის იყო, რომ მადონას ვიღაც მანიაკის მუქარის წერილები მოსდიოდა, ერთ ღამეს სახლში დაბრუნებულმა გაიმ და მადონამ ჭიშკართან მომლოდინე ვიღაც მამაკაცი შენიშნეს. მადონამ შეჰკივლა, ეს კივილი კი გაისთვის საკმარისი აღმოჩნდა: ის ბიჭს მიეჭრა და ცემით კინაღამ მიასიკვდილა.

...შავი „მერსედესი“ აწყვეტილი მიქროდა ღამის ნიუ-იორკის ქუჩებში. უკანა სავარძელზე ქალი კვნესოდა, საჭეს კი მამაკაცი უჯდა და ფიქრობდა – მთავარია მივუსწროთ! დანიშნულ ვადაზე სამი კვირით ადრე, მადონამ თავი შეუძლოდ იგრძნო, მშობიარობა დროზე ადრე დაიწყო. გაი იმდენად განერვიულდა, რომ ჰოსპიტალში მადონას წაყვანა ვერც ერთ მძღოლს ვერ ანდო, შემდეგ კი საავადმყოფოს დერეფანში საკაცის მოსატანად მირბოდა და საშინლად აგინებდა ექიმებს (ეჩვენებოდა, რომ ისინი საკმარის სიმკვირცხლეს ვერ იჩენდნენ), მადონა კი ამ დროს აწყნარებდა: „პატარავ, ყველაფერი კარგად იქნება!..“

როცა როკო ქვეყანას მოევლინა და საფრთხემაც ჩაიარა, გაიმ თავი ხელში აიყვანა, ჟურნალისტებთან გავიდა და განუცხადა: „მე პირობა დავდე – ბავშვის დაბადებამდე არ დამელია. აი, ჩვენი ჭკვიანი ბიჭუნა ამქვეყნად უფრო ადრე გაჩნდა, რათა ჩემი ტანჯვა შეემსუბუქებინა!“

მადონას დიდი შრომა დასჭირდა, იმი-

**მაღალი საზოგადოების მიღებები ძალიან დამღლელი საქმიანობაა...**

თავისი პრესტიჟული სტენ ბრიჯის საგრაფო სკოლა კი, უბრალოდ ეზიზღებოდა. თავისუფალ დროს ის უმეტესად ისტ-ენდის შავ კვარტალში მცხოვრებ მეგობრებთან საეჭვო საქმიანობაში ატარებდა, რაც შემდგომში კოლორიტულად აღწერა თავის ფილმებში.

ერთხელ მამინაცვლის სახლს პოლიცია ესტუმრა. აღმოჩნდა, რომ გაის ოთახი იატაკიდან ჭერამდე საოფისე ტექნიკით – კომპიუტერებით, ქსეროქსებით, ფაქსებით იყო სავსე. მოზარდთა ბანდას, რომელშიც ახალგაზრდა რიჩი იყო მოხვედრილი, მიაჩნდა, რომ დასავლეთ ლონდონის პრესტიჟულ ადგილას მდებარე სახლი ნაქურდალის შესანახად საუკეთესო ადგილი იყო... გაის მდიდარი მშობლების წყალობით საქმე როგორღაც ჩაიფარცხა.

რიჩისთვის კი ცხოვრება ადრინდელზე უკეთ წარიმართა – ამ შემთხვევის შემდეგ ის, როგორც იქნა, სკოლიდან გარიცხეს. გაიმ ერთი წლის მანძილზე კიდევ ათი სკოლა გამოიცვალა – მას სკოლებიდან რიცხავდნენ, ის კი თავგადასავლის საძიებლად – ხან აფრიკაში, ხან საბერძნეთში მირბოდა და იქ... საკანალიზაციო თხრილებს თხრიდა. თუმცა, ეს მალე მობეზრდა და ინგლისში დაბრუნდა. მამამ გაი საკუთარ ფირმაში კურიერად მიიღო. სულ მალე ახალგაზრდა რიჩის გაუჩნდა სურვილი – თავად გადაეღო სარეკლამო რგოლები, შემდეგ კი – ფილმიც.

სათვის, რომ რიჩი ინგლისელი არისტოკრატების მსგავს მამაკაცად ექცია. ქალმა აიძულა, თმა მოდურად შეეჭრა, ასწავლა კარგად ჩაცმა, თამბაქოს წევაზე უარის სათქმელად ჰიპნოზიორთან წაიყვანა,დაუქირავა მეტყველების მასწავლებელი, რათა უბრალო ხალხისთვის დამახასიათებელი კილოსთვის გადაეჩვია... მადონამ რიჩის გადასაღებ მოედანზე წესად შემოიღო: ვინც შეიგინებოდა, 15 დოლარიან ჯარიმას გადაიხდიდა. ჯგუფი გამდიდრდა, რიჩი კი გაკოტრებას ძლივს გადაურჩა, მაგრამ გინებას მაინც გადაეჩვია.

„შეყვარებული მამაკაცები თურმე ჩვრებს ემსგავსებიან“ — ოხრავს გაი. თუმცა, მან შეძლო თავისი გაეტანა და ქორწილი ვიწრო წრეში აღენიშნა. „ჩვენ უკვე გვყავს ვაჟიშვილი, ამიტომ ფატა, საქორწინო თაიგული და მსგავსი სისულელეები არ გვჭირდება. სჯობს შოტლანდიაში გავემგზავროთ, ხელი მოვაწეროთ და ეს მოვლენა რაც შეიძლება მხიარულად აღვნიშნოთ“.

როცა მადონამ როკოს ექსკლუზიურ ფოტოსურათებზე უფლება ჟურნალ „ჰელოუს“ მიჰყიდა, გაიმ პოლაროიდით ერთი ფოტოს გადაღება მოახერხა და თავის მამას გაუგზავნა. 72 წლის ბაბუამ ფოტოს 70 ასლი დაამზადა და მეგობრებს გაუგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახმა ჟურნალს უზარმაზარი ჯარიმა გადაუხადა, გაი მაინც კმაყოფილი დარჩა: „ჩვენს შვილს ჯერ არ მოუწევს ფულის შოვნაზე ზრუნვა“.

ცოტა ხნის წინ გაის ჰკითხეს — ითამაშებს თუ არა მადონა მის ახალ ფილმში. მან უპასუხა: „რა თქმა უნდა, მთავარ როლში! ფილმის მცირე ბიუჯეტის მიუხედავად, მე მას ვარსკვლავის სტატუსის შესაფერის ჰონორარს გადავუხდი“. „ასე ნუ ამბობ“ — სცადა ჩარევა მადონამ. „მაგრამ ეს ხომ სიმართლეა! — აუღელვებლად უპასუხა გაიმ. — ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიგო: „მადონას ქმრად“ ჩემი გადაქცევა ამაოა. გინდა, ყველაფერი კარგად გვქონდეს? მაშინ ისე მოიქეცი, როგორც მისის რიჩის ეკადრება“.

ახალგაზრდა ოჯახი — მადონა, მისი გოგონა ლურდესი, გაი და როკო ხან ლონდონში, ხან სან-ფრანცისკოში, ხანაც ნიუ-იორკში ცხოვრობენ. სკეპტიკოსების მოლოდინის მიუხედავად, ისინი თავს ბედნიერად გრძნობენ. მადონას ხშირად ხედავენ, როცა ის ქმარს მანქანის გარეცხვაში ეხმარება, ასეირნებს ბავშვებს ან ყიდულობს პროდუქტებს სუპერმარკეტში. „რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია მოსამსახურე დავიქირაოთ, — უხსნის ყველას მადონა — მაგრამ მე მომწონს ჩვეულებრივი ქალის როლში ყოფნა, ახლა მე ბევრ რამეს გაის თვალებით ვუყურებ“.

**„ვაჟიშვილის დაბადებამ ძალიან შემცვალა“ — მიაჩნია რიჩის**

**მოამზადა მანანა ღოღობერიძემ**

# მათ ისევ უყვართ ერთმანეთი

სუპერმოდელი ლინდა ევანგელისტა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი, ფრანგი მეკარე ფაბიენ ბარტეზი კვლავ ერთად არიან. როგორც ცნობილია, ისინი ამ ნახევარი წლის წინ დაშორდნენ ერთმანეთს — მაშინ ლინდამ განაცხადა, რომ მასზე ცუდად მოქმედებს ბრიტანეთის კლიმატი და ცხოვრებას თბილ მონაკოში ამჯობინებს. არადა, ეს ამბავი, თითქოს ჯიბრზე, სწორედ მაშინ მოხდა, როცა ბარტეზმა 700 ათას გირვანქა სტერლინგად ქალაქ ჩეშირში შეიძინა სახლი... როგორც ჩანს, ევანგელისტამ ახლა გადაიფიქრა: მანჩესტერში, ფაბიენის საქმაგოდ ჩასულმა 35 წლის ლამაზმანმა, ხელიხელჩაკიდებულმა გაიარა ფეხბურთელთან ერთად და ამით, ორივეს თაყვანისმცემლები დიდად გახარებულები დატოვა. ■

# რიკი მარტინს ახალი მეგობარი ჰყავს

პირველად ისინი ერთად, მონაკოს ერთ-ერთ რესტორანში ნახეს: რიკის ახალი მეგობარი ლატვიელი ფოტომოდელი ინეს მისანი აღმოჩნდა (მისი წინამორბედი, ტელეწამყვანი რებეკა დე ალბა იყო). როგორც ჟურნალისტებმა დაადგინეს, ინესი ამჟამად იტალიაში მუშაობს (სწორედ იქ გაიცნო მარტინი, მუსიკის ფესტივალის დროს), თავად მომღერალი კი რაიმე კომენტარზე ჯერჯერობით უარს აცხადებს. ■



# მსოფლიოსმნახველი parizuli kafeebi




**პარიზში ყაფე არასოდეს ყოფილა ე.წ. საზოგადოების ბანალური ობიექტი. წარსულშიც და დღესაც იქ საერთო ინტერესების მქონე ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს: სასაუბროდ, საყამათოდ, უბრალოდ სულით ახლობელ ადამიანებთან საურთიერთოდ.**

**„როტონდაში“ მოკვდა მომღერალი გაბრიელი და დაიბადა მოდის დედოფალი კოკო შანელი**

პარიზში მრავალნაირი კაფე არსებობს: ზოგი ტკბილეულით გამოირჩევა, ზოგი — ათასგვარი ნამცხვრით, ზოგი კი, ლუდითა და კარგი საუზმე-ვახშმით იზიდავს კლიენტებს. აი, საერთო კი, ტრადიციული ალკოჰოლური სასმელები აქვთ: ე.წ. ანისის ნაყენი „რიკარი“ და შავი მოცხარის ლიქიორის — „კრემ დე კასისისა“ და თეთრი ღვინის — „კირის“ კოქტეილი.

პარიზელთა გულდასაწყვეტად, საფრანგეთის დედაქალაქში პირველი კაფე წარმოშობით სიცილიელმა თუ პორტუგალიელმა — პარლიმენტანო ფრანცესკო პროკოპიომ გახსნა. სინიორ პროკოპიოს დროს ეს კაფე საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა: ახლომდებარე კვარტალების მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლევდნენ იქ მისული სორბონელი სტუდენტები. მოგვიანებით მას ხშირად სტუმრობდნენ პატივცემული ინტელექტუალები: ვოლტერი და დიდრო, ბომარშე და ბალზაკი. ამ ცოტა ხნის წინ მეპატრონეებმა მისი რეკონსტრუქცია ჩაატარეს, პირვანდელი სახე დაუბრუნეს, კედლები კი, კაფეს გამოჩენილი კლიენტების პორტრეტებით დაამშვენეს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს კაფეები (მათმა რაოდენობამ უკვე ათასს გადააჭარბა) იაკობინელთა შტაბბინებად იქცა. ერთხელ „რეჟანსში“, სადაც ჭადრაკის მოყვარულნი იყრიდნენ თავს, „ხალხის მსახურის“ — რობესპიერის მაგიდას ახალგაზრდა კაცი მიუჯდა და მასთან ერთი პარტიის თამაშის სურვილი გამოთქვა. დიქტატორის შეკითხვაზე — რა ფსონს ჩამოვიდეთო, მან უპასუხა: „ადამიანის სიცოცხლეს“. როცა ყმაწვილმა პარტია მოიგო, დიქტატორმა იკითხა — ვის ექომაგებითო? უცნობმა შლაპა მოიხადა და დამსწრეთა წინაშე... მომხიბლავი ქალი წარდგა, რომელმაც თქვა: „ხვალისთვის ჩემი საქმროს სიკვდილით დასჯაა დანიშნული, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბრძანებას მისი შეწყალების თაობაზე“. რობესპიერმა უხმოდ მოაწერა ხელი: ასეთია ლეგენდა...

**კაფეს მოყვარულ პარიზელებს მიაჩნიათ, რომ გამელელთა ცქერაზე უფრო საინტერესო „კინოს“ კაცი ვერ მოიგონებს... მათ აზრს პაბლო პიკასოც იზიარებდა**

დანამდვილებით კი ის არის ცნობილი, რომ სწორედ „რეჟანსში“ მიდიოდა ჭადრაკის სათამაშოდ ნაპოლეონი, რომელიც თითქმის ყოველთვის აგებდა. შემდგომ იქ ნამდვილი გროსმაისტერებიც დადიოდნენ, მათ შორის ლაბურნე, კაპაბლანკა, ალიოხინი...

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პარიზულ კაფეთა რაოდენობამ 7 ათასს მიაღწია: პრაქტიკულად ყოველ მეორე კარს კაფეში შეჰყავდით. დღეს ამ დაწესებულებათა კლიენტების სახელებს მოწიწებით წარმოთქვამენ: პიკასო, შაგალი, მოდილიანი, გოგენი... მაშინ კი ისინი პარიზული მანსარდების ხელმოკლე ბინადარნი იყვნენ, რომლებიც მთელ დღეებს კაფეებში ატარებდნენ (რა ბედენაა, მანსარდაში ვდომა, სადაც ზაფხულობით უსაშველოდ ცხელა, გაზაფხულზე წყალი წვეთავს, ზამთარში კი გაიყინები?!..). ამდენად, დილით ერთ კაფეში შევიდოდნენ ყავის დასალევად, შუადღეზე — მეორეში აპერიტივის გადასაკრავად, შებინდებისას კი — მესამეში, მოკრძალებული ვახშმისა და ბოთლი ღვინის ან, უკიდურეს შემთხვევაში, რძიანი ყავის მისართმევად (რაც ყველაზე იაფი

**მოდილიანი (მარცხნიდან მესამე), მანსარდების ბევრი სხვა ბინადრის კვალად, ერთიდან მეორე კაფეში დაეხეტებოდა და მეგობრებთან ერთად, ხშირად მიირთმევდა ჭიქა ღვინოს...**

სასმელია დღევანდელ მენიუშიც).

არტისტული კაფეები XIX საუკუნის დამლევს ლათინურ კვარტალში იყო თავმოყრილი, XX საუკუნის დასაწყისში – მონმარტრზე, მოგვიანებით – მონპარნასის ბულვარზე, ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში კი – სენ-ჟერმენის კვარტალში.

მონმარტრის პერიოდის კაფე სოფლის დუქანს უფრო მოგაგონებდათ – ვიწრო, თამბაქოს კვამლით გაჟღენთილი დარბაზები ჰქონდა. ერთ-ერთ მათგანში – „დედილო კატერინაში“ ხშირად დადიოდნენ იმპრესიონისტები: მონე, დეგა, რენუარი. მაშინ ისინი იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, რომ ზოგჯერ ჭიქა ღვინის საფასურსაც ვერ იხდიდნენ.

მონმარტრიდან რამდენიმე კვარტალში – მონპარნასია, სადაც ერთ-ერთ უძველეს კაფეს – „როტონდას“ დაუდვია ბინა. გასული საუკუნის დამდეგს ის ფრანგი ანარქისტების თავშეყრის საყვარელ ადგილად იყო ქცეული. მათ სავსებით მშვიდობიანად ემეზობლებოდნენ ავანგარდისტი მხატვრები – მოდილიანი, პიკასო. 1903 წელს უცნობი მომღერალი ქალი, გაბრიელი მხიარულ ხალხურ სიმღერებს მღეროდა „როტონდაში“. ერთ დღეს კაფეს მდიდარი მექალთანე ეტეიენ ბალსანი ეწვია, შანსონიე ქალი შეუყვარდა და მოდის საკუთარი ატელიეს გასახსნელად საჭირო თანხითაც დაასაჩუქრა. სწორედ ამ ატელიეთი დაიწყო კოკო შანელის მოდის ეპოქა...

კაფე „კუპოლში“ ლუი არაგონმა თავისი მომავალი მეუღლე და მუზა – ელზა ტრიოლე გაიცნო, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი, იქ უამრავი გამოჩენილი ადამიანი დადიოდა და მათ გადასაღებად პაპარაცების მთელი ჯგუფი იყრიდა თავს. 70-იანი წლების დასაწყისში სწორედ „კუპოლში“ მოხდა კონფლიქტი ჰემინგუეის შვილიშვილ – მარგოსა და ფრანსუაზა საგანს შორის. იმ დროს მოდურმა მწერალმა ქალმა ერნესტ ჰემინგუეის რომანები საკმაოდ საშუალო ნაწარმოებებად მოიხსენია, რასაც მარგოს დიდი განრისხება მოჰყვა...

ისე, პარიზში დიდად აფასებენ ამერიკელ მწერალს და იმას, რომ სწორედ მისმა რომანმა – „ზეიმი, რომელიც მუდამ შენთან არის“ – მთელ მსოფლიოს გააცნო პარიზი, როგორც მარადიული ახალგაზრდობის, მეგობრულ წვეულებათა და შემოქმედების ქალაქი. სწორედ ამ ქალაქის კაფეებში დაიბადა ჰემინგუეის რამდენიმე რომანი: „ლიპში“ – „ზეიმი...“, „დიუმში“ – „ფიესტა“, „დინგოში“ კი ჰემინგუეიმ სკოტ ფიტცჯერალდი გაიცნო.

**„ლიპში“ ჰემინგუეიმ დაწერა რომანი – „ზეიმი, რომელიც მუდამ შენთან არის“. დღეს პარიზში ყოფნისას, ამ კაფეში შერონ სტოუნიც მიდის ხოლმე**

თუმცა მის საყვარელ კაფედ მაინც „კლოზერი დე ლილი“ რჩებოდა, რომელშიც 50-60-იან წლებში ე.წ. „ახალი ტალღის“ შემქმნელი კინემატოგრაფისტები – გოდარი, ტრიუფო, რენე იყრიდნენ თავს. ამბობენ, სწორედ „კლოზერიში“ მიიღო მაშინ სრულიად უცნობმა ბელმონდომ როლი ამ კინემატოგრაფიული მიმართულების საკულტო ფილმში – „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“. იქ მისვლა უყვარდათ რომი შნაიდერსა და ალენ დელონს: მაშინ ნაკლებად ცნობილი მსახიობები კაფეში მუშაობდნენ თავიანთ როლებზე, შეხვედრებს უნიშნავდნენ მეგობრებს – კლაუდია კარდინალეს, ტრიუფოს, ვისკონტის...

კაფე „ფლორში“ უმეტესად, ცნობილი გამომცემლები დადიოდნენ. იქვე, 1936 წელს ერთმანეთი გაიცნეს პაბლო პიკასომ და ახალგაზრდა ფოტოგრაფმა ქალმა დორა მაარმა. მასთან შეხვედრის შემდეგ მხატვარი გაეყარა თავის პირველ ცოლს – ოლგას და საყვარელს – მარია-ტერეზა უოლტერს, დორა კი მისი შთაგონების მთავარ წყაროდ თითქმის ათი წელი რჩებოდა.

... დღეს „ისტორიული“ კაფეები შეძლებული ტურისტების თავშეყრის ადგილად არის ქცეული. 20-იანი წლების პერიოდის ხელმოკლე ჰემინგუეი ნამდვილად ვერ შეძლებდა იმ კაფეებში ხშირად შესვლას, სადაც ფინჯანი ყავა 6 დოლარი, ხოლო მარწყვის ტორტის ერთი ნაჭერი – 15 დოლარი ღირს: 70 წლის წინათ ეს თანხა სასტუმროს ერთი კვირის გადასახადსა და ყოველდღიურად საფუძვლიან ვახშამსაც ეყოფოდა.

დროდადრო პარიზში ლაპარაკობენ, რომ მისი კაფეები კვდება, მაგრამ ეს ხმები ნამდვილად გაზვიადებულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ნებისმიერმა პარიზელმა იცის: იზაბელ ავჯანის სენ-ჟერმენზე მდებარე კაფე „კონსერტეა“ უყვარს, კატრინ დენევი კი „ჟარდენ დე პლანტს“ ამჯობინებს. ისიც უნდა დავძინოთ, რომ პარიზში გამართული ნებისმიერი პაემანი თუ მოლაპარაკება ჩვეული ფრაზით მთავრდება ხოლმე: „კაფეში შევხვდებით...“

■

**ტორტმტყორცნეობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ იტალიურ „კომედია დელ არტე“-ში (იტალიური ეროვნული თეატრალური ჟანრი „ნიღბების კომედია“) სცენური პერსონაჟები ტორტებსა და სხვა სურსათს ესროდნენ ერთმანეთს. ტორტმტყორცნეობის, როგორც კომედიური ხერხის აყვავება კი XX საუკუნის პირველ ათწლეულებზე მოდის: ამა თუ იმ პიროვნებისათვის ტორტის სროლის გარეშე იმ დროს ცნობილი კომედიური კინოჟურნალის — Keystone Cops-ის არც ერთი გამოშვება არ რჩებოდა. ტორტტყორცნის აპოგეა მოკლემეტრაჟიან ფილმზე — „საუკუნის ბრძოლაზე“ მოდის, რომელშიც იმ დროს ყველაზე სახელგანთქმულმა კომიკოსებმა სტენ ლორელმა და ოლი ჰარდიმ, თავიანთ პარტნიორებთან ერთად, საერთო ჯამში სასროლ საშუალებად 4000 ტორტი მოიხმარეს. და მაინც, 1960-იანი წლების დამლევამდე არავის უფიქრია, რომ ტორტის სროლა რაიმე პროტესტის გამოსახატავად გამოეყენებინა.**



**შვედეთის მინისტრი ბორე რინგჰოლმი — ტორტმტყორცნთა ბოლო (ჯერჯერობით) მსხვერპლი (2001 წლის 17 აპრილი)**

# ტორტმტყორცნეობა

## პროტესტის ტკბილ-მწარე ფორმა

### მესიე ტორტმტყორცნი

ბელგიელი ლიტერატორი და მტკიცე ანარქისტი ნოელ გოდენი სიყმაწვილიდანვე გამოირჩეოდა ადამიანების გაბიაბრუებისა და ყოველგვარი უჩვეულო აქციისაკენ მისწრაფებით. ჯერ კიდევ 60-იანი წლების შუა პერიოდში ის ლიეჟში უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდან იმისთვის გარიცხეს, რომ ერთ-ერთ თავის პროფესორს თავზე ერთი ქილა წებო გადაასხა იმისათვის, რომ ის დიქტატორ სალაზარის დაკვეთით მუშაობდა პორტუგალიის კონსტიტუციის პროექტზე. ტორტმტყორცნეობის იდეა მას თითქმის შემთხვევით მოაფიქრდა: 1969 წელს გოდენმა შეიტყო, რომ ლიეჟში ფრანგი მწერალი ქალი მარგერიტ დიურასი უნდა ჩასულიყო. მისი აზრით, ეს ქალბატონი „ფუყე და უგემოვნო“ იყო, ამიტომ გოდენმა გადაწყვიტა, რომ ვალდებულიც კი იყო, მისი ეს აზრი საზოგადოებრიობის სამსჯავროდ ექცია. ასე გახდა მარგერიტ დიურასი პირველი მსხვერპლი კაცისა, რომელმაც ამგვარი ქმედებებით სულ ცოტა ხანში ჯერ საერთო ევროპული მასშტაბით გაითქვა სახელი, შემდგომ კი მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი.

იმ დროიდან მოყოლებული, მან 20-მდე ოპერაცია განახორციელა, ასეულობით წერილი გამოაქვეყნა პრესაში, და, რაც მთავარია, გამოუშვა წიგნი — „კრემი და სასჯელი“, რომელიც ბევრ ენაზე ითარგმნა და ტორტმტყორცნეობის ნამდვილ პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ იქცა.

გოდენს არასდროს მიუჩნევია თავისი ქმედება პოლიტიკურ აქციად. ტორტმტყორცნისთვის, როგორც მას ბელგიაში უწოდებენ, ეს მხოლოდ თვითგამოხატვის ფორმაა — ზუსტად იმის მსგავსი, რასაც ხელოვნების მოღვაწენი თავიანთ შემოქმედებაში მიმართავენ. „ჩემი მიზანი, გემოვნების კი არა, სულის შეურაცხყოფაა“, — ამბობს ნოელ გოდენი. ამიტომაც ის არასოდეს აძლევს თავს უფლებას, აქციისთვის დაბალხარისხიანი სურსათი გამოიყენოს. ბეზე, ეკლერი, შოკოლადის ტორტი, რომლითაც ტორტმტყორცნი თავის მსხვერპლთ „ალამაზებს“ — მუდამ საუკეთესო ხარისხისაა.

რაც შეეხება მისი აქციების ობიექტებს, ეს უმეტესად მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ყველაზე ცნობილი მოღვაწენი არიან. მაგალითად, სახელგანთქმული ფრანგი ფილოსოფოსი და ინტელექტუალი ბერნარ ანრი ლევი მას ხუთჯერ ჰყავს ტორტში ამოსვრილი. კანის კინოფესტივალის ორგკომიტეტი, რომლის მონაწილენი არაერთხელ ქცეულან გოდენის თავდასხმის მსხვერპლად, ამ ქალაქში მისი ჩამოსვლის ოფიციალურად აკრძალვასაც კი მოითხოვდნენ. ტორტმტყორცნის დასაცავად ხმა აიმაღლა სახელგანთქმულმა კინორეჟისორმა ჟან-ლუკ გოდარმა, რომელიც თავადაც გამხდარა გოდენის ტორტის მსხვერპლი.

თავდასხმის ობიექტის შერჩევის თვალსაზრისით, ნოელ გოდენს მხოლოდ ერთი

**ბელგიელი ნოელ გოდენი — ტორტტყორცნის, როგორც პროტესტის ფორმის მოძღვრების ფუძემდებელი**

გამონაკლისი აქვს დაშვებული: მან MICROSOFT-ის მფლობელი ბილ გეიტსიც „შეამკო“ 1998 წელს, თუმცა იქვე განაცხადა, რომ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის ფიზიონომია საუცხოო ტორტით მისი სამეწარმეო საქმიანობის გამო სულაც არ გაულამაზებია: ამის მიზეზი მისი... ამპარტავნობა ყოფილა.

გოდენის დაუოკებელი ესთეტიზმი იმის მიზეზი და საფუძველია, რომ მსოფლიოს ყველა ტორტმტყორცნისთვის სამაგალითო ოსტატად ქცეული გოდენი თავის საქმეს მარტო აკეთებს და ტორტმტყორცნთა საერთაშორისო მოძრაობასთან, — მიუხედავად იმისა, რომ მისი მესვეურები ნოელს თავიანთ ნათლიად მიიჩნევენ, — არავითარი კავშირი არა აქვს.

## მისტერ მეღვეზელე

ტორტის მტყორცნელთა ნამდვილ ლიდერად ნიუ-იორკელი არონ კეი ითვლება. თავისი ბელგიელი წინამორბედის მაგალითით შთაგონებულმა, მან ტორტი ესროლა აშშ-ის კონგრესის პორნოგრაფიასთან და უზნეობასთან ბრძოლის კომისიის წევრს. მანვე ჩაუყარა საფუძველი პოლიტიკურ ტორტმტყორცნთა მსოფლიოში პირველ ორგანიზაციას, რომელსაც Piekill (ინგლის. pie — ღვეზელი, kill — მკვლელობა) უწოდა.

ამ ორგანიზაციის აქტივისტები შორს არიან ბელგიელი ტორტმტყორცნის ესთეტიკური შეხედულებებისგან. მათ სულაც არ აწუხებთ ბეზესა თუ ეკლერის ხარისხი და სასროლ საშუალებად იაფფასიან ღვეზელებსა და ტორტებს იყენებენ. არც კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი იჩენენ გამახვილებულ ინტერესს. Piekill-ის პირველი მსხვერპლნი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ: მაგალითად, მემარჯვენე შეხედულებების ანიტა ბრაიანტი, რომელიც ჰომოსექსუალიზმისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის კვლავ შემოღებისთვის იბრძოდა, უოტერგეითის სკანდალში გახვეული ჰოვარდ ჰანტი და ფრენკ სტერჯისი, ნიუ-იორკელი სენატორი პატრიკ მოინიჰენი და ატომური ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი, ფიზიკოსი ედვარდ ტალერი.

ამბობენ, ბილ გეიტსს ტკბილეული აღარ უყვარსო...

ინტერნეტის შექმნის წყალობით, Piekill-ი საერთაშორისო მოძრაობად იქცა. ლოკალური ნიუ-იორკული ჯგუფიდან ის ორგანიზაციათა მთელ ქსელად გადაიქცა, რომლის უმეტეს ნაწილს ერთი და იგივე სახელწოდება აქვს — „მცხობელთა ბიოტიკური ბრიგადა“ (Biotic Baking Brigade, BBB). ბრიგადის მონაწილენი თავს აგენტებს უწოდებენ და ფსევდონიმებს ირქმევენ, მაგალითად: ვაშლის ღვეზელი, ლიმონის ტორტი და სხვა ამგვარი. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მცხობელ-მებრძოლთა მოძრაობის უჯრედები აშშ-ის ყველა შტატსა და კანადისა და დასავლეთ ევროპის ბევრ დიდ ქალაქში არსებობს.

მოძრაობის განვითარების ოქროს ხანა 90-იან წლებზე მოდის. სწორედ მაშინ განსაზღვრეს აგენტებმა თავიანთი მიზნები საბოლოოდ, რომელიც ასე ჩამოაყალიბეს: ბრძოლა სოციალური სამართლიანობისა და ცხოველთა უფლებების დაცვისათვის. მემარჯვენე პოლიტიკოსებმა შვებით ამოისუნთქეს: ტორტმტყორცნთა ძირითად მტრებად ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები იქცნენ, რომლებიც, ტორტმტყორცნთა აზრით, მსოფლიოში სოციალური უთანასწოროობისა და ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის გავრცელებას უწყობენ ხელს. აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიისადმი თავის დამოკიდებულებას ტორტმტყორცნები ოდენ სიტყვით არ გამოხატავენ (და ამის შესახებ, თითოეული აქციის შემდეგ კომუნიკესაც ავრცელებენ): ყველა ტორტი და ღვეზელი, რომელსაც ისინი იყენებენ, მხოლოდ და მხოლოდ მცენარეული კომპონენტებისგან არის დამზადებული.

BBB-ს ოპერაციის აღკვეთა პრაქტიკულად შეუძლებელია. „წარმატებული კრემ-აქცია ერთ დღე-ღამეში შეიძლება მომზადდეს, — ამბობს სან-ფრანცისკოში მდებარე უჯრედის ერთ-ერთი აგენტი, — საკმარისია, ობიექტი X (ადამიანი, რომლის სახელი ტორტმტყორცნთა პოტენციურ მსხვერპლთა სიაში ირიცხება) 4 ადგილას (ე.ი. ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც BBB-ს თუნდაც ერთი აგენტი ცხოვრობს), რაიმე საჯარო ღონისძიებაში — ლექცია იქნება ეს, ახალი ხიდის გახსნა თუ პრემიის გადაცემა — მონაწილეობის მისაღებად აღმოჩნდეს და მისი ბედი გადაწყვეტილია“...

## ტორტმტყორცნთა მსხვერპლნი

### ბილ გეიტსი, კორპორაცია MICROSOFT-ის მფლობელი

1998 წლის 14 თებერვალს ბრიუსელში თავს დაესხა სახელგანთქმული ტორტმტყორცნი ნოელ გოდენი. მოტივი: გეიტსის ამპარტავნობა. იარაღი: კრემიანი, ათქვეფილი ნაღებით „გამდიდრებული“ ტორტი. დაზარალებულის რეაქცია: ვერავინ დააფიქსირა, რადგან გეიტსი უმალ გაიყვანეს სცენიდან. მაგნატს თავდამსხმელების წინააღმდეგ საქმე არ აღუძრავს, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ განაცხადა, რომ ამ ინციდენტში ყველაზე უარესი ის იყო, რომ ტორტი... უგემური აღმოჩნდა. შედე-

**ამერიკელი არონ კეი — ტორტმტყორცნის მსოფლიო მოძრაობის ლიდერი**

# ტესტი ერუდიციაზე

**1. მანდილოსნების ერთ-ერთ თანამედროვე ვარცხნილობას ეწოდება:**

ა) „სცენა“;
ბ) „ტრიბუნა“;
გ) „პოდიუმი“.

**2. რამდენი დღე იმეფა ელბიდან დაბრუნებულმა ნაპოლეონმა?**

ა) 7;
ბ) 100;
გ) 364.

**3. რომელი მდინარის ნაპირზეა აგებული ქალაქი ბერლინი?**

ა) შპრეე;
ბ) რაინი;
გ) ვეზერი.

**4. ჩამოთვლილ პიროვნებათაგან რომელი არ იყო მშვილდოსნის ნიშნის ქვეშ დაბადებული?**



ა) კვაჭი კვაჭანტირაძე;
ბ) დათა თუთაშხია;
გ) იოსებ სტალინი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

**ტოფუს ყველის ღვეზელი – სპეციალურად ოსკარ დე ლა რენტასთვის**

გი: გოდენმა წვრილი ხულიგნობისთვის, ჯარიმის სახით, 88 დოლარი გადაიხადა.

### ოსკარ დე ლა რენტა, მოდელიერი

1998 წლის 11 ნოემბერს ორეგონის შტატის ქალაქ ტიგარდში მას, მოდელების ჩვენების გახსნისას თავს დაესხა BBB-ს აგენტი, მოტივი: მოდელების მიერ ნატურალური ბეწვეულის ხშირი გამოყენება. იარაღი: ტოფუს ყველის ღვეზელი. დაზარალებულის რეაქცია: სამოსი გამოიცვალა, დაბრუნდა დარბაზში, ბრალი თავდამსმელისთვის არ წაუყენებია. შედეგი: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის აგენტი დააჯარიმეს.

### ჯონ ვულფენსონი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი

2001 წლის 29 მარტს ჰელსინკში, ფინეთის ფინანსთა მინისტრთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს BBB-ს ფინური უჯრედის აგენტები დაესხნენ თავს. მოტივი: მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა. იარაღი: იგივე, რაც ბილ გეიტსის წინააღმდეგ. დაზარალებულის რეაქცია: „ისე, მე დიეტაზე ვარ, თუმცა ტორტი საკმაოდ გემრიელი იყო“. ბრალი თავდამსხმელისთვის არ წაუყენებია. შედეგი: აგენტები დაიკავეს და დაკითხვის შემდეგ, გაათავისუფლეს. ვულფენსონის მიერ ბრალის წაყენებაზე უარის თქმის შემდეგ, მის ნაცვლად ეს ფინეთის პრემიერ-მინისტრმა პააკო ლიპიანენმა გააკეთა. საქმე სასამართლოში გადაცემული ჯერჯერობით არ არის.

### ჟან ჯრეტიენი, კანადის პრემიერ-მინისტრი

2000 წლის 16 აგვისტოს ქალაქ შარლოტთაუნში ვიზიტისას BBB-ს ადგილობრივი უჯრედის აქტივისტის თავდასხმის მსხვერპლი აღმოჩნდა. მოტივი: კანადის ეროვნული ინტერესების საზიანოდ, კრეტიენის მთავრობის მიერ ტრანსნაციონალური კორპორაციების მხარდაჭერა. იარაღი: კვახისა და ყველის ღვეზელი. დაზარალებულის რეაქცია: საშინლად განრისხდა და დაიფიცა, რომ სამაგალითოდ დასჯის თავდამსხმელს. შედეგი: 2001 წლის აპრილში ტორტმტყორცნი ივან ბრაუნი დამნაშავედ ცნეს თანამდებობის პირზე თავდასხმის გამო. განაჩენს რამდენიმე კვირაში გამოუტანენ. ■

**მსოფლიო ბანკი არც ფინეთში უყვართ – ჯონ ვულფენსონი თეფშით სიფათზე**

*დასაწყისი იხ. „გზა“ №22-24*

# ბელისწერა

ნიკო ამკარელი

საგუშაგოსთან ჯარისკაცებს ფეხბურთი გაეჩაღებინათ, მოთამაშეებს შორის გიგიაც იყო. მოულოდნელად, მსუბუქი, დაფეხვილი ავტომანქანა გამოჩნდა, რომელიც სწრაფი მოძრაობით შარაგზაზე მტვრის ბოლს აყენებდა. ჯარის ნაწილის შესასვლელთან მკვეთრად დამუხრუჭებული მანქანიდან ორი ავღანელი მკვირცხლად გადმოხტა. გუშაგთან მიირბინეს და ხმამაღალი ლაპარაკი დაუწყეს:

— ამხანაგო კაპიტანო! — გასძახა გუშაგმა გიგიას.

გიგიამ ფეხბურთს თავი ანება, საგუშაგოსკენ გაემართა და უახლოესი ყიშლაყიდან მოსულ ნაცნობ ავღანელ ფაიზულას მიესალმა.

— რა მოხდა? — იკითხა გიგიამ.

— გიგი, ბავშვი ჩაგვივარდა ჭაში. სამხედრო ჰოსპიტალში გადაგვაყვანინე, — დამტვრეულ რუსულს ავღანურს ახმარდა ფაიზულა. — მანქანაში გვიწევს, ძალიან ცუდად არის.

— ექიმს დაუძახეთ! — უთხრა გიგიამ გუშაგს და მანქანისკენ გაემართა ავღანელების თანხლებით.

არბობ ბობოდინმა მუდარით შეხედა გიგიას:

— გიგი, აი, რა დღეში ჩავვარდი. მიშველე, გადამირჩინე შვილიშვილი. შეხედე, — მიუთითა მანქანაში მისვენებულ პატარაზე, — რა ცუდ დღეშია!

— გადმოიყვანეთ ბავშვი, ექიმი ახლავე მოვა, — გიგია ჩაფიქრდა, თუ ბავშვს აქ ვერაფრით უშველიდნენ, სახიფათო გზა იქნებოდა ჰოსპიტლამდე გასავლელი, მეამბოხე ამონ სახიბის ტერიტორიის გადაკვეთა მოგვიწევსო, წასვლა მაინც საჭირო გახდება, — დასკვნა საბოლოოდ და 101-ე ჯავშანტრანსპორტიორის გამოყვანის ბრძანება გასცა.

შვიდიოდე წლის თავშეხვეული ბიჭი მიწაზე დაგებულ საბანზე დააწვინეს. ტანზე ადგილ-ადგილ სისხლჩაქცევები ემჩნეოდა. თვალები დაეხუჭა.

— გაიწიეთ, ჰაერი მიეცით! — ბავშვს აარიდა ჩაცუცქული ავღანელები სამხედრო ექიმმა და ჭრილობების დათვალიერებას შეუდგა.

— რა ხდება, გიგი? — იკითხა მოახლოებისას ნაწილის მეთაურმა.

— ამხანაგო მაიორო, ბავშვი ჩაუვარდათ ჭაში.

— ერიჰა, რა მოსვლიათ, უკვე მკვდარია?

საუბარი საგუშაგოსკენ მომავალი ჯავშანტრანსპორტიორის ხმაურმა შეაწყვეტინათ.

— გიგი, ბავშვი ფაქტობრივად მკვდარია.

— რას ნიშნავს ფაქტობრივად? — შუბლი შეიკრა კაპიტანმა.

— ათასიდან გადარჩენის ერთი შანსი აქვს, წაყვანას აზრი არა აქვს...

— მაგრამ ხომ არის ის ერთი შანსი?!

— მოკვდა? — იკითხა მათთან მისულმა მაიორმა.

— შეიძლება, ასეც ითქვას, — უპასუხა კოლია ექიმმა.

— ხომ ვამბობდი?! — ჩაილაპარაკა მაიორმა, — ავღანელებს აუხსენით ყველაფერი, სამხედრო მანქანა კი ადგილზე დააყენეთ.

— ამხანაგო მაიორო, მცირე შანსი მაინც აქვს, მე წავიყვან, ექიმიც გამომყვება.

— გიგია, დაანებე ბავშვის ჰოსპიტალში წაყვანაზე ფიქრს თავი. სხვა თუ არაფერი, დიდი რისკია. სახიფათო გზაა, ხომ იცი?

გიგია ექიმთან ერთად მიუახლოვდა არბობს:

— მაპატიე, ბიჭს ველარაფერს ვუშველით.

ავღანელებში ჩოჩქოლი ატყდა. ფაიზულამ ანთებული თვალებით შეხედა გიგიას. არბობმა ხელები აღმართა და აკანკალებული ხმით უთხრა:

— გიგი, სულ ახლახან ბავშვი თამაშობდა, დახტოდა და მღეროდა. ცოცხალი იყო... გამიგე?! ახლაც ცოცხალია... გვიშველე რამე... თითქოს შენი შვილი, შენი სიყვარულის ნაყოფი იყოს, ისე შეხედე და თუ შეგიძლია დაგვეხმარო, დაგვეხმარე.

გიგიას გულში მოხვდა არბობის სიტყვები. კიდევ ერთხელ დახედა ბავშვს, რაღაც გაახსენდა და ჯავშანტრანსპორტიორისკენ ხმამაღალი შეძახილით გაიქცა:

— გააჩერე! გააჩერე!

გაოცებული ნაწილის მეთაური გიგიას მიაჩერდა.

— მაიორო, ექიმმა თქვა, გადარჩენის მცირე შანსიაო, მინდა გამოვიყენო, იქნებ გადარჩეს.

— გიგი, 5 საათის შემდეგ გასვლა აკრძალული გვაქვს.

— ჯერ ოთხიც არ არის, მოვასწრებ.

— აქ მოდით! — გასძახა გაბრაზებულმა მეთაურმა გუშაგს, ეტყობოდა — გადაწყვეტილება მიეღო. — დააპატიმრეთ კაპიტანი!

ამ სიტყვების გაგონებაზე, გიგიამ ავტომატი გამოსტაცა დაბნეულ ჯარისკაცს და ლულა მაიორს მიუშვირა.

— არ გაინძრე, თორემ გაგათავებ, შე დამპალო!

მაიორმა გაქცევა სცადა, მაგრამ ავტომატის ჯერის ხმამ ადგილზე გააქვავა.

— დაწყნარდი, ამხანაგო გიგია! — დატკბა მეთაური.

— ანატოლი პოლივოდა! — გასძახა ჯარისკაცს გიგიამ. — გამომყევით!

— მეც წამოვალ, — განაცხადა ექიმმა და ავღანელებთან ერთად ბავშვისკენ გაემართა, სამხედრო მანქანაში მის ჩასაწვენად.

— მაიორო, მე შენგან კარგს არაფერს მოველი, მაგრამ ამ შემთხვევის გამო პატაკს თუ დაწერ, ღორივით დაგკლავ, გაიგე?! — თვალი თვალში გაუყარა გიგიამ.

— წავედით! — დაიძახა და დაძრულ სამხედრო მანქანას შეახტა.

ჯავშანტრანსპორტიორი ჰოსპიტალთან გაჩერდა. ავღანელებს კოლიაც მიეხმარა და ბავშვი სწრაფად შეიყვანეს საავადმყოფოში. გიგია და ანატოლი გარეთ დარჩნენ.

— ტოლიკ, კარგია რომ წამოვედით. მიდი, შენ მანქანა მოაბრუნე, მე კი გავიგებ, რა ხდება.

გიგია საავადმყოფოს შესასვლელთან შეჩერდა და სიგარეტს მოუკიდა. ბოლომდე მოწეული არ ჰქონდა, კოლია რომ გამოვიდა.

— ეეჰ, — ხელი ჩაიქნია ექიმმა. — მორჩა.

— აბა, რომ სუნთქავდა? — ყელში ბურთი გაეჩხირა გიგიას.

— არ სუნთქავდა, ალბათ სული ამოსდიოდა.

ავღანელებმა გარდაცვლილი ბავშვის ნეშტი გამოასვენეს, მანქანაში ჩასვენეს და გვერდით მიუსხდნენ. ხმას არავინ იღებდა. ჯავშანტრანსპორტიორი უღელტეხილის მიმართულებით, სამხედრო ნაწილისკენ დაიძრა.

ჩაბნელებულ ოთახში, პირდაპირ იატაკზე ნახევარწრედ ისხდნენ მოჯაჰედები. ნახევარწრის თავში, ვაუკაცური სახის, წვერში ჭაღარაშეპარული კაცი, არბობ ამონ სახიბი იჯდა; მის ერთ მხარეს არბობ ბობოდინი, მეორე მხარეს კი ახალგაზრდა ავღანელი, ახმადი ისხდნენ. ოთახში მხრებში თავჩარგული გიგია შემოიყვანეს, ფეხს ძლივს ადგამდა, დაჭრილი იყო, ხელები ზურგს უკან თოკით ჰქონდა შეკრული. არბობ ამონ სახიბმა ავღანურად რაღაც უთხრა გიგიას თანმხლებ მებადრაგეებს. ბადრაგმა ხელები გაუხსნა, გიგია ძლივს იდგა ფეხზე.

— დაჯდეს! — მოკლედ მოჭრა სახიბმა.

ბადრაგმა ბალიში დაუდო იატაკზე გიგიას და დასაჯდომისკენ უბიძგა. გიგია ბადრაგის დახმარებით დაეშვა ბალიშზე. დაჭრილი ფეხი ჩაეკეცა და ცალ მხარეს გადაიხარა, ერთი ფეხი წინ გამოწეული დარჩა. ხელებით უკან, იატაკს დაეყრდნო, მთელი ტანით აკანკალდა და გონება დაკარგა!.. ფილმის კადრებივით, რაღაც სურათებს ხედავდა... როგორ გადმოხტა ჯავშანტრანსპორტიორიდან... როგორ დაიჭრა და როგორ გაიფიქრა დატყვევებულმა — „ალბათ თავში მესვრიან...“

სახეზე სისველე იგრძნო, გონი დაუბრუნდა. თვალები გაახილა და ახმადის მზერას გადააწყდა. ის არის — გაიფიქრა და ძმის სიკვდილით თავზარდაცემული ავღანელი გაახსენდა, მან და იგორმა რომ დაინდვეს.

ნახევარწრის თავში ჯდომ მოჯაჰედს შეხედა.

— არბობ ამონ სახიბ? — გაკვირვებით ამოილუღლუღა გიგიამ.

— დიახ. სალამ ალეიქუმ, გიგი, — უპასუხა სახიბმა.

— ალეიქუმ... სალამ, — გიგიას თვალები აემღვრა, ჯამი მიაწოდეს. ხარბად ხვრეპდა წყალს. მერე ჯამს თვალი მოაცილა და ისევ არბობ ამონ სახიბს მიაჩერდა.

— შენ აქ რა გინდა, ქართველო? — ჰკითხა ამონმა ავღანურად.

— არ ვიცი, — მწარედ ჩაიცინა და ავღანურადვე უპასუხა: — შენ არ დაგიპატიჟებივარ.

— მართალი ხარ, შენ არავის დაუპატიჟებიხარ, მაგრამ აქა ხარ.

— არც შენ უნდა ყოფილიყავი აქ. რაც შენი ყიშლაყი დატოვე და მთავრობას განუდექი, ყველას ეგონა, რომ აქაურობა მიატოვე და სხვაგან გადაიხვეწე.

— მე ამ მთავრობას კარგი თვალით არასოდეს ვუყურებდი. ყოველთვის ჩემი ხალხის გვერდით ვიდექი და ვცდილობდი, თქვენგან აწიოკებული და გაძარცული ადამიანების ყოფა შემემსუბუქებინა.

— ჩემებს არასოდეს უყაჩაღიათ.

— ჰმ... ყოველდღე შარაგზაზე დაძრწიხართ, ვითომ დუშმანებს ეძებთ. თქვენი შემოსვლის დღიდან ჩემი ხალხის საქმე უკან-უკან წავიდა. თქვენ ყვავილებითა და იმედებით დაგხვდნენ და მოტყუვდნენ. ახლა თქვენ მხოლოდ სიკვდილი გელით ამ მიწაზე.

— მე შენი მტერი არასოდეს ვყოფილვარ, არც შენი ხალხის.

— ბრიყვი ხარ, ქართველო, ვაუკაცი ბრიყვი. აქ, ავღანეთის მიწაზე, ყველგან ჩემი ხალხია და თქვენ კი ყველა მათგანის მტერი ხართ.

— შენ აქ მტერი ჩვენს მოსვლამდეც გყავდა.

— მერე, რა შენი საქმეა ჩემი მტერი, — გაფიცხებული ამონ სახიბი გიგიას მივარდა, გულისპირში ხელი ჩაავლო და თავისკენ მოზიდა: — თქვენ აქ ჩემი მტერიც ხართ და ჩემი მტრის მტერიც. ჩემგან და მათგან თქვენ სიკვდილის მეტს არაფერს იმსახურებთ.

გიგიამ მტკიცედ გაუსწორა თვალი. არბობმა მკვლავებში წაავლო ხელი და შეანჯღრია.

— გაიყვანეთ! — ბოლოს ბრძანა სახიბმა.

ორმა მებადრაგემ გიგია წამოაყენა და ოთახიდან გაიყვანა.

ავღანეთის ქვა-ღორღიანი მთების დაკლაკნილ ბილიკზე კოჭლობით მიმავალ გიგიას სამი ცხენოსანი მიჰყვებოდა.

— სდექ! — შესძახა არბობ ამონ სახიბმა და სადავე მოქაჩა.

გიგიას უკან არ მოუხედავს.

— ქართველო!

გიგია ნელა შემობრუნდა. სახიბის გვერდით მდგარ ცხენზე მჯდარი ავღანელი უეცრად ჩამოხტა, მასთან მიირბინა, ფეხებთან ავტომატი დაუდო და ისევ ცხენს მოახტა.

— აი, ამ ბილიკით, — მათრახით მიანიშნა სახიბმა, — ნახევარ საათში მთავარ გზაზე გახვალ, წადი!

ავღანელებმა ცხენები მიაბრუნეს და გააჭენეს. უეცრად სახიბმა ცხენი შემოაბრუნა და ისევ გიგიას მიეჭრა:

— არა ხარ ბრიყვული სიკვდილის ღირსი... თუმცა, ვაუკაცისთვის ბრიყვული სიცოცხლეც დიდი ცოდვაა. ალაჰის მადლმა, ამის შემდეგ სადაც შეგხვდები, აღარ დაგინდობ და... — არბობმა გიგიას თავს ზევით გაიხედა. მზერა გაეყინა. ძრავების გუგუნის ხმა მოისმა.

— დასწყევლოს ალაჰმა, საბჭოელები!..

გიგიამ მთის კალთების ბუნებრივი სამალავიდან უეცრად გამოსულ ქვეითთა მანქანებს გახედა.

— მე მათ შევაჩერებ, თქვენ სწრაფად გაეცალეთ აქაურობას! — უთხრა სახიბს.

— ვერ შეაჩერებ! მეექვსე წელია აქ არიან და მათი შეჩერება ვერავინ შეძლო. ან ჩვენ უნდა გავწყდეთ, ან ეგენი, — ცხენი ადგილზე შეატრიალა, — ალაჰ აკბარ! — შესძახა და ადგილს მოსწყდა. ის იყო, გიგია სამხედრო ტექნიკისკენ შებრუნდა, ხელები მაღლა ასწია და აქეთ-იქით ქნევას მოჰყვა, რომ სროლის ხმა გაისმა. აფეთქების ხმამაც არ დააყოვნა და იმ მხრიდან გაისმა, საითაც არბობმა გაქუსლა.

გიგია კოჭლობით გაჰყვა აფეთქების ხმას. გორაკზე ავიდა და არბობის ცხენი დაინახა, პატრონის სხეულთან სცემდა მიწას ფლოქვებს. აქოშინებულმა გიგიამ მიირბინა იმ

ადგილას და პირქვე დამხობილი არბობი გადმოაბრუნა... ის აღარ სუნთქავდა...

საბჭოელების ტექნიკა წინ მიიწევდა... მანქანებიდან მედესანტეები გადმომხტარიყვნენ და გადარბენებით მიიწევდნენ გიგიასკენ, მათ შორის იგორი პირველობდა...

გიგიამ ლოდებს უკან დამალული ის ავღანელი შენიშნა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ავტომატი ფეხებთან დაუდო. ავღანელი დაწინაურებულ იგორს უმიზნებდა ავტომატს.

— არ ისროლო! — გასძახა ავღანელს, — არ ისროლო! — ახლა იგორის გასაგონად დაიძახა.

ავღანელმა ვერაფერი გაიგო და იგორისკენ ავტომატის ჯერი მიუშვა. გაფითრებულმა გიგიამ ცხედარს ხელიდან პისტოლეტი გამოჰგლიჯა,

ავღანელს დაუმიზნა და სამჯერ ისროლა.

გაკვირვებული თვალებით უყურებდა ავღანელი გიგიას, მერე მკერდზე მიიდო ხელი და პირქვე დაეცა.

— გიგი! გადარჩი, გიგი?! — საღსალამათ მეგობარს მხრებზე უტყაპუნებდა ხელებს იგორი.

— იგორ, შეწყვიტე შეტევა, — სთხოვა მეგობარს გიგიამ. — აქ აღარავინ არის მოსაკლავი!.. გაიგე?! აღარავინ მოკლათ! — ყვიროდა მთელი ხმით.

— შენ რა, არანორმალური ხარ?! — ჩახედა თვალებში იგორმა. — კარგი, როგორც გინდა.

იგორი შეტრიალდა და ალმებით, შეტევის შეჩერების ნიშანი მისცა.

გიგიამ პისტოლეტი არბობ ამონ სახიბის გვერდით დაადგა, თავზე ხელები შემოირტყა და წამოიძახა:

— წყეულიმც იყოს ყველაფერი!..

1985 წელი იყო. სასამართლო დარბაზში ბრალდებულის ადგილას გიგია ამირანაშვილი იჯდა. შესვენების დროს მასთან იგორი მივიდა:

— გიგი, როგორ ხარ?

— არ ვიცი...

— არ გაგიმართლა.

— ალბათ.

— ჯავშანტრანსპორტიორი რომ უშენოდ დაბრუნდა, ის სულელი, — თავით წინა რიგში მჯდარი, ნაწილის მეთაურისკენ მიუთითა: — კინაღამ გაგიჟდა. ყველაფერი შენ დაგაბრალა, ტექნიკა გაიტაცაო — ასე უპატაკა უფროსობას, ეგონა, დაიღუპე.

— ისე, მართალია.

— კი, მაგრამ სხვაგვარადაც შეეძლო მოქცეულიყო, — იგორმა ცოტა ხნით იყუჩა. — ისე, ბევრი გვათრიეს „უშიშროებაში“... ვერავინ გაიგო, ცოცხალი რატომ გამოგიშვეს დუშმანებმა, თანაც იარაღით...

— მკვდარი ყველასთვის ნაკლებ პრობლემებს შევქმნიდი... შეიძლება, ორდენიც კი მოეცათ... სიკვდილის შემდეგ, — გაიღიმა გიგიამ, — ახლა კი ციხეში მომიწევს ყოფნა.

— გამაგრდი.

— იგორ, თხოვნა მაქვს შენთან, — გიგიამ ჯიბიდან კონვერტი ამოაძრო, — ეს წერილი ნინოს უნდა გაუგზავნო.

— როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი.

სასამართლო დიდხანს არ გაგრძელებულა. გიგია დამნაშავედ ცნეს და რვა წელი მიუსაჯეს.

საოპერაციო მაგიდაზე შალვა იწვა, სხვებთან ერთად, ნინოც ეხმარებოდა ქირურგს მამის ოპერირებაში.

— მორჩა, გაიყვანეთ, — ბრძანა ქირურგმა, დოლბანდი მოიხსნა, შუბლიდან ოფლის წვეთები მოიწმინდა და დერეფნისკენ გასწია.

— ბატონო ოთარ, — წამოეწია ნინო.

— ჰო...

— გარეთ დედაჩემი მელოდება... რა ვთქვა?..

ოთარმა ნინო გვერდით ოთახში გაიყვანა.

— ჩვენ კოლეგები ვართ, შვილო. შენი თვალით ნახე ყველაფერი... ოპერაცია ძალიან დაგვიანებულია... ვეჭვობ, რაიმე შედეგი გამოიღოს.

— მინიმუმ, რამდენს იცოცხლებს?

— ვერც მაგას გეტყვი. შეიძლება, ერთი წელი... შეიძლება, ორიც... შეიძლება, ექვს თვეში მოულოს მეტასტაზებმა ბოლო.

— რა ვქნა?

— უნდა შეეგუო და მოემზადო... მთავარია, მაგ დროისთვის მორფინი გქონდეს და ტკივილები შეუმსუბუქო... თუმცა, ამ არეულ დროში ეგეც მხოლოდ მინისტრის უშუალო ბრძანებით გაიცემა... მე, რაც შემეძლება, დაგეხმარები...

— შავ ბაზარზე ვერ ვიშოვი?

— ძვირია, შვილო, ვერ შესწვდები.

— ბატონო ოთარ, დედას ნურაფერს ეტყვით.

— კარგი... კარგი... — თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ოთარმა და დერეფანში გავიდა.

სოფლის ამბულატორიას თეთრი „ვოლგა“ მიადგა. მანქანიდან გადმოსული ახალგაზრდა ქალი ხის კიბეს აუყვა და მეორე სართულზე ავიდა.

— ნინო ექიმო, შეიძლება? — შეიხედა გამოღებულ კარში.

— ქეთევან! აქ საიდან გაჩნდი? — წამოხტა ნინო და მეგობარს მოეხვია.

— სასწრაფოდ წამომყევი, გველოდებიან! კარგ ამბავში უნდა წაგიყვანო.

ქეთინო ოთახის მოწესრიგებაში მეხმარა ნინოს და ორივენი სწრაფი ნაბიჯებით გამოვიდნენ ამბულატორიიდან.

— სად მიგყავარ, ქეთი?

— ქორწილში მივდივართ. გზაში აგიხსნი ყველაფერს. ჩემი მამიდაშვილი გათხოვდა და აქვე, მეზობელ სოფელ ვერხვისუბანში, სიძის ქორწილია.

— ასე როგორ წამოვიდე? — კაბაზე დაიხედა ნინომ.

— შენთან შევირბინოთ. ორ წუთში ხომ გამოიცვლი?

— უხერხულია. თანაც სამსახური...

— რა სამსახური?! კაჟივით პაციენტები გყავს. სოფლელები ცუდად არ ხდებიან... — ქაქანით მიარბენინებდა მანქანისკენ ქეთი მეგობარს. — თანაც, რამდენი საჭორაო გვაქვს — ერთი წელია არ მინახიხარ... მანქანაში ერთი ადგილი სპეციალურად შენთვის შევინახეთ.

წითელი ლენტებით მორთული მანქანის კარი მძღოლმა გამოაღო და გოგონებს შესცინა.

— აბა ამისთანა ქალის დატოვება შეიძლებოდა?

— აკი გეუბნებოდით! — ნიშნისმოგებით უპასუხა ქეთიმ და მანქანაში ჩაჯდა.

ნინოს სახლთან გაჩერებული თეთრი „ვოლგიდან“ ორნი გადმოვიდნენ.

— აბა, თქვენ იცით გოგონებო, ხვალ დილით გამოგივლით, არ მოიწყინოთ.

— გმადლობ, ვახტანგ, იქნებ, შენც ჩვენთან დარჩენილიყავი? — მიუგო ნინომ. — არ მოგერიდოს. არ შეგვავიწროვებ.

— არა, რას ამბობ?! ახლა იწყება ლომების აღლუმი, აქამდე ხომ წვეთიც არ დამილევია... თქვენ კი დაისვენეთ და დილით მზად იყავით... ხვალ მარტო შინაურები ვიქნებით...

— მე ვერ წამოვალ, — ხელები გაასავსავა ნინომ, — ქეთინოს კი მზად დაგახვედრებთ.

— ორივეს მოგიტაცებთ, ორივეს! — გაიღიმა ვახტანგმა.

— რისი მომტაცებელი ხარ, ნეტა დამანახვა... — გაეხუმრა ქეთი.

— დილით მზად დამხვდით, თორემ მაგასაც გიჩვენებთ...

ხმამაღალი ხარხარით მოაბრუნა მანქანა ვახტანგმა და გოგონებს ხელი აუწია...

სარკმლიდან შემოსული მთვარის შუქი საძინებელ ოთახს ანათებდა. გვერდიგვერდ მდგარ საწოლებში ნინო და ქეთინო გულაღმა იწვნენ და ჭერს შესცქეროდნენ.

— კარგი ტიპია ვახო, არა?

— ნეტაი შენ! ვინ არის ეგ ვახო?

— მე მეგონა, იცნობდი. მთელი რაიონი მიცნობსო. ჩვენი სიძის ბიძაშვილია, მაგათი სოფლელი. აგრონომია, თუ რა ჰქვია იმას? ძროხების ის რომ არის?

— ვეტერინარი? — ჩაეცინა ნინოს.

— ჰო, ალბათ, — დაეთანხმა ქეთი.

— ჰო, გაგონილი მაქვს, — გაახსენდა ნინოს. — აქ ერთი ნევროპათოლოგია, გასათხოვარი. კარი აუტალახა.

— ცოლი უნდა და თანაც ექიმი? ისე, არა უშავს, არა? მანქანა, სახლი, კარი, ძროხები... ქათმები, — სიცილი დაიწყო ქეთიმ.

— სოფლელობას უწუნებ?

— რა, გწყინს? როგორი ალფრთოვანებით მოგვიძღვნა ექიმებს სადღეგრძელო, არა? მართლა არ ჩანს ცუდი ბიჭი. დედამისიც როგორ თავს გვევლებოდა! ცოტა პროვინციელია, თორემ...

— ისე უხერხულად ვიყავი, — შეწუხდა ნინო, — სახლში ალარ უნდა გავყოლოდით.

— არ დაიშალა და... მეც ყავა ძალიან მინდოდა... და ძალიანაც კარგი იყო.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნინო, გიგიასი რა ისმის?

ნინო კარგა ხანს ხმას არ იღებდა, შემდეგ ჩუმად ჩაილაპარაკა:

— გიგია ახლა ციხეშია.

— რას ამბობ? როგორ? — საწოლში წამოჯდა ქეთი.

— არაფერი ვიცი... ციხეშია... ერთადერთი წერილი მომივიდა. არ ვიცი, სად არის, — ცრემლები მოაწვა ნინოს.

ქეთი სწრაფად წამოჯდა, საწოლიდან ადგა და ნინოს ჩამოუჯდა:

— რას ამბობ, გოგო?

— არავის არ უთხრა... ვმალავ... ღმერთო, როგორ მჭირდებოდა ახლა... — ცრემლები შეიმშრალა ნინომ.

— რატომ აქამდე არ მითხარი? როდის გაიგე?

— ერთი წელია... ერთადერთი წერილი. მერე მოგწერო... არაფერი არ გამიგია... ღმერთო...

— კარგი, ნუღარ სლუკუნებ, რას უშველი — დამშვიდება სცადა ქეთიმ.

— ორი თვეა, მამას ოპერაცია გავუკეთე... გავწამდი, ქეთი... დავიტანჯე, მამას სიმსივნე აქვს... ამასაც ვმალავ. ახლა მოიკეთა. საცოდავს ჰგონია, კარგად არის... რომ წარმომიდგენია, რა ტკივილები ელის... რით ვუშველო...

— შე საწყალო, მე კიდევ, მთელი დღე ვიკრიჭები და ყველა ჩემსავით კაი გუნებაზე მგონია.

— მაპატიე, ქეთი, ჩემი წუხილი მოგახვიე, მაგრამ მეც არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე...

— ნუ, ნინო, ნუ. მითხარი, რითი დაგეხმარო?

— შენ რითი დამეხმარები... ქირურგმა ერთი წლის სიცოცხლე მოგვცა... ღმერთო, ოთხ-ხუთ თვეში დაეწყება და რა ვქნა?..

— წამალი დაგჭირდება.

— მაქვს ყველაფერი. თუმცა, ეგეც უბედურებად მექცა... თქმას ვერ ვასწრებ — იმ წუთში ყველაფერი ჩნდება. დათოს მოაქვს ყველაფერი: იმისი მშობლები ხომ სულ აქ გვისხედან.

— ვინ დათო? ის დათო? — გაიკვირვა ქეთიმ.

— ჰო.

— უყვარხარ?

— მთხოულობს. ახლა თავს იკავებენ, სანამ მამა ცუდად არის, მაგრამ ასე მგონია, ერთი სული აქვთ, როდის მოკვდება, რომ ეს არ ბორკავდეთ.

— შენ ახლა ყველაფერი სხვანირად გეჩვენება, ნინო. რა გინდა — უყვარხარ და გეხმარება, შენც გამოიყენე ამ გაჭირვების ჟამს.

— არა, ქეთი, რა გამოვიყენო?! მამაჩემის სიცოცხლის ფასად უნდათ, ცოლობაზე დავთანხმდე.

— შენც არ დათანხმდე.

— არც ვთანხმდები, მაგრამ დედაჩემმა სიცოცხლე გამიმწარა. იმათ ნაცვლად დედაჩემი მაყვედრის იმათ ამაგს მამაჩემზე. რა ვქნა, სად წავიდე... არადა, ფული სულ ალარ გვაქვს... რა ვქნა, მამაჩემის წამალზე ვთქვა უარი?.. ოჰ, გიგი, გიგი... რომ იცოდე!

— ნუ ართულებ, ნინო, ყველაფერს... დათო არ არის ცუდი ბიჭი.

— ქეთი, ქეთი, შენც მაგას მეუბნები?

— არ ვიცი, არ ვიცი... რაღაც უნდა დათმო. კარგი... კარგი. წყალი დალიე, — ჭიქა მიაწოდა ქეთიმ, — არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა.

— ეჰ, ღმერთო ჩემო, — ამოიოხრა ნინომ, — დაიძინე... მაპატიე, ქეთი, მაპატიე...

*გაგრძელება იქნება*

# კამერონ დიასი

**კომედიაში „ნიღაბი“ ცისფერთვალება, უნაკლო აღნაგობის ქერთამიანი ქალის გამოჩენამ გული არა მარტო ჯიმ კერის გმირს, არამედ მაყურებელ მამაკაცთა უმეტესობასაც აუჩქროლა. ნათელი იყო, რომ ჰოლივუდში ახალი სექს-სიმბოლო დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ ექვსი წლის მანძილზე კამერონ დიასმა მხოლოდ ოთხ ჰიტად ქცეულ ფილმში ითამაშა (მათ შორის ბოლო — „ჩარლის ანგელოზები“, ჩვენს ეკრანებზე 2001 წლის დასაწყისში გამოჩნდა), მაინც მყარად დაიკავა მეორე ადგილი ჰოლივუდის რეიტინგში — წინ მხოლოდ ჯულია რობერტსი გაუშვა, უკან კი ისეთი ვარსკვლავები მოიტოვა, როგორებიც არიან დემი მური, ჯოდი ფოსტერი და შერონ სტოუნი.**

# მამაკაცებს საცვლებზე ხშირად იცვლის

მამაკაცთა გულთამპყრობელი, რომლის ძარღვებშიც კუბური, ესპანური, გერმანული, ჰოლანდიური, ინგლისური და, წარმოიდგინეთ, ინდიელ წინაპართა სისხლიც ჩქეფს, 1972 წლის 30 აგვისტოს კალიფორნიაში, ქალაქ ლაგუნა-ბიჩში დაიბადა. სწორედ იქ, სადაც ამ ზღაპრული შტატის საუკეთესო ქვიშის პლაჟები და 27 გრადუსიანი საშუალო წლიური ტემპერატურაა, გაატარა ბავშვობა გოგონამ.

მამისგან – ნავთობის მომპოვებლისგან, კამიმ ოპტიმიზმი, სიცოცხლის სიყვარული, „შავი“ იუმორისადმი სწრაფვა და „არანორმატიული“ ლექსიკა აითვისა. ტიპური მამაკაცური სახელიც გოგონას მამამისმა შეურჩია. დედისგან – ვაჭრობის ბროკერისგან, კამერონმა მემკვიდრეობით საუცხოო აღნაგობა მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ „ჩარლის ანგელოზებში“ კამერონმა ლინგვისტიკის პროფესორის, ნატალის როლი შეასრულა, რეალურ ცხოვრებაში ის სწავლისადმი სწრაფვით არ გამოირჩეოდა, თუმცა თანაკლასელთა თვალში ამ ნაკლს თავისი სილამაზითა და გრძელი, ჩამოქნილი ფეხებით აწონასწორებდა. თინეიჯერები კამერონს

უბრალოდ აღმერთებდნენ, ის კი არც ერთგულებით გამოირჩეოდა და ვერც სახეებს იმახსოვრებდა კარგად. კამი დღესაც ვერ იხსენებს იმ ბედნიერი მამაკაცის სახელს, ვის მკლავებშიც უმანკოება დაკარგა: „მე მგონი, მას ჯეკი ერქვა... არა, შეიძლება ტომი! ჩვენ ჯაკუზიში ვერთობოდით, თუმცა ეს შეიძლება მინდორშიც მომხდარიყო. თუმცა, ეს უკვე აღარც მახსოვს!“

ბედმა კამერონს ნამდვილად გაუღიმა – გოგონას სწავლის დამთავრება აღარ დასჭირდა, არადა, კლასში ყველაზე ცუდად სწავლობდა: ერთ-ერთი წვეულების დროს 16 წლის კამერონი ფოტოგრაფმა ჯეფ დიუნმა შეამჩნია, მან მაშინვე კარგად შეაფასა გოგონას გარეგნული მონაცემები და თავის სტუდიაში სინჯებზე დაიბარა. პირველი გადაღებიდან ერთ თვეში კამერონი ყველაზე პრესტიჟული სააგენტოს – „ელიტ მოდელსის“ ჯგუფში ჩარიცხეს. სწორედ იქ მიიღო თავისი პირველი სარეკლამო კონტრაქტი... იაპონიაში. შესანიშნავი გარეგნობა, დაუღალავი შრომა და სიყვარულისთვის გახსნილი გული კამერონს დაეხმარა, სწრაფად გაევლო გზა დამწყები მანეკენიდან – ცნობილ მოდელამდე. 18 წლის ასაკში მას უკვე ჰქონდა ნაატრი მილიონი საბანკო ანგარიშზე და საკუთარი აპარატამენტები ნიუ-იორკში, პარიზში, ლონდონსა და ტოკიოში.

კამერონს ხშირად უწევდა მუშაობა ე.წ. „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებში, სადაც მოსვენებას არ აძლევდნენ ადგილობრივი თაყვანისმცემლები. ერთხელ ის მხოლოდ შემთხვევის წყალობით გადაურჩა მაროკოს ერთ-ერთი შეიხის მონობას. ეს 1992 წლის გაზაფხულზე მოხდა. ადგილობრივმა

ფოტოგრაფმა კამერონი საჰარაში გამგზავრებაზე დაითანხმა, სადაც მათ ვითომდა კოლგოტების რეკლამა უნდა გადაეღოთ. მიმნდობმა გოგონამ მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ უცებ შეიარაღებული ბედუინების ალყაში აღმოჩნდა. ფოტოგრაფს თავისი შავბნელი საქმე შესრულებული ჰქონდა და მანქანის გასაღებთან ერთად,გაქრა კიდეც. ჯიპში მჯდომი გოგონა მარტო დარჩა. ამ კრიტიკულ მომენტში კამერონი არ დაიბნა, მავთულების გადაბმა მოახერხა, მანქანა დაქოქა და პირდაპირ ბედუინების ალყაში შევარდა. ისინი დაიბნენ და მიმოიფანტნენ, ხოლო როცა გონს მოეგნენ, ლამაზმანი უკვე შორს იყო...

როცა 1994 წლის დასაწყისში კომედია „ნიღბის“ პროდიუსერებმა ყველა სამოდელო სააგენტოში გრძელფეხება, ცისფერთვალება, ქერა გოგონას ძებნა დაიწყეს, კამერონმა გადაწყვიტა, რომ ეს მისი შანსი იყო. პირველი კინოსინჯების დროს, მან ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროდიუსერსა და რეჟისორზე, რომ მათ დაუყოვნებლივ მოაწერეს ხელი კონტრაქტს. მასში, ჩვეულებრივთან შედარებით, ერთი დამატებითი პუნქტი იყო, რომელიც ახალგამომცხვარ ვარსკვლავს კამერის წინ „უანდერბრას“ ბიუსტჰალტერით გამოჩენას აკისრებდა, რათა მის მკერდს შთამბეჭდავი ზომები მიეღო. თავისი მკერდისთვის მიყენებული ტკივილის შესამსუბუქებლად ფილმის გადაღებების დასრულებისთანავე ქალმა ფილმში გამოყენებული 25 ცალი „სასწაული ბიუსტჰალტერი“ შეაგროვა და მშობლების სახლის ბაღში დაწვა. ამის შემდეგ მან „ნიღბის“ პროდიუსერს დაურეკა და ჰკითხა – რომელ კინოთეატრში იქნებოდა ნაჩვენები ფილმი და როცა შეიტყო, რომ ფილმს ერთდროულად ქვეყნის ხუთი ათას კინოთეატრში უჩვენებდნენ, დებიუტანტი მსახიობი ძალიან გაოცდა: „ნუთუ ამ სისულელის სანახავად ამდენი იდიოტი აპირებს კინოში წასვლას?!“ სულ სამიოდე დღის შემდეგ მისი გაოცება ელდამ შეცვალა: ტელეგადაცემაში მან ხალხის ბრბო იხილა, რომელსაც კინოთეატრებთან მოეყარა თავი „ნიღბის“ სანახავად. ძალიან მოკლე დროში – ერთ კვირაში, ყველასათვის უცნობი მანეკენი ნაციონალურ ფიგურად იქცა.

მხურვალე ლამაზმანის იმიჯი დიასს უზრუნველ ცხოვრებას ჰპირდებოდა, მაგრამ ახალი ვარსკვლავი საკმაოდ უცნაურად იქცეოდა: მან ქერა კულულები შეიჭრა და მცირებიუჯეტიან ფილმებში დაიწყო მონაწილეობა, რისთვისაც გასამრჯელოდ მიზერულ ჰონორარებს იღებდა. კინოს ტრადიციული ქალღმერთებისგან ის მხოლოდ ერთი რამით არ განსხვავდებოდა – საყვარლებს უფრო ხშირად იცვლიდა, ვიდრე ხელთათმანებს. ამასთან, მეგობარი მამაკაცების შერჩევაში ყოველთვის საუცხოო გემოვნებას ავლენდა. ამის დასადასტურებლად, მათი სახელების ჩამოთვლაც იკმარებს: კიანუ რივზი, ჯორჯ კლუნი, ევან მაკგრეგორი, კრის ო'დონელი, ანტონიო ბანდერასი და კრისტიან სლეიტერი.

**კამერონ დიასის ერთ-ერთი ყოფილი საცვ... უკაცრავად, საგრეგორი ევან მაკგრეგორი**

გაქანებული სასიყვარულო ციებ-ცხელების პერიოდში კამერონმა მაინც გამონახა დრო და თავის მეორე ბლოკბასტერში – „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილში“ მიიღო მონაწილეობა. მან ფილმში თითქმის „შეუსრულებელი მისია“ შეასრულა: „თავისსავე მოედანზე“ – კომედიური მელოდრამის ჟანრში „ლამაზმან“ ჯულია რობერტსსაც კი აჯობა. ამ წარმატებამ კამერონი მაშინვე „უმაღლეს ლიგაში“ გადაიყვანა და ჰოლივუდის სუპერვარსკვლავად აქცია, რომლის საშუალო შემოსავალი თითოეულ ფილმში 10 მილიონ დოლარს აღწევს.

იმას, რომ უწინდებურად უდარდელად ვერ იცხოვრებდა, კამერონი მაშინ მიხვდა, როცა მეზობელ სუპერმარკეტში პროდუქტების საყიდლად წასულს, ფანატი თაყვანისმცემლები დაესხნენ თავს. ცხოვრების სწორედ ამ რთულ მომენტში დიასს ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი მეთ დილანი შეუყვარდა.

ისინი ერთმანეთს სასტუმრო „მაიამი რესორტის“ წრიულ კარში შეხვდნენ. კამიმ ყურადღება მაშინვე მეთის ქათქათა კბილებს მიაქცია, მეთი კი თურმე კამერონის ფეხებითა და

**კამერონის ერთ-ერთი უკანასკნელი, გაგეცინებათ და ... საგრფო – მეთ დილანი**

უკანალით მოიხიბლა. „მან ისე შემათვალიერა, რომ მივხვდი – ჩემთან დაწოლა სურდა, – იხსენებს კამერონი, – მაგრამ როგორც კი მიცნო, შეკრთა და წამიერი დაბნევის შემდეგ წარმოთქვა: „ეი, მე ხომ გიცნობთ! თქვენ სწორედ ის ლამაზმანი ხართ, „ნიღაბში“ რომ თამაშობთ. ეს ფილმი თქვენ გამო ხუთჯერ ვნახე!“ ასეთ კომპლიმენტს კამერონმა ვერ გაუძლო და დასაახლოებლად, დილანი მაშინვე რესტორანში მიიწვია. მერე კი მოვლენები უცებ განვითარდა და წყვილმა საწოლში ამოყო თავი. ყოფილი პარტნიორებისგან განსხვავებით, დილანი საწოლში კონსერვატორი იყო და გაუთავებელი სექს-ექსპერიმენტებისგან დაღლილ კამის ეს ნამდვილად მოსწონდა...

სამოქალაქო ქორწინებაში მათ თითქმის ორი წელი იცხოვრეს და ერთად ითამაშეს შესანიშნავ კომედიაში – „მერიზე ყველა ჭკუას კარგავს“, რომელიც 1998 წლის ზაფხულის ჰიტი გახდა. კრიტიკოსებისა და მაყურებლების აღტაცებული შეძახილები ჯერ არ განელებულიყო, როცა ინტერნეტის საიტებზე სენსაციური სიახლე გაჩნდა: კამერონ დიასი და მეთ დილანი დაშორდნენ! ოფიციალური ვერსიის თანახმად, განშორების მთავარი მიზეზი საბინაო საკითხი გახდა: დილანს არაფრით უნდოდა დედასთან განშორება და ნიუ-იორკიდან ლოს-ანჯელესში გადაბარგება, კამერონს კი მანჰეტენზე ცხოვრება არ მოსწონდა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიაკვლიეს ჭეშმარიტებას ტაბლოიდ „სანის“ ჟურნალისტებმა: აღმოჩნდა, რომ ამერიკის ყველაზე მომხიბვლელ ქალთან მცხოვრები მეთი სხვა არანაკლებ ცნობილი ქალებისთვისაც იცლიდა. კამერონის ყურამდე, რა თქმა უნდა, დროდადრო ჭორები მიდიოდა. როგორც ყველა შეყვარებულ ქალს, მასაც არ სჯეროდა ჭორების მანამ, სანამ თავისი საქმროს კოსტიუმის ჯიბეში მერაია ქერის მიერ მიწერილი წერილი არ აღმოაჩინა. რეაქცია ძალიან მძაფრი ჰქონდა: ქაღალდის დასაქუცმაცებელი აპარატის მეშვეობით კამიმ უწვრილეს ნაკუწებად აქცია თავისი მეგობარი მამაკაცის 54 კოსტიუმი და 200 პერანგი. ამის შემდეგ მან დილანის პენტჰაუზის კედლები უწმაწური გამოთქმებით და წყევლით შეამკო და იქაურობას გაშორდა.

ბოლომდე საქმის მისაყვანად სულ ცოტაღა რჩებოდა – კამერონს ნაძირალა მამაკაცი საბოლოოდ უნდა ამოეგდო გულიდან. რა არ გააკეთა ქალმა საამისოდ, მაგრამ ამაოდ. თუმცა, ერთხელ რესტორანში დიასი საყვარელ მამაკაცთან განშორების მიზეზს – მერაია ქერის შეხვდა, რომელიც, თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე სადილობდა თავის ახალ საყვარელთან ერთად. მოწინააღმდეგის კმაყოფილი და ბედნიერი სახის დანახვამ კამი მოთმინებიდან გამოიყვანა, მომღერალი საშინლად გალანძღა და ყინულიანი წყლით სავსე გრაფინიდან წყალი პოპ-ვარსკვლავს თავზე გადაასხა, რის შემდეგაც მრავალრიცხოვანი ფანატების აპლოდისმენტების თანხლებით დარბაზი დატოვა. ამ გამარჯვებამ კამერონს მეტი შვება მოუტანა, ვიდრე ფსიქოანალიტიკოსთან კონსულტაციების რამდენიმეთვიანმა კურსმა. გასულ ზაფხულს კი დიასს ახალი სიყვარული – ჯარედ ლეტო გაუჩნდა.

დილანთან რომანის ნაღვლიან ფინალს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ძველი კამერონისგან განსხვავებით, რომელსაც პაპარაცების კამერების ჩხაკუნის თანხლებითაც შეეძლო სექსით გართულიყო, ახლანდელი კამერონი უფრო ჩაკეტილი და ფრთხილი გახდა.

ახალ შეყვარებულთან მისი ცხოვრების ინტიმური წვრილმანების შეტყობა ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს. მათ შეკითხვებს ახალი გატაცების შესახებ კამი უცვლელად პასუხობს: „ჯარედი – ჩემი ოცნების მამაკაცია! როგორც იქნა, ვიპოვე ადამიანი, რომელიც შეძლებს, გახდეს ჩემი ქმარი და ჩემი მომავალი შვილების მამა“. სხვათა შორის, სამიოდე წლის წინ კამერონი ზუსტად ასე ლაპარაკობდა მეთ დილანის ღირსებებზე...

ბოლო დროს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ კამერონ დიასს ჯარედ ლეტომაც უღალატა. ლეტოს ახალი რჩეული სასტუმროების ქსელის იმპერიის მემკვიდრე, 19 წლის მილიონერი პერის ჰილტონია. ჯარედი და პერისი თურმე ხშირად ჩნდებიან ერთად ღამის კლუბებში და წვეულებებზე, თანაც სულაც არ ცდილობენ თავიანთი სიახლოვის დამალვას.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, კამერონმა ეს ამბავი ყველაზე ბოლოს შეიტყო – ისიც პრესის საშუალებით. ამჟამად თურმე კამერონი ნერვებს უჩივის და მის აღდგენას კლინიკაში დაწოლითა და მკურნალობით აპირებს. ■

# Mercedes SLK ახალ სტანდარტებს ამყვიდრებს

2003 წლისთვის ძვირფასი როდსტერის მყიდველის გადაბირებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში MERCEDES SLK-ს ახალი თაობა ჩაებმება. მან უფრო მეტად უნდა განამტკიცოს ამ კომპანიის პოზიციები ბაზრის დასახელებულ სეგმენტში, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არსებული SLK-ც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია თავისი კლასის ავტომობილებს შორის, თუმცა არც მისი კონკურენტები – BMW Z3 და AUDI TT ჩამორჩებიან მას დიდად – თუნდაც ფასით.

მაგრამ ფასი ამ კლასის ავტომობილებისთვის განმსაზღვრელ ფაქტორს როდი წარმოადგენს. როდსტერების მფლობელთა გამოკითხვის შედეგებით, ავტომანქანის ფასი იმ ხუთი ფაქტორის ნუსხაშიც არ შესულა, რომელიც მის ყიდვა-არყიდვაზე რაიმე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს. პირველი ადგილები ამ ფაქტორებს შორის, ავტომობილის დიზაინს, კომფორტულობას, მარკის პრესტიჟულობას, ძრავის სიმძლავრესა და სიმაღლეს უკავია.

ახალ SLK-ს „მერსედესისათვის“ ტრადიციული უკანა ამძრავი და მყარი დასაკეცი სახურავი ექნება. ახლანდელი თაობისგან განსხვავებით, რომლის სახურავი ორ ნაწილად იკეცება და საბარგულში შედის და ამით ბარგისათვის ნაკლებ ადგილს ტოვებს, ახალ მანქანაში მას მოქმედების სხვაგვარი სქემა ექნება. ახალ SLK-ში, ღილაკის დაჭერის შემდეგ, სახურავი, ელექტროამძრავების შედეგად, საბარგულში კი არა, მისი სახურავის ქვეშ ჩაცურდება და მიეკვრება. დაკეცვის პროცესი გაცილებით ნაკლებ დროს დაიკავებს და სივრცეც საბარგულში მეტი რჩება.

გარეგნული იერით ავტომობილი SLK-ს კლასიკურ პროპორციებს შეინარჩუნებს, თუმცა წინა ნაწილის დიზაინი საკმაოდ რევოლუციური იქნება. მისი ცხვირი „ფორმულა-1“-ის – Mclaren-Mercedes-ის ბოლიდების სტილშია შესრულებული. რაც შეეხება საკიდარს, ის, რასაკვირველია, ამ ბოლიდებს არ დაესესხება. როგორც ვარაუდობენ, ახალი მანქანის საფუძველს თანამედროვე C კლასის „მერსედესის“ პლატფორმა ექნება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შიდა სივრცის თვალსაზრისით, ახალი მოდელი ახლანდელ ავტომობილზე უფრო დიდი იქნება. მას ელექტროჰიდრავლიკურ მუხრუჭებს დაუყენებენ, რომელიც უფრო სწრაფ გაჩერებას უზრუნველყოფს – განსაკუთრებით, ექსტრემალურ სიტუაციებში. ასეთი სისტემით ჯერჯერობით CL და S კლასის ე.წ. „დიდი“ ავტომობილებია აღჭურვილი. SLK-ს „შიგნეულობაში“, იმავე S კლასის ახალი, ე.წ. აქტიური საკიდარიც შედის. ამ კლასის ავტომობილზე ორ დასახელებულ სისტემას პირველად გამოიყენებენ. ამის გარდა, ახალი მოდელი ხმით მართვის შესაძლებლობის მქონე ნავიგაციური სისტემითაც აღიჭურვება.

ძრავა ნებისმიერი ავტომობილის, მით უმეტეს, სპორტულობის პრეტენზიის მქონე როდსტერის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ზუსტი ინფორმაცია ამ მანქანის მომავალი აგრეგატის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა, ზოგიერთი მონაცემის თანახმად, საბაზო, 2,0 ლიტრიანი ძრავა ექნება. ასევე სავარაუდოდ, მისი სიმძლავრე 150 ცხ. ძ. იქნება. ძრავების სპექტრში, რომელიც სპეციალისტთა ვარაუდით, ახალი SLK-თვის მზადდება, ყველაზე მძლავრი, V6 ტიპის 3,2 ლიტრიანი იქნება, რომელიც, სატიუნინგო ფირმა AMG ინჟინერთა ხელიდან გამოსვლის შემდეგ, 354 ცხ. ძალას (!) მიაღწევს და ყოველგვარი პრობლემის გარეშე 250 კმ/სთ სიჩქარეს განავითარებს.

მოულოდნელი იყო ცნობა დიზელის ძრავის შესახებ, რომელსაც ინჟინრები მეტისმეტად ხმაურიან და „ჭუჭყიან“ აგრეგატებად თვლიდნენ, მაგრამ ბოლო წლებში ამ ძრავების წარმოების ტექნოლოგიამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ ახლა „დიზელებს“ უკვე სპორტულ კუპეებსა და როდსტერებზეც აყენებენ.

■

# S ჯერსი და S 80 დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან

რა არის საერთო S კლასის „მერსედესსა“ და S 80 „ვოლვოს“ შორის? S-ის გარდა, არაფერი. მაგრამ „მერსედესის“ ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ S-ი გერმანული კომპანიის საფირმო ნიშანია და S 80-ის სახელწოდებით ავტომობილის ბაზარზე გამოშვებით „ვოლვომ“ „მერსედესის“ სავაჭრო ნიშანი ხელყო. ასეა თუ არა – ამას სასამართლო გაარკვევს, რადგან „მერსედესის“ ადვოკატებმა „ვოლვოზე“ საჩივარი შეიტანეს. საინტერესოა, რომ გერმანული კომპანიის მესვეურები შვედ ავტომწარმოებლებს არა მარტო S-სს ედავებიან, არამედ C-საც (C კლასის „მერსედესს“ „ვოლვო“ C 70 ხელყოფს) და V-საც (V კლასის „მერსედესს“ კი – „ვოლვო“ V 70).

რით დასრულდება ეს დავა, დრო გვიჩვენებს. თუმცა, ის უკვე კარგა ხანია დაიწყო. ჯერ კიდევ 1997 წელს პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „ვოლვოს“ ავტომობილებში S, C და V ნიშნების გამოყენება დაუშვებელია, რადგან მყიდველებს ეს მანქანები „მერსედესის“ მოდელებში შეიძლება აერიოთ, მან კი ამგვარი კლასიფიკაცია ჯერ კიდევ 1993 წელს შემოიღო. მაგრამ მეორე ინსტანციის სასამართლომ პირველის გადაწყვეტილების ამოქმედება შეაჩერა. უახლოეს მომავალში ამ პროცესის ახალი ეტაპი დაიწყება, რომელმაც საბოლოოდ უნდა დაუსვას წერტილი აღნიშნულ დავას.

■

# როგორ ვიმოძრაოთ წყალში?

ზაფხულობით ჩვენშიც კოკისპირული წვიმები იცის, ამიტომ სასურველია, ყველა ავტომოყვარული ე.წ. აკვაცურვის წესებში იყოს გათვითცნობიერებული. როგორც სპეციალისტები გვაფრთხილებენ, ეს მოვლენა გზის საფრის 5-8 მმ შრის დაფარვის შემთხვევაში აღინიშნება. აკვაცურვის არსი ბორბლებსა და გზის საფარს შორის წარმოქმნილ „სოლში" მდგომარეობს: ამ დროს პროტექტორების ქვემოდან წყლის გამოსვლა ფერხდება და იქმნება აპკი, რომლის გამოც მანქანა ცურვას იწყებს – ისე, როგორც ყინულზე.

თავის დროზე PORSCHE-ს ინჟინრებმა შეიმუშავეს ელექტრონული სისტემა, რომელიც ადგენდა წყლის საფრის სიმაღლეს და ცურვის საშიშროების თაობაზე ხმოვან სიგნალს აძლევდა მძღოლს, მაგრამ მის მასობრივ დანერგვამდე საქმე არ მისულა.

ცხადია, აკვაცურვის შედეგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, უპირველესად – მოძრაობის სისწრაფეზე: რაც უფრო დიდი სიჩქარით მოძრაობთ, მით უფრო მეტი ხიფათი გელით. ცხადია, უსაფრთხოებაზე მოქმედებს ამორტიზატორების მდგომარეობა, გზის საფრის ხარისხი, საბურავების სახეობა თუ ცვეთის დონე...

წყლის საფრის მშვიდობიანად გადასალახავად, სპეციალისტები უპირველესად, სიჩქარის რეჟიმის დაცვას გვირჩევენ. აუცილებელია, ამ დროს აქსელერატორის პედალს აუშვათ ფეხი და მაქსიმალურად გააწონასწოროთ ავტომობილის მდგომარეობა, რაც ბორბლების გასწორებასა და მანევრირების მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს. აკვაცურვის საშიშროება ისაა, რომ როცა მანქანა კუდს მოიქნევს, ჩვეულებრივ, მძღოლი ამავე მიმართულებით საჭის მობრუნებით ცდილობს მის გასწორებას, რაც სრული უაზრობაა: პროფესიონალები ირწმუნებიან, რომ ვიდრე ავტომობილი წყალში რჩება, ყველა ამგვარი ქმედება ამაოა, მაგრამ გრუნტზე წინა ბორბლების დაბრუნებისთანავე კი, მანქანა საწინააღმდეგო მიმართულებით მოიქნევს კუდს და თუ მძღოლი სწორ რეაგირებას არ მოახდენს მეორე მოქნევაზე, მანქანა შეიძლება ამოტრიალდეს კიდეც.

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ დიდი გუბეების გავლისას, ხელები საჭის ზედა სექტორზე გვქონდეს. გაითვალისწინეთ აგრეთვე, რომ საჭის მოულოდნელ მოძრაობებს მხოლოდ იმპულსური და, რაც მთავარია, „ძუნწი" მოქმედებით უპასუხოთ. წყლიდან გამოსვლის შემდეგ კი, აუცილებელია პედალზე რამდენჯერმე დაჭერით მუხრუჭები გაამშრალოთ. ■

# PSA და FIAT-ი ახალ მინი-ვენს ამზადებენ

FIAT-ი და PEUGEOT (CITROEN-ი ერთობლივ პროექტზე – ახალ მინი-ვენზე ამთავრებენ მუშაობას. ეს ავტომობილი ერთდროულად სამ მოდელს – PEUGEOT 806-ს, CITROEN EVASION-სა და FIAT ULYSSE-ს შეცვლის (სხვათა შორის, ამ მანქანებზეც ერთობლივად მუშაობდნენ FIAT-ი და PSA).

ჯერ ზუსტად ცნობილი არ არის, რას დაარქმევენ ახალ ავტომობილებს, მაგრამ ალბათ PEUGEOT-ის მინი-ვენს 807-ე ინდექსს მიანიჭებენ, CITROEN-ს კი – C 7-ს. რაც შეეხება FIAT-ს, სახელი ULYSSE-ი წარსულს ჩაბარდება, ახალი კი, ჯერ არ გამოუცხადებიათ.

სხვადასხვა დასახელების გარდა, ავტომობილებს განსხვავებული გარეგნობა, უფრო კი – წინა მხარის იერი ექნება. უკანა ნაწილებს კი, მხოლოდ წვრილმანები განასხვავებს. თითოეულ მინი-ვენს თავისი საკუთარი საფირმო სტილი ექნება, თუმცა დაკვირვებული თვალი უმალ მიხვდება, რომ არსებითად ერთსა და იმავე ავტომობილთან ექნება საქმე. მანქანები მეტი სიხალვათით გამოირჩევა, ვიდრე მათი წინამორბედები. სტანდარტულ კომპლექტაციაში მათ, უწინდებურად, 6, 7 და 8 ადგილი ექნება, ამასთან, მგზავრებს საშუალება მიეცემათ, თავისუფლად იმოძრაონ სალონის წინა და უკანა ნაწილს შორის. ამას გარდა, კონცერნ PSA-ს წარმომადგენელთა თქმით, მანქანები გაცილებით გაუმჯობესებული კონდიცირების სისტემით აღიჭურვება.

ძრავების შესახებ განსაკუთრებულს არაფერს ამბობენ, გარდა იმისა, რომ მინი-ვენები V6 3,0 ლიტრიანი (ბენზინის) და V6 2,7 ლიტრიანი (დიზელის) აგრეგატებით აღიჭურვება.

ახალი მინი-ვენების ტრიოს გაყიდვა მომავალი წლის გაზაფხულზეა ნავარაუდევი. ■

# სორბონაში ნასწავლი ქართველი

ლელა ჯიყამვილი

## გადასახლებიდან „ციმბირელი პაპის“ მიერ გამოპარებული

ერთხელ ბელგიიდან გამოგზავნეს წერილი, რომელსაც მისამართი მარტივად ჰქონდა მითითებული: Sakhokia. Kaukaz. საოცარი ის იყო, რომ წერილი არ დაკარგულა და დაუბრკოლებლად მივიდა ადრესატამდე – თედო სახოკიამდე. შეიძლება, ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ის რუსულენოვან გაზეთ „კავკაზ“-თან თანამშრომლობდა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ თედო სახოკიას კარგად იცნობდნენ არა მარტო საქართველოში. ეს დაუღალავი მოღვაწე, რომლის გონება და კალამი დიდხანს იყო ერის სამსახურში (მან თითქმის 88 წელი იცოცხლა) ავტორია 350-მდე ორიგინალური ნაშრომისა და რუსული, ფრანგული, ინგლისური და იტალიური ენებიდან ნათარგმნი 100-მდე ნაწარმოებისა. ის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, როცა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო.

უამრავ საინტერესო ფაქტთან, ადამიანთან დააკავშირა ცხოვრებამ... სასულიერო სემინარიაში სწავლობდა სწორედ მაშინ, როცა მისი რექტორი ავადსახსენებელი ჩუდეცკი იყო – პიროვნება, რომლის სასტიკმა რეჟიმმა წონასწორობა დააკარგვინა და ხელში იარაღი ააღებინა იოსებ ლაღიაშვილს. ამ სემინარიელის სახელი დღეს ყველამ იცის საქართველოში. ბატონი თედო იხსენებდა: „ტფილისში ქუთაისის გუბერნიიდან, იმერეთის, გურიის და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლებიდან ჩამოსულ მოწაფეებთან შედარებით, ქართლ-კახეთის სასწავლებლებიდან ჩამოსულები შავგვრემანები იყვნენ და საშინლებად გვეჩვენებოდნენ და კარგა ხანმა განვლო, სანამ ამხანაგებს ასე თუ ისე თვალს შევაჩვევდით. განსაკუთრებით ირჩეოდა თავისი სიშავით შიო დედაბრიშვილი, ანუ დედაბეროვი... ძალზე შავი, ლოყებ აკვერილი, ჩემზე, მაგალითად საფთხურის შთაბეჭდილებასა სტოვებდა. პირველში გავურბოდი კიდეცა. წარმოვიდგენდი კი, რომ ეს ადამიანი – ჩუმი, გულჩათხრობილი, ერთთავად განმარტოებული, სულ მოკლე ხანში ჩემ მეგობრად – და მერე როგორ მეგობრად – გახდებოდა?!. შიოს საშუალებით გავიცან და დავუახლოვდი სოსოსაც (იოსებ ლაღიაშვილს)“.

დედაბრიშვილი და ლაღიაშვილი ერთი წლით ადრე შესულან სემინარიაში, ვიდრე თედო სახოკია. ამიტომ მათ თავიანთ მოვალეობად ჩაუთვლიათ უმცროსი მეგობრის ცხოვრებაში გათვითცნობიერება. ისინი აძლევდნენ თედო სახოკიას აკრძალულ წიგნებს: „სოვრემენნიკ“-ს და „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“-ს, ქართულ კრებულ „იმედს“.

იმ პერიოდში, სემინარიაში ერთი ფოტოგრაფი დადიოდა, სემინარიელებისათვის აკრძალული მწერლების სურათები მოჰქონდა და ჩუმად ყიდდა. თედო სახოკიას შეუძენია დარვინის, ბოკლის, პრუდონის, დობროლიუბოვის სურათები და შინ წაუღია. მამამისი მღვდელი იყო და ოჯახში ხატებისთვის განკუთვნილი კუთხე ჰქონდა მოწყობილი, სადაც ღვთისმშობლის გვერდით სხვადასხვა წმინდანის სურათები ჩარჩოებში ჩასმული დაესვენებინა. ახალგაზრდა სემინარიელმა ზუსტად ამ ჩარჩოებს დაადგა თვალი... და როცა მამამისი ოთახში შევიდა, დაინახა – ღვთისმშობლის გვერდით, ჩარჩოებში გამოჭიმული ვიღაც „სოციალისტები“... ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სემინარიელს წმინდანების სურათების თავიანთ ადგილზე დაბრუნება ურჩიეს...

თედო სახოკია სამშობლოს სიყვარულმა არჩილ ჯორჯაძის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მიიყვანა, რომელიც შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე „სუფთა“ სახელის პარტიად დარჩა ისტორიაში. სოციალისტ-ფედერალისტებმა: გიორგი დეკანოზიშვილმა და არჩილ ჯორჯაძემ შეაგროვეს ფული და საზღვარგარეთ იყიდეს იარაღი, რომელიც უხარისხო აღმოჩნდა... ეს იყო პირველი ცდა საქართველოში იარაღის შემოტანისა: მათ დაიქირავეს გემი „სირიუსი“, რომელსაც ფოთში თედო სახოკია დახვდა... სამწუხაროდ, იარაღის შემოსვლის ფაქტი ჟანდარმერიამ შეიტყო და იარაღი დაიფანტა: ნაწილი ხალხს დაურიგდა, ნაწილი ჟანდარმებმა იგდეს ხელთ, ნაწილი კი შეშინებულმა გემის კაპიტანმა ზღვაში ჩაყარა... ამ „დანაშაულის“ გამო თედო სახოკიას ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს... ქალბატონი შუქია აფრიდონიძის ნაამბობით შევიტყვეთ, რომ შემდგომ, „ცეკას“ პირველ მდივანს – ვასილ მჟავანაძეს დაუბარებია ბატონი თედო და უთხოვია: თქვენს მოგონებას დავბეჭდავთ იარაღის შემოტანის შესახებ, ოღონდ უნდა თქვათ, რომ მთავარი ამ საქმეში სერგო ორჯონიკიძე იყოო... გაჰკვირვებია ბატონ თედოს: ტყუილი როგორ ვთქვაო?! ამგვარად, ეს მოგონება დღემდე, დაუბეჭდავი დარჩა.

ახლა – ციმბირის ამბები... პოლიტპატიმრებს ძალიან უჭირდათ სხვადასხვა ჯურის ავაზაკებისაგან თავის დაცვა. თურმე მორიგეობითაც კი იძინებდნენ ხოლმე, რომელიმე ნაყაჩაღარს მათთვის ფული რომ არ მოეპარა. ქართველმა პოლიტპატიმრებმა (ბატონ თედოსთან ერთად კიდევ 2 ქართველი იყო) გაქცევა გადაწყვიტეს. ამ მიზნით, მამასახლისს სთხოვეს, 2-3 დღით 20 კმ-ით დაშორებულ სოფელში მცხოვრებ თანამემამულესთან გაეშვა სანახავად. ასე იოლად მიიღეს გადასახლების ადგილიდან გასვლის უფლება და გაქცევის გეგმის განხორციელება დაიწყეს.

ნესტორ კალანდარიშვილმა – „ციმბირელმა პაპამ“ ახალი პასპორტი გაუკეთა და მატარებლით გაამგზავრა. საქმე ის იყო, რომ III კლასის ვაგონებს ჟანდარმები ზედმიწევნით აკონტროლებდნენ, რომ გაქცეული პატიმრები ეპოვათ. I კლასის ვაგონით მგზავრობისთვის ფული არ ეყოფოდათ. თედო სახოკიამ II კლასის ვაგონით იმგზავრა. გზად გენერალი და მისი მეუღლე დაემგზავრნენ. სორბონის უნივერსიტეტდამთავრებული თედო სახოკია ფრანგულად ესაუბრებოდა ქალბატონს, რომელსაც ძალიან სიამოვნებდა განათლებულ ადამიანთან ერთად მგზავრობა. როცა მათ კუპეში ჟანდარმმა

**შვილიშვილთან – შუქია აფრიდონიძესთან ერთად**

შეიხედა, ბოდიშის მოხდით გაბრუნდა: რა პატიმარი, რის პატიმარიო?!.. ისეთი „სვეტსკი“, ფრანგულად მეტყველი საზოგადოება წარდგა მის წინაშე.

თედო სახოკია მშვიდობით ჩავიდა ბათუმამდე, სადაც სოხუმიდან დიდი ხნის უნახავი ცოლ-შვილი გამოიძახა. მეუღლე – ნადე კეკელია ბატონ თედოს თავდავიწყებით უყვარდა და, მიუხედავად ნაადრევი დაქვრივებისა, მისი ერთგული სიკვდილამდე დარჩა.

ნადეს მამა – ანტონ კეკელია დეკანოზი იყო და სოფელ ბანძაში ცხოვრობდა. იქ მას გახსნილი ჰქონდა სკოლა, ბანკი, სასამართლო, ფოსტა და საავადმყოფო, ასევე ორწლიანი სკოლა ქალებისათვის. ანტონ კეკელიას დიდი ღვაწლი მიუძღოდა მშობლიური კუთხის ცხოვრებაში, მან ხომ 15-მდე სკოლა გახსნა სამეგრელოში. 8 შვილი ჰყავდა. მისმა ხუთივე ვაჟმა განათლება რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტსა და თბილისის უნივერსიტეტში მიიღო. სამივე ქალიშვილმა ეპარქიული სასწავლებელი დაამთავრა. ისიც უდავოდ საინტერესოა, რომ ნადე კეკელია რუსულში ამეცადინებდა მომავალ სახელგანთქმულ მეცნიერს – სერგი დანელიას. მისი ძმა, რომელიც პროფესიით მათემატიკოსი იყო და მოყვარულებს სიმღერას ასწავლიდა, ბათუ კრავეიშვილს ამეცადინებდა სიმღერაში, მეორე ძმა კი – ჯერ სრულიად ახალგაზრდა აკაკი ხორავას ასწავლიდა სამსახიობო ანბანს.

ლამაზი და ტრაგიკული სიყვარული ჰქონდათ ბატონ თედოსა და ქალბატონ ნადეს. თედო სახოკია მეგობრობდა ანტონ კეკელიასთან, რომელმაც ერთხელ თავის მოწაფე ქალიშვილს წიგნი გაუგზავნა თედოს ხელით. წიგნების კითხვით უაღრესად დაინტერესებულ გოგონას მაშინვე დაუწყია კითხვა. თუკი ასე გაინტერესებთ, კიდევ მოგართმევთ წიგნებსო – უთქვამს ბატონ თედოს... ასე გაიცნეს ერთმანეთი.

ისინი საკმაოდ გვიან, 1906 წელს შეუღლდნენ. მაშინ ნადე 28 წლისა იყო, მისი მომავალი მეუღლე კი – 38-ისა. სოხუმში მამისეულ სახლში წაიყვანა. თედო სახოკიამ იცოდა, როგორ უყვარდა იები მის მეუღლეს. და აი, სოხუმში ერთი ოთახი იისფრად გაწყობილი დაახვედრა მეუღლეს.

სამწუხარო ის იყო, რომ სულ 2 წელი თუ გამოუვიდათ ერთად ცხოვრება. პატიმრობამ, გადასახლებამ მათი გულები ერთმანეთს მხოლოდ წერილებითღა დააკავშირა. ნადე ჭლექით იყო დაავადებული. თედო საზღვარგარეთიდან სწერდა მკურნალობის საშუალებების შესახებ. უამრავი წერილი მოდიოდა. ზოგიერთი მხოლოდ ერთი დღის შუალედით იყო დაშორებული წინა წერილისგან. 1916 წელს იმპერატორისგან ბოლოს და ბოლოს შეწყალებული თედო სახოკია საქართველოში ჩამოვიდა. 1918 წელს მეუღლე გარდაეცვალა. ნაადრევად დაობლებული შვილები თინა და ვახტანგი მამამ მარტომ აღზარდა.

ბატონი თედოს აღზრდილია მისი პირველი შვილიშვილიც – ქალბატონი შუქია აფრიდონიძე. მისი მოგონებით – „პაპას ხეებიდან ყველაზე მეტად ძელქვა უყვარდა. და სწორედ მისგან გამოათლევინა ჯოხი, ზედაც ლათინურად ამოატვიფრინა სიტყვები: Dictum-Factum. თუ ვინმე ცნობისმოყვარე შეეკითხებოდა – რას ნიშნავსო, განუმარტავდა: „რასაც ვიტყვი, ავასრულებ კიდეცო“.

ქართული ენის სიწმინდის დამცველს, ხშირად უხდებოდა ქუჩაში, მაღაზიაში ჭეშმარიტების ხანგრძლივი მტკიცება, რომ „პესოკი“ კი არა – „შაქრის ფხვნილი“ ეთქვათ, რომ „რუბლ დვაცატ“ კი არა – „ექვსი აბაზი“ უნდა მოვითხოვოთო...

და მაინც, ყველაზე საინტერესო იყო საოჯახო საღამოები. კვირის ყოველ დღეს, რომელიმე მეგობართან მიდიოდა სტუმრად: ორშაბათობით – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან – კალისტრატე ცინცაძესთან, სამშაბათს – ალექსანდრე მიქაბერიძის (ეს იყო ელინური მითებისა და „ილიადის“ ქართულად მთარგმნელი) ოჯახში, ოთხშაბათს – ექიმთან, პროფესორ ევგენი შალამბერიძესთან, ხუთშაბათს – შიო არაგვისპირელის ოჯახში, პარასკევს – სოლომონ ცაიშვილთან, შაბათს – აგრონომ კოლა ყავრიშვილის, ხოლო კვირას – ვასილ ბარნოვის ოჯახის სტუმარი იყო. თან პატარა შვილიშვილიც დაჰყავდა და ყველგან, როგორც წესი, ცოტაოდენი შაქარი და თითო ბოთლი „მუკუზანი“ დაჰქონდა: მაშინ შაქარი ჭირდა, თედო სახოკიას კი ტკბილი ჩაის სმა უყვარდა.

ალექსანდრე მიქაბერიძის ნათესავის, ნინო ნადირაძის მოგონებიდან: 1947 წლის 29 თუ 30 დეკემბერი იყო. საღამოს 5 საათი იქნებოდა. ბატონი თედო სამსახურში მივიდა ქალბატონ ნინოსთან და უთხრა: გამომცემლობიდან მოვდივარ, ეს წუთია, ჰონორარი მივიღე – ჩემი ნათარგმნი მოპასანის მოთხრობებისა, დღესვე უნდა ჩამოვუარო ყველას და ვისაც სჭირდება, საახალწლოდ 200 მანეთი ვასესხოო... „მაშინ ფული მაინცდამაინც არ მჭირდებოდა, მაგრამ დიდი აღფრთოვანებით მივიღე ეს წინადადება. ვერ გავუნელებდი მოხუცს იმ დიდ სიხარულს, რომელსაც ეს დიდბუნებოვანი ადამიანი ამაში ხედავდა“.

ვისაც უნახავს, როგორ იწყებოდა ბატონი თედოს დილა, მიხვდება მისი ადამიანური ბუნებისა და სიკეთის შესახებ. ყოველ დილით აივანზე გამოდიოდა, სადაც ქოთნებში იაჟუჟუნა და ოლეანდრე ყვაოდა, კასრში ლიმონი იყო ჩარგული. ჯერ ჩიტებს დააპურებდა, მერე მცენარეებს მორწყავდა...

ეს არის ძალიან მცირედი იქიდან, რისი გადმოცემაც შეიძლება თედო სახოკიას შესახებ. 1956 წელს გარდაიცვალა ფილტვების ანთებით. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში თავისი განუყრელი მეგობრის – შიო არაგვისპირელის გვერდით. ■

**ცოლის ძმასთან – ამირან კეკელიასთან (მარცხნივ) ერთად**

# ავცრათ თუ არა ბავშვი?

**პირველი აცრა ტუბერკულოზის წინააღმდეგ თქვენს პატარას ჯერ კიდევ სამშობიარო სახლში გაუკეთდა. მას არც თქვენ და არც ბავშვი არაფრით შეუწუხებიხართ. დიფტერია-ყივანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრის მიმართ კი ბევრ დედას აქვს შიში, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ, უფრო სრული ინფორმაცია მოგაწოდოთ აცრების შესახებ.**

თამარ მამაცაშვილი

არცთუ ისე შორეულ წარსულში, როცა დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერ კიდევ არ არსებობდა, ყველგან მძვინვარებდა დიფტერიის ეპიდემია, რომლის მსხვერპლნი ხდებოდნენ ბავშვებიც და მოზრდილებიც. დიფტერიის შიში ძრწოლას ჰგვრიდა ყველა დედას. და აი, უეცრად გეუბნებიან: თქვენი შვილი დაცული იქნება ამ სენისაგან მხოლოდ და მხოლოდ სამი ნემსის გაკეთების შემდეგ.

მაგრამ დიფტერია დღესაც არ არის საბოლოოდ დამარცხებული. იგი მხოლოდ პროფილაქტიკური აცრების წყალობითაა „მიჩუმებული". საკმარისია ყურადღების მოდუნება, რომ ინფექცია ისევ იფეთქებს. ასე მოხდა 90-იან წლებში, როცა ბევრმა დედამ ჩათვალა, რომ ეს დაავადება შორეული და არარეალური იყო და უარი თქვა ბავშვების ვაქცინაციაზე. სულ ცოტა ხანში დაავადების შემთხვევები გახშირდა, დასნებოვნდა არაერთი ბავშვი და მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულ იქნა მკურნალობის თანამედროვე ეფექტური მეთოდები, ზოგიერთი მათგანი ვერ გადაარჩინეს.

ტეტანუსისგან ბავშვის დაზღვევა ცოტას როდი ნიშნავს. მოხედვასაც ვერ მოასწრებთ, რომ თქვენი პატარა სიარულსა და სირბილს დაიწყებს, ხან წაიქცევა, ხან მუხლს იტკენს. თუ აცრილი არ გეყოლებათ, ყოველი დაბინძურებული ჭრილობა მისთვის ტეტანუსის რისკს შეიცავს.

ყველა მშობელს შესტკივა გული თავის შვილზე, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რისი გვეშინოდეს და რისი – არა. დაავადებები, რომელთა საწინააღმდეგოდაც კეთდება დიფტერია-ყივანახველა-ტეტუნასის ვაქცინა, ძალიან საშიშია, ხოლო აცრები პრაქტიკულად უსაფრთხოა. ზოგი სპეციალისტის აზრით, აცრები ხშირად იწვევს გართულებებს და არ შეიძლება მისი გაკეთება დასუსტებული ბავშვებისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გართულებები გვხვდება ძალიან იშვიათად და უმეტესად მაშინ, როცა არ არის გათვალისწინებული აცრის წინააღმდეგჩვენება და არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები.

აცრის გაკეთება არ შეიძლება მწვავე (რესპირატორული, ნაწლავური) დაავადებების დროს, აგრეთვე სერიოზული, პროგრესირებადი ნევროლოგიური დაავადებების, იმუნოდეფიციტის დროს.

აცრა წინააღმდეგნაჩვენებია მძიმე ალერგიული დაავადებების გამწვავების პერიოდში, მაგრამ ალერგიის ზოგიერთი გამოვლინება დღეს ბევრ ბავშვს აქვს. ასეთ დროს ექიმები მაინც გვირჩევენ აცრის გაკეთებას, რადგან თუ ალერგიული ბავშვი დაავადდა, იგი გაცილებით მძიმედ გადაიტანს ინფექციას და, ამასთან, მისთვის არ შეიძლება ყველა წამლის სამკურნალოდ გამოყენება.

## სამთვიანი პროგრამა

დიფტერია-ყივანახველა-ტეტანუსის აცრები კეთდება 30-45 დღიანი შუალედით. პირველი აცრა იწვევს დამცველი ანტისხეულების გამომუშავების სუსტ რეაქციას; მეორე აცრას ბავშვის იმუნური სისტემა უფრო აქტიურად ეხმაურება, ხოლო მესამე აცრის შემდეგ ფორმირდება საკმაოდ მყარი იმუნიტეტი.

აცრის მომენტში ბავშვი უნდა იყოს აბსოლუტურად ჯანმრთელი. დედა მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ აცრის შემდეგ ბავშვი ერთი-ორი დღის მანილზე იჭირვეულებს, შესაძლოა, ტემპერატურამაც აუწიოს – ასეთ დროს აძლევენ პარაცეტამოლს. ვაქცინის შეყვანის ადგილი ზოგჯერ წითლდება და მკვრივდება. ეს ყველაფერი თავისით გაივლის.

ალერგიულ რეაქციას იწვევს არა მთლიანი ვაქცინა, არამედ მისი „ყივანახველის" კომპონენტი. ამიტომ იმ ბავშვებს, რომლებსაც ეს რეაქცია პირველი აცრის შემდეგ ძლიერად ჰქონდათ გამოხატული, აგრეთვე მათ, ვისაც მაღალი სიცხის დროს ოდესმე ჰქონიათ კრუნჩხვა, მეორე ვაქცინაციის დროს შეუყვანენ მხოლოდ დიფტერია-ტეტანუსის ვაქცინას. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ ბავშვი დაუცველი რჩება ყივანახველისაგან, მაგრამ ეს არ არის ძალიან მძიმე დაავადება. იგი საშიშია ძირითადად ჩვილი ბავშვებისათვის, ამიტომ, რა თქმა უნდა, უმჯობესია, გაკეთდეს აცრა შემსუბუქებული ვაქცინით, ვიდრე იგი საერთოდ არ გაკეთდეს.

არავითარ რეაქციას არ იწვევს პოლიომიელიტის საწინააღმდეგო აცრა და მისი შეყვანის გზაც – პიპეტით პირში ჩაწვეთება საკმაოდ მოსახერხებელია.

### გთავაზობთ ბავშვის აცრების კალენდარს

| აცრების კალენდარი | ბავშვის ასაკი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაქცინა | 5 დღე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 12 თვე | 18 თვე | 5 წელი | 14 წელი |
| ბცჟ (ტუბერკულოზი) | I | | | | | | II | |
| პოლიომიელიტი | | I | II | III | | IV | V | |
| ყივანახველა დიფტერია ტეტანუსი | | I | II | III | | IV | | |
| წითელა | | | | | I | | II | |
| პაროტიტი (ყბა-ყურა) | | | | | I | | | |
| დიფტერია ტეტანუსი | | | | | | | I | II |

# სამკურნალო მცენარეები

## ვირისტერფა

ვირისტერფა მრავალწლიანი, მომცრო სარეველა ბალახია, რომელსაც აქვს ზევიდან შიშველი, ქვევიდან კი ბუსუსიანი და რბილი ფოთლები, იკეთებს ოქროსფერ-ყვითელ ყვავილებს. ფოთლები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც მცენარე დაყვავილებას იწყებს. სწორედ ეს ფოთოლი უნდა დაიკრიფოს, როგორც სამკურნალო ნედლეული ზაფხულის პირველ ნახევარში ისე, რომ არ შეჰყვეს ძალიან ნორჩი ან ლაქიანი ფოთლები. ნედლეული უნდა გააშროთ ჩრდილში. საქართველოში ამ მცენარეს ძებნა არ უნდა, მის ნაზარდებს ყველგან შეხვდებით: გზისპირზე, ხევებში, ფერდობებზე.

ვირისტერფას ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოს, რომელსაც აქვს ლორწოვანი გარსის შემმუსვრელი მოქმედება პირის ღრუს, ყელის, ხახის ანთების დროს. გარდა ამისა, მცენარე შეიცავს საპონინებს და ორგანულ მჟავებს, რომლებიც ახდენს გამოყოფილი სეკრეტის დარბილებას და აადვილებს ამოხველებას.

ვირისტერფას პრეპარატებს აგრეთვე აქვს ანტიანთებითი, მადეზინფიცირებელი და

სუსტი სპაზმოლიზური (სპაზმების მომხსნელი) მოქმედება. ეს პრეპარატები ყველაზე მეტად შედეგიანია ლარინგიტის (ხახის ანთება), ტრაქეის ანთების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქოპნევმონიის, ბრონქული ასთმის, ბრონქოექტაზიური დაავადების დროს. ჩვეულებრივ, ვირისტერფას ნიშნავენ ხოლმე სხვა ანტიანთებითი და ამოსახველებელი მოქმედების მქონე მცენარეულ პრეპარატთან ერთად, თუმცა მისი ცალკე დანიშვნის შემთხვევაშიც აღინიშნება დადებითი დინამიკა.

ვირისტერფას ფოთლების ნახარშსა და ნაყენს იყენებენ აგრეთვე კომპრესის, სველი ნახვევის ან აბაზანის სახით, ფურუნკულოზის, წვრილი წყლულოვანი დაზიანების, ინფიცირებული ჭრილობის და კანის სხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს.

ნაყენის დამზადების წესი:

1 სუფრის კოვზი ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ სახურავი და დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე. 15 წთ-ის შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ, გადაწურეთ და მიღეთ თბილ-თბილი, 1/2-1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 1 სთ-ით ადრე.

# რევმატიზმი

რევმატიზმი ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ინფექციასთან დაკავშირებით იწყება, შემდეგ კი დაავადება გრძელდება ორგანიზმის დასუსტების გამო.

რევმატიზმის დასაწყისი დაკავშირებულია ორგანიზმში სტრეპტოკოკული ანთებითი კერის არსებობასთან. ჩვეულებრივ, ეს არის ხახის ნუშისებრი ჯირკვლების ანთება — ქრონიკული ტონზილიტი, რომელიც დროდადრო მწვავდება. ორგანიზმი გამოიმუშავებს სტრეპტოკოკების საწინააღმდეგო იმუნურ რეაქციას და ქმნის შესაფერის ანტისხეულებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ანტისხეულები მოქმედებს არა მარტო ბაქტერია — სტრეპტოკოკზე, არამედ ადამიანის საკუთარი ორგანიზმის ქსოვილებზეც, მის დაზიანებას და ანთებას იწვევს. თუ ეს მოხდა, ვითარდება რევმატიზმი, რომელსაც ახასიათებს გაჭიანურებული მიმდინარეობა, პერიოდული გამწვავებით. რევმატიზმის დროს ორგანიზმში ზიანდება უმთავრესად შემაერთებელი ქსოვილისაგან აგებული ორგანოები: გულის სარქვლები, სახსრები და სხვა. ზიანდება აგრეთვე გულის კუნთი. ამგვარად, გული ის ორგანოა, რომელიც ყველაზე მეტად ავადდება რევმატიზმის დროს.

რევმატიზმის პირველი შეტევა, შემდგომში კი მისი გამწვავებები, დაკავშირებულია ტონზილიტთან — ხახის ნუშურა ჯირკვლების ანთებასთან. რევმატიზმის პირველი შეტევა აღმოცენდება ტონზილიტის ერთ-ერთი გამწვავების 1-2-3 კვირის შემდეგ. შეიძლება იგი გამოიხატოს სახსრების ანთებით — პოლიართრიტით. იწყება ტკივილები სახსრებში, მათი შესივება და შეწითლება ხდება, მოძრაობაც იზღუდება. რევმატიზმისგან გულის დაზიანება სახსრების ანთების გარეშეც შეიძლება მოხდეს. გულში ვითარდება რევმატული ანთება, რაც „რევმატული კარდიტის“ სახელით არის ცნობილი. ანთებაში ჩართულია შიგნითა გარსი და სარქვლები (ენდოკარდიტი), გულის კუნთი (მიოკარდიტი) და გულის გარეთა გარსი (პერიკარდიტი).

გულის შიგა გარსისა და სარქვლების დაზიანების შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს გულის მანკი. ეს პროცესი ფარულად შეიძლება მიმდინარეობდეს, ამიტომ მანკის დიაგნოზი ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად ისმება, როდესაც ადამიანს თითქოსდა არც უავადმყოფია რევმატიზმით.

რევმატიზმის დიაგნოსტიკაში გადამწყვეტია ექიმის მიერ ადამიანის გასინჯვა. გარდა ამისა, მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა სისხლის ლაბორატორიული ანალიზები, ელექტროკარდიოგრაფია, ექოკარდიოგრაფია და რენტგენის სხივებით გაშუქება.

ყოველი გამწვავების შემდეგ გულში შეიძლება კიდევ უფრო მეტად დაზიანდეს სარქვლოვანი აპარატი და კუნთი. ამიტომ რევმატიზმით დაავადებული ადამიანი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

რევმატიზმის მწვავე პერიოდში ავადმყოფს ესაჭიროება წოლითი რეჟიმი. მას უტარდება მკურნალობა ანტიბიოტიკებით (პენიცილინი, ბიცილინი, ოქსაცილინი, მეტიცილინი და სხვა), არასტეროიდული ანტიანთებითი საშუალებებით (ასპირინი, ამიდოპირინი, ბუტადიონი, ბრუფენი). ანთებითი პროცესის დიდი აქტიურობის დროს ენიშნება ჰორმონები: პრედნიზოლონი, დექსამეტაზონი, ტრიამცინოლონი და სხვა.

რევმატიზმის გამწვავების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ავადმყოფს წელიწადში ორჯერ ჩაუტარდეს პროფილაქტიკური მკურნალობა, რისთვისაც გაზაფხულზე და შემოდგომაზე მას უნიშნავენ ასპირინს ან სხვა არასტეროიდულ ანტირევმატულ საშუალებას მცირე დოზებით და ბიცილინს.

რევმატიზმის პროფილაქტიკაში მნიშვნელობა აქვს სტრეპტოკოკული ინფექციური კერების დროულ გამოვლენას და მკურნალობას. ყველაზე მეტად ეს შეეხება ქრონიკულ ტონზილიტს. ამიტომ ნუ იჭნებით გულგრილნი, თუკი ხშირად გტკივათ ყელი და გაქვთ ჩირქოვანი ტონზილები: ეს რევმატიზმის განვითარების დასაწყისი შეიძლება იყოს.

**წლეულს კომპიუტერული სამყარო 2 იუბილეს აღნიშნავს: 90 წლის წინ შეიქმნა კორპორაცია, რომელსაც შემდგომ INTERNATIONAL BUSINESS MACHINES (IBM) ეწოდა, იმ დღიდან 70 წლის შემდეგ კი IBM-თავსებადი პერსონალური კომპიუტერი გაჩნდა. გზა, განვლილი ელექტრომექანიკური სათვლელი მანქანებიდან IBM RS/6000 SP-მდე (რომელსაც უბრალოდ, DEEP BLUE-ს უწოდებენ), რომელსაც ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის, გარი კასპაროვის დასამარცხებლად საკმარისი ინტელექტი აქვს, საკმაოდ გრძელი და დრამატულობით აღბეჭდილი იყო.**



# IBM-ის „ჯადოსნური სიტყვა“

**უფროსი თომას უოტსონი**

**უმცროსი თომას უოტსონი**

## მოსახლეობის აღწერა, როგორც პროგრესის მამოძრავებელი

„ცისფერი გიგანტის“ (BIG BLUE – ასე უწოდებენ IBM-ს ამერიკაში) სათავეებთან წარმოშობით გერმანელი – ჰერმან ხოლერიტი იდგა. მოსახლეობის აღწერის ფედერალურ სააგენტოში სტატისტიკოსად მომსახურე ხოლერიტი წლების მანძილზე ცდილობდა ელექტრომექანიკური მანქანის შექმნას, რომელიც მოსახლეობის აღწერის შედეგების დამუშავების შრომატევადი პროცესის ოპტიმიზაციას შეუწყობდა ხელს. 1890 წელს ასეთმა მანქანამ, რომელშიც პერფორირებულ ბარათებს იყენებდნენ, პირველად გაიარა ცდები და თუ 1880 წელს, მოსახლეობის აღწერის შედეგების დამუშავება-შეჯამებას 7 წელიწადი დასჭირდა, 1890-ში ხოლერიტის უწყებამ ამავე საქმისთვის 3 წელი იკმარა.

შედეგები იმდენად დამაიმედებელი აღმოჩნდა, რომ 6 წლის შემდეგ, ხოლერიტმა საკუთარი ფირმა – TABULATING MACHINE COMPANY შექმნა, რომელსაც ბარათების პერფორირებისთვის საჭირო სპეციალური მოწყობილობით უნდა ევაჭრა. 1911 წელს ივნისში სხვა ორ ფირმასთან მისი შერწყმა მოხდა. ნიუ-იორკის შტატში დარეგისტრირებულ ახალ კომპანიას COMPUTING-TABULAR-RECORDING COMPANY ეწოდა. მან სათვლელი მანქანებისა და საზომი მოწყობილობების გამოშვებას მიჰყო ხელი, 1924 წელს კი, სადღეისოდ ცნობილი სახელწოდება – INTERNATIONAL BUSINESS MACHINES-ი დაერქვა.

თავდაპირველად IBM-ი პერფობარათების დასამზადებელ და წასაკითხ მოწყობილობებს აწარმოებდა, მოგვიანებით კი საბეჭდ მანქანებზე გადაერთო, რომელიც, თავის მხრივ, ელექტრომექანიკურმა კალკულატორებმა, 50-იანი წლებიდან კი – კომპიუტერებმა შეცვალა. იმ დროისათვის კორპორაციის მუშაკთა საერთო რაოდენობამ 40 ათასს გადააჭარბა, IBM-ის ფაბრიკები და განყოფილებები უკვე ევროპის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ათეულობით ქვეყანაში იყო შექმნილი.

IBM-ის წარმატებები ორი თომას უოტსონის – მამა-შვილის სახელთან არის დაკავშირებული.

## ტოპ-მენეჯერი

უმცროსი უოტსონი 1914 წელს დაიბადა – მაშინ, როცა მისი 40 წლის მამა უკვე მიწვეული იყო სამუშაოდ IBM-ის აღმასრულებელ დირექტორად. ამ თანამდებობაზე მას ერთი წელიც არ უმუშავია, როცა კომპანიის პრეზიდენტად აირჩიეს.

მის სახელთან არის დაკავშირებული რამდენიმე რევოლუციური სიახლის დანერგვა, რომელმაც შეცვალა კომპანია. უოტსონი ჭეშმარიტად ფანატიკური დაჟინებით ცდილობდა, ყველა მუშაკისთვის ჩაეგონებინა ე.წ. „კორპორაციული ლოიალობის“ გრძნობა, რისთვისაც კორპორაციის სპორტულ გუნდებს ქმნიდა და საერთო პიკნიკებს აწყობდა. თვით

დიდი დეპრესიის წლებშიც კი, ბიზნესისთვის შავბნელი პერიოდის დროს, უოტსონის თავკაცობით მოქმედი კომპანია არა მარტო მოგებაზე ფიქრობდა, არამედ იმაზეც ზრუნავდა, როგორ დაემაგრებინა სამუშაო ადგილებზე თავისი პერსონალი.

ამერიკულ კორპორაციებს შორის სწორედ IBM-მა დანერგა პირველად 1934 წელს ჯგუფური დაზღვევის სისტემა, 1936-ში, ანაზღაურებადი შვებულება შემოიღო. ამის გარდა, IBM-ის პრეზიდენტმა, რომლის საფირმო ლოზუნგი – „იფიქრე!“ ყველა თანამშრომლისთვის სამოქმედო ორიენტირად იყო ქცეული, მოგვიანებით წამოაყენა პრინციპი – „კლიენტის წარმატება, ჩვენი წარმატებაა!“, რომელიც, თავის მხრივ, შემდგომში შეიცვალა კორპორაციული სლოგანით – „ვინც IBM-ის ნაწარმს ყიდულობს, ის არასოდეს კარგავს სამსახურს!“

დიდი დეპრესიის პერიოდშიც უოტსონის კორპორაცია განაგრძობდა წარმოების ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა სათვლელ მოწყობილობებზე კატასტროფულად იყო შემცირებული. ამ სიჯიუტემ შედეგი გამოიღო: როცა აშშ-ის კონგრესმა 1935 წელს მიიღო კანონი სოციალური დახმარების შესახებ, მთავრობის არჩევანი IBM-ზე შეჩერდა და მას 26 მლნ ადამიანის სამუშაოთა უზრუნველყოფისთვის საჭირო დოსიეების შედგენაზე გაუფორმეს კონტრაქტი. „ისტორიაში უმსხვილესი სათვლელი ოპერაციის“ შემდეგ IBM-ი დაკვეთებით აავსეს...

მეორე მსოფლიო ომში აშშ-ის ჩაბმის შემდეგ კომპანიის საწარმოო სიმძლავრეები მთავრობის განკარგულებაში გადავიდა: IBM-ი ბომბდამშენებისთვის საჭირო ავიამისაბმელებს, სასროლ იარაღს, ძრავის ნაწილებსა და კიდევ 40-მდე სხვა დასახელების პროდუქციას აწარმოებდა. ამ პროდუქციაზე უოტსონმა სიმბოლური ნომინალური მოგება – 1% დააწესა, ამონაგები თანხით კი, ომის მსხვერპლთა – ქვრივთა და ობოლთა დახმარების ფონდი შექმნა.

## უოტსონი მეორე

„ვფიქრობ, კომპიუტერების მსოფლიო ბაზარი ხუთ ცალსაც კი არ გადააჭარბებს“. საოცარია, მაგრამ სათვლელ მანქანებს ასეთი განაჩენი 1943 წელს სწორედ უოტსონმა გამოუტანა.

თუმცა, მან მაინც იცოდა, რას ამბობდა: პირველი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები უზარმაზარი ზომისა იყო, თანაც მეტისმეტად ბევრ ელექტროენერგიას ხარჯავდა და „ჭირვეულობითაც“ გამოირჩეოდა: თითოეული კონკრეტული ამოცანის ამოხსნის შემდეგ, სხვა ამოცანისთვის მათი ხელით გადართვა იყო საჭირო. მაგრამ სულ რამდენიმე წელიწადში ბიზნესმენებს ოპტიმიზმის საფუძველი გაუჩნდათ.

1944 წელს, IBM-ის მხარდაჭერით, ჰოვარდ ეიკენმა ჰარვარდის უნივერსიტეტში ააწყო ფართო პროფილის პირველი კომპიუტერი – MARK 1. 15 მ სიგრძისა და 2,5 მ სიმაღლის გიგანტი 5 ტონას იწონიდა და მასში 500 მილი (შეგახსენებთ, რომ 1 მილი 1800 მეტრზე მეტს უდრის) სადენი და 3 მლნ კვანძი იყო. მანქანა დაჯამების ოპერაციას წამზე ნაკლებს ანდომებდა, გამრავლებას – 6 წამს, გაყოფას კი – 12 წამს. დღეს არსებული უმარტივესი კალკულატორიც კი თავისუფლად სჯაბნის მას. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

1956 წელს უფროსი თომას უოტსონისგან ესტაფეტა მისმა 42 წლის შვილმა – ასევე თომას უოტსონმა მიიღო. ის ელექტორონიკით მაშინ „დასნეულდა“, როცა 1946 წელს სხვა სპეციალისტებთან ერთად პირველი ელექტრონული კომპიუტერის – ENIAC-ის დემონსტრაციაზე იყო მიწვეული. „გაოცებული დავრჩი – იხსენებდა იგი მოგვიანებით, – რა სწრაფად მოქმედებდა ელექტრონული სქემა, მაგრამ ისიც მაწუხებდა, რომ ჩვენს ლაბორატორიებში არ გვყავდა სპეციალისტები, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ ამაში“.

მართლაც, არც ერთ ამერიკულ უნივერსიტეტში იმ დროს არ ამზადებდნენ კომპიუტერის სპეციალისტებს. IBM-ის ახალმა ხელმძღვანელმა იმთავითვე იზრუნა კადრების მომზადებაზე და საამისოდ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი აირჩია: კომპანიამ ინსტიტუტს გადასცა დიდი კომპიუტერი და მისი ექსპლუატაციაც დააფინანსა. ხუთი წლის შემდეგ კი რამდენიმე ათეული ახალგამომცხვარი სპეციალისტი მიიღო.

## კომპიუტერული სიმდიდრის სათავეები

ეს იყო ათწლეული, როცა მოთხოვნილებამ გამომთვლელ მანქანებზე ყოველგვარ პროგნოზს გადააჭარბა: ყოველწლიური ნამატი (არა თვით მანქანების, არამედ მანქანებზე გაკეთებული განაცხადებისა) 22%-ს აღწევდა. IBM-ისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა კომპიუტერებზე გადასვლა, რადგან ბაზარი უკვე შეეჩვია მექანიკურ და ელექტრონულ სათვლელ მანქანებს, რომელიც ამ კომპანიის ბრენდით გამოდიოდა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ უფროსმა უოტსონმა ჩაუყარა საფუძველი სისტემას, რომელიც შემდგომში ყველამ აითვისა: ის არა მარტო „რკინას“, არამედ მისთვის საჭირო ყოველგვარ სერვისს ყიდდა.

1952 წელს გამოვიდა 701-ე მოდელი – ფირმის პირველი კომპიუტერი, რომელიც ბრძანებათა შენახვის უნარის მქონე ელექტროვაკუუმის ლამპებზე მუშაობდა. 7 წლის შემდეგ ლამპების ადგილი ტრანზისტორებმა დაიკავა, მათ მწარმოებელ პირველ საწარმოდ კი ნიუ-იორკში მდებარე IBM-ის ფაბრიკა მოგვევლინა. იმავე – 1959 წელს კორპორაციამ წარმოადგინა მთლიანად ტრანზისტორებით მოქმედი პირველი IBM 7090, რომელიც წამში 220 ათას ოპერაციას აწარმოებდა. ამ მანქანით, როგორც სამხედროები (კერძოდ, აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებმა

**მეორე მსოფლიო ომის დროინდელი „კალკულატორებით“ სამხედროები სარგებლობდნენ**



ის ბალისტიკური რაკეტების გაშვების სისტემაში გამოიყენეს), ისე სამოქალაქო ბიზნესი სარგებლობდა: მაგალითად, ავიაკომპანიამ AMERICAN AIRLINES-მა პირველმა დანერგა ბილეთების დაჯავშნის ავტომატიზებული სისტემა, რომლის მოქმედებისას საკვანძო როლს ასრულებდა 7090-ის მოდელის ორი მანქანა: მათი მეშვეობით ქვეყნის 65 ქალაქის ბილეთების გასაყიდი პუნქტი დააკავშირეს.

მეორე მიმართულება, რომლითაც IBM-ის სპეციალისტები ასეთივე წარმატებით მიდიოდნენ, მანქანის მეხსიერების გაფართოება იყო. სწორედ ამ კომპანიის ლაბორატორიებში (კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ხოსეში) იშვა 1956 წელს ჭეშმარიტად უნიკალური პროდუქტი – პირველი მყარი მაგნიტური დისკი RAMAC 305, რომლის მეხსიერების მოცულობა 5 მეგაბაიტს აღწევდა. ის ბრიუსელში, 1958 წელს ჩატარებული ბაზრობის მთავარი სენსაცია გახდა. საინტერესოა, რომ ბაზრობის მონაწილეებმა ამ მოწყობილობას გამოცდა ისტორიაში მოუწყვეს – მაშინ, როდესაც სწორედ ისტორიის ერთერთი საკვანძო მომენტის მომსწრენი იყვნენ...

## „რკინის" საუკუნე

მომდევნო ათწლეული კიდევ ერთი გარღვევით აღინიშნა. 1964 წელს IBM-მა თავისი სახელგანთქმული მოდელი – 360-ე წარმოადგინა. ფაქტობრივად, ეს კომპიუტერების მთელი ოჯახი იყო, რომელიც აერთიანებდა პროგრამულ მოწყობილობასა და პერიფერიას. ახლა, თითოეულ შემთხვევაში ახალი მანქანის ყიდვის ნაცვლად, მასში მხოლოდ უფრო პროგრესული ელემენტების გამოცვლა იყო საკმარისი.

საერთოდ, 60-იანი წლები, ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაზრისით, როგორც გიგანტური ნაბიჯებით განვითარებადი „რკინის" ეპოქა, ისე შევიდა ისტორიაში: 10 წელიწადში კომპიუტერების ორი თაობა გამოიცვალა! თუ ათწლეულის პირველ ნახევარში მეორე თაობა დომინირებდა (ტრანზისტორები ლამპების ნაცვლად, მაგნიტური ლენტები და დისკები პერფოლენტების ნაცვლად და ა.შ.), 360-ე მოდელის გაჩენა მესამე თაობის მოსვლის მაუწყებელი გახდა. მისი განმასხვავებელი თავისებურებანი იყო: მიკროჩიპებზე დაფუძნებული ინტეგრალური სქემები, კომპიუტერის რესურსების წარმმართველი ოპერატიული სისტემები და ახალი ენები – BASIC- PRG.

1971 წელს უმცროსი უოტსონი IBM-დან წავიდა. რვა წლის შემდეგ პრეზიდენტმა კარტერმა ის საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩად დანიშნა (სადაც სულ 3 წელიწადი იმუშავა), თუმცა 80-იანი წლების შუა პერიოდამდე ის კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრად რჩებოდა. მან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ IBM-ი ამერიკული ბიზნესის ლიდერებს შორის ყოფილიყო: წლიური შემოსავალი, რომელიც 900 მლნ დოლარს შეადგენდა 1965-ში, როცა მან თავისი მამა შეცვალა, 8 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, კომპანიის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა კი – 72 ათასიდან – 270 ათასამდე. იმ დროს, როცა ბილ გეიტსი ჯერ კიდევ სკოლის მერხზე ითვისებდა არითმეტიკას, ერთი ცალკე აღებული (ისიც – არა სანედლეულე) კომპანიისთვის ესოდენ დიდი ნახტომი, პრაქტიკულად, უპრეცედენტო იყო.

**უმცროსი უოტსონი ელექტრონიკით მაშინ „დასნეულდა", როცა 50 ტონიანი ENIAC-ის მოქმედებას გაეცნო**



## ვამბობთ – IBM-ს – ვგულისხმობთ PC-ს

1981 წელს კომპანიის თანამშრომლებმა საზოგადოებას წარუდგინეს პირველი მასობრივი პკ – პერსონალური კომპიუტერი – IBM 5150 PERSONAL COMPUTER (IBM PC). აქ ხაზგასასმელია სიტყვა „მასობრივი", რადგან პირველი პერსონალური კომპიუტერი თავიანთ ავტოფარეხში შექმნეს სტივ ჯობსმა და სტივ ვოზნიაკმა, რომლებმაც შემდგომ დააფუძნეს ფირმა APPLE.

IBM PC-ის საოპერაციო სისტემის შესაქმნელად ამ დროს ქვეყანას მოევლინა ფირმა MICROSOFT-ი, რომელშიც მაშინ სულ 32 კაცი მუშაობდა. ამ ორი კომპანიის გარიგებით დაიწყო ბილ გეიტსის წარმატების ისტორია.

იმის გამო, რომ კომპიუტერის სპეციფიკაცია გახსნილი იყო, ძალიან მალე მისი „კლონირება" დაიწყო. სულ რაღაც ერთ წელიწადში გაჩნდა IBM PC-ს თავსებადი კომპიუტერი, რომელსაც კომპანია COLUMBIA DATA PRODUCTS-ი აწარმოებდა, მას კი უამრავი სხვა „კლონიც" მოჰყვა. სწორედ მაშინ იქცა სინონიმებად მილიონობით ადამიანის წარმოდგენაში ეს ორი აბრევიატურა – IBM და PC.

ცხადია, კონკურენტებიც აქტიურად მუშაობდნენ. 1984 წელს APPLE-მა გამოუშვა თავისი PC – MACKINTOSH-ი, – მსოფლიოში პირველი მანქანა, რომელსაც გრაფიკული ინტერფეისი, „თაგუნა" და 3,5 დუიმიანი დამგროვი ჰქონდა. PC-ის მომხმარებელთა სამყარო ორ ნაწილად გაიყო – PC-იუზერებად (მომხმარებლებად) და MAC-იუზერებად. კომპიუტერული პლატფორმების ამ ომში APPLE-ი დამარცხდა, მაგრამ ვერც IBM-ს უწოდებ გამარჯვებულს: IBM-ის თავსებადი კომპიუტერების ბაზარზე მას ბევრმა სხვა მწარმოებელმა გაუსწრო.

თუმცა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სივრცეში IBM-ი დიდ აისბერგს მოგაგონებთ: არც იძირება და არც დნება და კვლავაც ინარჩუნებს მსოფლიო კომპიუტერული ლანდშაფტის ყველაზე თვალში საცემი ელემენტის ადგილს.

■

„რომეო და ჯულიეტა“ (დრამატურგი)
ფრანგულ-ინგლისური თვითმფრინავი
C ვიტამინის ნაკლებობა (ავადმყოფ.)
ქანდაკება ფილარმონიის წინ თბილისში
მაჯისცემა
მოსეს მცნებათა რიცხვი
ტკივილის გაფრცელება დაშორებულ უბანში
კაზინოს მოთამაშის თვისება
ფრანგული ჯიშის ყურძენი
ინდუქტივობის ერთეული
ნოტი
ძველებური საანგარიშო დაფა
ხელსაქმე
სტილი პოპ-მუსიკაში
მდინარე საქართველოში
ნინო ანანიაშვილი
ნაპოლეონის მეუღლე
ადრ. სახელ. ჩინეთის ტერიტორიაზე
მუზეუმი მადრიდში
3.5-4.5 ლიტრი აშშ-სა და ინგლისში
ძველებური საჰაერო ხომალდი
ბ. შოუ „პიგმალიონი“ ... ჯულიეტლი
ამერიკული ავტომობილი
თუთიყუში
ისტორიული მხარე აღმ. საქართველ.
მნათობის სიმრგვალე
ოპერა „რიგოლეტო“ (კომპოზიტორი)
მოცარტი ბავშვობაში
ადამიანთა წყება, მწკრივი
რაიმე მიზნისათვის განკუთვნილი თანხა
ადამიანის მსგავსი მაიმუნი
საჭმლის საკაზმი მცენარე
იტალიის ტელეკომპანია
ჯარისკაცთა საერთო საცხოვრებელი
ბრაზილელი ვეტერან ფეხბურთელი
იტალიელი კინომსახიობი
ქართული ჟურნალი
გაკოტრებული ადამიანი
სამეტყველო ბგერის ნიშანი
აუქციონზე წარდგენილი საქონელი
ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ



*27-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა.*

*44-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ბ; 3-ა; 4-ა.*

# კვირის (25 ივნისი – 1 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

## კრეტ – 21/IV-21/V

ამ კვირაში სასურველია დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ახლობლები მოინახულოთ, სახლის რემონტი და ახალი ბიზნესის წამოწყებაც შეგიძლიათ. ნუ გეწყინებათ, მაგრამ ამ დღეებში ინტელექტუალური ამოცანების გადაჭრას ნამდვილად ვერ შეძლებთ. ასე რომ, ჯერჯერობით ემოციებსა და გრძნობებს მიენდეთ.

## მარჩხეთი – 22/V-21/VI

თუ უბრალო, რიგითი თანამშრომელი ხართ, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ. აი, თუ ხელმძღვანელი მუშაკი ბრძანდებით, იცოდეთ, რომ ქვეშევრდომებს ვერანაირ დავალებას ვერ მისცემთ – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავში არაფერი მოგივათ, რადგან ახლა მთელი არსებით, სასიყვარულო გრძნობებში ხართ ჩაფლული.

## კირჩხეთი – 22/VI-22/VII

გეჩვენებათ, რომ სიტუაცია თქვენგან საგმირო საქმეებს, გადამჭრელ ნაბიჯებსა და სარისკო ავანტიურებს მოითხოვს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მსგავსი არაფერი მოიმოქმედოთ! ცდუნების დასაძლევი საუკეთესო წამალი თქვენთვის ახლა შრომაა და, რაც უფრო მძიმე და მომქანცველი იქნება სამუშაო, მით უკეთეს შედეგს გამოიღებს „მკურნალობა“.

## ლომი – 23/VII-23/VIII



არაჩვეულებრივად ახერხებთ შემოქმედებითი აქტივობისა და კომერციული საქმიანობის შერწყმას, დიდ წარმატებასაც მიაღწევთ ნებისმიერ საქმეში და არა მარტო საქმეში – სიყვარულშიც გაგიმართლებთ, რადგან გულგრილს, უბრალოდ, არავის დატოვებთ.

## ქალწული – 24/VIII-23/IX

სასიამოვნო, რომანტიკული კვირა გელით. სამუშაოზე სიამოვნებას მოგანიჭებთ კოლეგებთან და პარტნიორებთან ურთიერთობა (რაც, სხვათა შორის, მომგებიან გარიგებებში დაგეხმარებათ), ხოლო თავისუფალ დროს გული გაგიწევთ იმ ადამიანებისკენ, რომლებთანაც ტკბილი მოგონებები გაკავშირებთ. გათავისუფლდით კომპლექსებისგან და გადაეშვით ვნების ხელახალ მორევში ყოფილ პარტნიორთან.

## სასწორი – 24/IX-23/X

ამ კვირაში ლოგიკური აზროვნების არაჩვეულებრივ უნარს გამოამჟღავნებთ. ყველაზე ჩახლართულ პრობლემებსა და ურთულეს თავსატეხსაც კი გაუმკლავდებით. პარასკევისთვის კი, უმჯობესი იქნება, თუ გონებას დაასვენებთ და გულისთქმას მიენდობით. მაღალია ახალი სასიყვარულო თავგადასავლის ალბათობა.

## ღრიანკალი – 24/X-22/XI

ამჟამად თქვენთვის საუკეთესო გამოსავალი – ტელევიზორთან ჯდომაა. გაუთავებელი საქმეებით ძალზედ გადაიღალეთ და თუ არ ამოისუნთქავთ, შესაძლოა, ყველაზე ძვირფასი – ჯანმრთელობა შეგერყეთ. ამიტომ ეს კვირა ოჯახის წევრებს დაუთმეთ და განიტვირთეთ.

## მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ყველაზე მხიარული წვეულებიდანაც კი გული შინისკენ მიგიწევთ. ამ კვირაში მხოლოდ შინ და მხოლოდ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში იგრძნობთ თავს კომფორტულად და მშვიდად. ცოტა ხნით უნდა დაივიწყოთ თქვენი ჩვეული თავაშვებულობა.

## თხის რქა – 22/XII-20/I

თავს ძალა დაატანეთ და შეეცადეთ, გარშემომყოფთა ტკივილი გულთან ახლოს მიიტანოთ და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ მათ. პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საერთო პრობლემებსაც და მთელი ტვირთი საკუთარ თავზე აიღეთ. მაგრამ ფრთხილად იყავით, არ გადააჭარბოთ!

## მერწყული – 21/I-19/II

მშვიდი და უღრუბლო დღეები გელით. ახლა შეგიძლიათ ყოველგვარი წყენისა და საყვედურების გარეშე გადაჭრათ ნებისმიერი პირადი პრობლემა. განსაკუთრებულ სიამოვნებას კი კლასიკური მუსიკის მოსმენა, კარგი წიგნის წაკითხვა, საინტერესო ფილმის ნახვა და უბრალოდ, ბუნებაში გასეირნება მოგგვრით. მაგრამ ძალიანაც ნუ მოეშვებით, ახლოვდება მძიმე დღეები...

## თევზები – 20/II-20/III

ძალზედ სერიოზული და პრაქტიკული იქნებით, რამაც, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეგიქმნათ – როგორც კოლეგებთან, ისე მეგობრებთან ურთიერთობაში. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწევთ საქმეში და მაინც ურიგო არ იქნება, თუ მხიარულ კომპანიაში მოილხენთ.

## ვერძი – 21/III-20/IV



ნაცნობ-მეგობრების წრის გაფართოება და განახლება არ გაწყენდათ. უარს ნუ იტყვით მიპატიჟებაზე და ელიტის ცხოვრების წესს დროის ფუჭ ხარჯვად ნუ მიიჩნევთ. გაუთვალისწინებელმა და მოულოდნელმა შეხვედრამ, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება.

# მომავალი მილიონერებისთვის

**მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი ბრუნეის სულთანია, ყველაზე მდიდარი ავსტრიელი კი — გამომცემელი კარლ კაპაგე. რა თქმა უნდა, თავად სულთანს თანხა არ გამოუმუშავებია, — გამდიდრებაში მთავარი როლი მისმა მემკვიდრეობამ და ქვეშევრდომთა შრომამ შეასრულა. მისგან განსხვავებით, კაპაგემ თავად, დამოუკიდებლად იშრომა.**

**ქვეყანაზე ბევრი ისეთი მილიონერია ცნობილი, რომელმაც ფეხსაცმლის მწმენდობიდან დაიწყო და შრომის, მონდომებისა და ილბლის წყალობით დიდძალი ქონება დააგროვა. საბაზრო ურთიერთობების სწრაფად განვითარების კვალობაზე ახალი მილიონერების გაჩენის დიდი შესაძლებლობა არსებობს.**

**აღნიშნული ტესტი დაგეხმარებათ გაარკვიოთ, რამდენად რეალურია თქვენი მიზნები და შესაძლებლობები, კაპიტალის დაგროვების თვალსაზრისით.**

**მოცემულია 12 კითხვა. პასუხების შესაძლო ვარიანტებიდან თქვენთვის შესაფერისი შეარჩიეთ.**

**1) თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ფულის შოვნა?**

ა) ბევრი მუშაობით, კარგად ინფორმირებულობით, რისკითა და, რა თქმა უნდა, თქვენ ხელთ არსებული ფულის სწორი დაბანდებით — 6;

ბ) მემკვიდრეობის მიღებით ან ლატარიაში მოგებით — 0;

გ) კარიერა თანდათანობით უნდა შექმნა, ხელმძღვანელ პოსტამდე ყველა საფეხური გაიარო, ანდა პოლიტიკაში ჩაება — 3.

**2) უოლტ დისნეის რომელი პერსონაჟი იწვევს თქვენში ყველაზე მეტ ღიმილს?**

ა) დონალდ დაკი — 3;

ბ) მიკი მაუსი — 0;

გ) მეშვიდე ჯუჯა — 6.

**3) თქვენი აზრით, საავარაუდო მოგების რამხელა თანხამ შეიძლება დააინტერესოს მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი, საქმიანი კონტრაქტი რომ გააფორმოს?**

ა) ნახევარი მილიონიდან ერთ მილიონ დოლარამდე — 0;

ბ) 10 მილიონამდე — 3;

გ) 10-მა მილიონმა და მეტმა — 6.

**4) გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით?**

ა) რაც მეტი ფული გაქვს, მით მეტ სიამოვნებას იღებ — 6;

ბ) ფული ძალაუფლებას ნიშნავს — 3;

გ) ფული დიდი შურის მიზეზი ხდება — 0.

**5) მიიღებდით თუ არა მონაწილეობას აზარტულ, გაუგებარ თამაშში, რომელმაც შეიძლება ფულადი მოგება მოგიტანოთ?**

ა) არა — 3;

ბ) მიიღებდით და ეცდებოდით ფული გეშოვათ — 0;

გ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თამაშის სადავეები და ინიციატივა თქვენ ხელთ იქნებოდა — 6.

**6) რა რეაქცია გექნებათ, პრესაში „ელიტური ქრონიკის“ ხშირი სტუმარი რომ გახდეთ?**

ა) ძალიან გესიამოვნებათ — 0;

ბ) ეს არ გჭირდებათ — 6;

გ) ისედაც დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ შესახებ პრესა ბევრს ილაპარაკებს — 3.

**7) როგორ შეიძლება დოღში მოგება?**

ა) მაღალი ფსონების დადებით — 0;

ბ) თუ არ დადებთ ფსონს და მხოლოდ დოღის ყურებით დაკმაყოფილდებით — 3;

გ) თუ ყველაზე საუკეთესო ცხენის მფლობელი გახდებით — 6.

**8) თქვენი აზრით, ვის აქვს მოკლე დროში და საიმედოდ ფულის შოვნის შანსი?**

ა) რეჟისორს, მსახიობს, მწერალს, მხატვარს, სპორტსმენს — 0;

ბ) ადვოკატს, ექიმს, მაკლერს, პოლიტიკოსს — 3;

გ) ფირმის ხელმძღვანელს, გამომცემელს — 6.

**9) რა აზრის ხართ ფულთან დაკავშირებულ ურთიერთობაზე ახლო მეგობრებს შორის?**

ა) მზად ხართ, მეგობრებს დახმარების ხელი გაუწოდოთ — შეიძლება ოდესღაც თქვენც დაგჭირდეთ მათი დახმარება — 3;

ბ) ფული და მეგობრობა შეუთავსებელი ცნებებია — 6;

გ) მეგობრებს ფული შეგიძლიათ ესესხოთ, ოღონდ თქვენ ნუ მოგთხოვენ — 0.

**10) თუ მილიონერი გახდებით, ისარგებლებთ თუ არა თქვენი მდგომარეობით?**

ა) რა თქმა უნდა, ყველა შესაძლო შემთხვევაში — 0;

ბ) თვითკმაყოფილების დემონსტრირებას ყველასთან მოახდენთ, ვინც არ გენდობოდათ და ზემოდან დაგცქეროდათ — 3;

გ) არ შეიცვლებით — 6.

**11) როგორ ფიქრობთ, რაში სჯობს მილიონების დაბანდება?**

ა) უძრავ ქონებაში, ძვირფასეულობაში, ხელოვნების იშვიათ ნიმუშებში — 3;

ბ) აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში — 6;

გ) მოიქცევით ისე, როგორც ოჯახის წევრები გირჩევენ — 0.

**12) თუ ორიოდე მილიონის მფლობელი გახდებით, გეყნებათ თუ არა კიდევ ფულის შოვნის სურვილი?**

ა) ცოტა ფულის არა, დიდი თანხის შოვნაზე კი უარს არ იტყვით — 3;

ბ) რა თქმა უნდა — 6;

გ) არა, თქვენ ეს ფულიც გეყოფათ — 0.

## დააჯამეთ მიღებული ქულები

**0-21 ქულა: იმისათვის, რომ გამდიდრეთ, თქვენთვის მხოლოდ რამდენიმე ვარიანტი არსებობს: ილბლიანი ქორწინება, მემკვიდრეობის მიღება ან, ბოლოს და ბოლოს, ლატარიის თამაში.**

**24-48 ქულა: გამდიდრება თქვენთვის შრომასთან არის გაიგივებული. თავი აარიდეთ ფინანსურ მაქინაციებს. კარიერის დაწყება სულ მცირედითაც შეგიძლიათ. დიდი წარმატების მიღწევის უნარი გაქვთ. შეიძლება მილიონები ვერ იშოვოთ, მაგრამ თქვენი ცხოვრება მატერიალურად ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება.**

**51-72 ქულა: საუკეთესო შანსი გაქვთ, ოდესმე მილიონერი გახდეთ (თუ უკვე არ ხართ). თქვენ კომერციის დიდი ნიჭითა და ჭკუით გამოირჩევით, შეგიძლიათ ცხოვრებაში ფულს და მეგობრობას თავ-თავისი ადგილები მიუჩინოთ. მოპოვებული წარმატებით და ნაშოვნი ფულით ტრაბახს კი, კაპიტალის მოთმინებით გამრავლება გირჩევნიათ.**

## მეძავები უნგრეთის მთავარ სექსპოტო „ჰოდუქციად“ იქცა

როგორც დასავლეთის პრესა იუწყება, 10 მილიონიან უნგრეთში სულ ცოტა, 10 ათასი მეძავი მაინც საქმიანობს. პროსტიტუციის თაობაზე მიღებული კანონის (ლეგალიზაციის) შემდეგ, „ღამის პეპლების“ რაოდენობამ ამ ქვეყანაში მკვეთრად იმატა. ბოლო ოფიციალური მონაცემებით დასახელებულ 10 ათასში, ამ საქმიანობით მცხოვრები როგორც ქალი, ისე მამაკაცი მეძავია ნაგულისხმები, თუმცა მათ რიგში არ შედიან ისინი, ვინც იმავე მიზნით, მხოლოდ დროდადრო გადის ხოლმე ქუჩაში: ამ „კონტინგენტის“ გათვალისწინებით, დასახელებული ციფრი რამდენიმე ათასსაც მიაღწევდა. უნგრეთის ოჯახისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ექსპერტების აზრით, უძველესი პროფესიის 30-40 ათასი წარმომადგენელი მხოლოდ სამშობლოს ფარგლებს გარეთ – დასავლეთის ქვეყნებში საქმიანობს...

## 10 ტონა ოქრო უეცარლოდ ქრება

სწორედ ამდენ ძვირფას ლითონსა და კიდევ – 150 ტონა ვერცხლს კარგავს ყოველწლიურად(!) რუსეთი იმის გამო, რომ გამამდიდრებელ ფაბრიკებს ფერადი ლითონების გადასამუშავებელი ტექნოლოგია არ უვარგათ. ძვირფასი ლითონების დაკარგვა სპილენძისა და თუთიის მადნების დამუშავების დროსაც ხდება. კომპლექსური მადნებისგან ძვირფასი ლითონების ამოღების წილი, ვერცხლისთვის 51-62%-ს, ოქროსთვის კი – 24-დან 61%-მდე უდრის, რაც თანამედროვე მსოფლიოში ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

## დაგვიანებული ქორწინება

ინგლისელებმა ჯონ მილსმა და მისმა სატრფომ – მერიმ, ბოლოს და ბოლოს, დაიწერეს ჯვარი ქალაქ დენჰემის ერთ-ერთ ეკლესიაში. 60 წლის წინ სამოქალაქო ქორწინებით შექმნილი მათი ოჯახი ახლა ქრისტიანული წესითაც განმტკიცდა. 92 წლის სერ ჯონი (სხვათა შორის, ის „ოსკარის“ მფლობელიც არის, რომლითაც ფილმში – „რაიანის ქალიშვილი“ შესრულებული როლისთვის დაჯილდოვდა) და 89 წლის ლედი მერი კმაყოფილები არიან: მათი ცხოვრება ყველა წესიერი ოჯახისთვის შესაფერის კალაპოტს დაუბრუნდა.

## ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

**ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა.**

**ვულოცავთ ბატონ ჯაბას და ბატონ თენგიზს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

### ფანტომასი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

**ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.**

**გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (26 ივნისის) 13 საათამდე.**

# „ფანტაზია“ ფანტომასი

„ფანტაზიორების
მკითხველი“
ეულ(ს)ასდილნი

- 60
b 54/23